ვაჟა შუბითიძე ნინო წერეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება

(საქართველოს ევროპული იდენტობა)

სახელმძღვანელო

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ვაჟა შუბითიძე ნინო წერეთელი

ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება

(საქართველოს ევროპული იდენტობა)

სახელმძღვანელო

თბილისი, 2013

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

ეძღვნება დიდი ქართველი პატრიოტების, ქართული ემიგრაციის საშვილიშვილო ღვაწლის წარმომჩენების, ბატონების **რეზო თაბუკაშვილისა** და **გურამ შარაძის** ნათელ ხსოვნას.

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ საქართველო თავისი ისტორიით, კულტურული, სოციალური და გეო-პოლიტიკური აგებულებით და მდებარეობით ნაჭერია ევროპის. წიგნი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობის, რეგიონმცოდნეობის, პოლიტიკური მეცნიერებების სპეციალობის სტუდენტებისათვის, ქართველი და უცხოელი დიპლომატებისათვის, სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი: *ზურაბ გამეზარდაშვილი*
სრული პროფესორი

რეცენზენტები: *მურმან პაპაშვილი*
სრული პროფესორი

ქეთევან ჯიჯეიშვილი
ასოცირებული პროფესორი

წინამდებარე ნაშრომი განხილულია და გამოსაცემად რეკომენდირებულია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ. ოქმი 19; 03 აპრილი, 2013 წ.

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტორო უფლებების მქონე სუბიექტების წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ვაჟა შუბითიძე, 2013

© ნინო წერეთელი, 2013

ISBN 978-9941-9323-4-2

გამომცემლობა „იურისტების სამყარო"

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;
http://www.facebook.com/lawyers.world

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი (შინაარსი)

§1. საქართველო – როგორც ევროპის ნაწილი და ევროპული ქვეყანა 5
§2. ქართულ-ევროპული ურთიერთობანი ანტიკურ ხანაში და ქრისტიანობის გავრცელება ქართლში 17
§3. ევროპელი ჯვაროსნები და საქართველო. 26
§4. ქართულ-ევროპული ურთიერთობანი შუა საუკუნეებში. 37
§5. ქართულ-ევროპული დიპლომატიური ურთიერთობანი 44
§6. ევროპელი მისიონერები და საქართველო 55
§7. ერეკლე მეორე და ევროპა 68
§8.ილია ჭავჭავაძე საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ 76
§9. ნიკო ნიკოლაძე ევროპული ფასეულობების შესახებ 87
§10. არჩილ ჯორჯაძე საქართველოს გაევროპელების გზების თაობაზე 101
§11. დავით სარაჯიშვილი – ევროპული ტიპის პირველი ბიზნესმენი საქართველოში 112
§12. ნოე ჟორდანიას და ეროვნული მთავრობის ევროპეიზაციის კონცეფცია 125
§13. ევროინტეგრაციასა და ევროპოლოგიაში შეტანილი ქართული წვლილი 137
§14-15 ქართულ-ევროპული თანამედროვე ურთიერთობანი – საქართველოს სწრაფვა ევროკავშირისაკენ. . . 148

§1 საქართველო – როგორც ევროპის ნაწილი და ევროპული ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იგულისხმება ევროპაში? რა ხალხები და ერები მოიაზრება ევროპაში? ამ პრობლემასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა **პოლ ვალერიმ** – დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ და პოეტმა, ჭეშმარიტმა ევროპელმა: „ყველა რასა, ყველა მიწა, რომელიც თანმიმდევრულად იყო რომანიზებული, გაქრისტიანებული, ექვემდებარება ბერძნული დისციპლინის შეგნებას, აბსოლუტურად ევროპულია“.

პოლ ვალერის ამ ფორმულიდან გამომდინარე, საქართველო ისეთივე ევროპული ქვეყანაა, როგორც საბერძნეთი ან იტალია, ან სხვა მათი მსგავსი.

ამრიგად, ევროპა და ევროპელობა არ განისაზღვრება არც გეოგრაფიით, არც რასით, არც ზნე-ჩვეულებებით, არამედ მისი სულის უტყუარი თვისებებებით, სულისა, რომელიც პოლ ვალერის მიერ განსაზღვრული სამი გავლენის მემკვიდრეა.

შემთხვევითი არაა ის ფაქტიც, რომ დღემდე ევროპაში არსებული უძველესი ადამიანის (1,8 მილიონი წელი) ნაშთები ნაპოვნია სწორედ საქართველოში, დმანისში (აქამდე უძველესად ითვლებოდა ესპანეთსა და იტალიაში (ატაპუერკო და ჩეპრანო) აღმოჩენილი ადამიანთა ნაშთები, რომელთა ასაკი 800 ათასი წელია).

ევროპა, როგორც კონტინენტი, პირველად მოხსენიებულია **ესქილეს** დრამაში (472 წლი ძველი წელთაღრიცხვით). ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ქართველურ ტომთა ერთი ნაწილი ეგეიდას, აქედან კი დასავლეთ ხმელთაშუაზღვის-

პირეთს აღწევს და შეაქვს ძლიერი ქართველური ენობრივი კომპონენტი. ზოგიერთი ახალი გამოკვლევის თანახმად, თავად ტერმინი **„ევროპა“**-ც კი შეიძლება ქართველურ ეტიმოლოგიას გვიჩვენებდეს. ე.ი. **ფურნეე** ვარაუდობს, რომ ამოსავალი ფუძე ქართველური „ურცობა“ უნდა ყოფილიყო; (ხოლო ცნება-ტერმინი „ევროპოლოგია“ და მისი დამკვიდრება როგორც ინტეგრაციული სამეცნიერო-კვლევითი დისციპლინის, დაკავშირებულია ქართველი ემიგრანტი მეცნიერის **ალექსანდრე ნიკურაძის** სახელთან (1952 წ.).

ძველი წელთააღრიცხვის VI-V საუკუნეებიდან, როდესაც მსოფლიოს განვითარებაში დაიწყო ევროპულსა და აზიურ გზებს შორის არსებული განსხვავებების გაცნობიერება, მოხდა იმის დაფიქსირება, რომ საქართველო ამ ორი სამყაროს გზის გასაყარზე მდებარეობს. ისტორიის მამად წოდებულ ბერძენთან, **ჰეროდოტესთან** (ძვ. წ. V ს.) ევროპა წარმოდგენილია ატლანტის ოკეანიდან მდინარე ფაზისამდე კოლხეთში.

არგონავტების მითის პერსონაჟები გარკვეულწილად განასახიერებენ ევროპა-აზიას შორის არსებულ ურთიერთმიმართებას: **აიეტი,** ზოგიერთი წყაროს თანახმად, კოლხეთში ეფირიდან – ისტორიული საბერძნეთის მხრიდან გადმოსულა. მისი ერთი და, **პასიფაე**, კრეტის ლეგენდარული მეფის მინოსის ცოლია, ხოლო მეორე, გრძნეული **კირკე** – დასავლეთში გადასახლდება და იტალიის რეგიონში მცხოვრების არა ერთი ტომის ეპონიმთა დედად მოგვევლინა. **მედეას** (ვარაუდობენ, რომ აქედანაა წარმოებული ტერმინი „მედიცინა“) ჯერ ელადაში გადასახლება, შემდეგ კი თავისი შვილით, მედოსით უკან დაბრუნება, ასევე ამ კავშირის ერთგვარ არეკვლას წარმოადგენს (**რისმაგ გორ-**

დეზიანი). აქედან მოყოლებული ისტორიულად საქართველო მუდმივად იდგა არჩევანის წინაშე – მოეხდინა ორიენტაცია კულტურულ ღირებულებათა ერთ-ერთ ამ სისტემაზე – ევროპულზე ან აზიურზე (ამითაცაა განპირობებული ჩვენი **ქართული საზოგადოების ევრაზიული ხასიათი** – ჩვენში მაინც უფრო დიდი დოზითაა ევროპული, ვიდრე აზიური).

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ანტიკური და შუა საუკუნეების ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდი საქართველომ აზიურ გარემოცვაში გაატარა, მისი ყველა პრინციპული არჩევანი ცივილიზაციის სფეროში მსოფლაღქმის ევროპულ გზას აძლევდა უპირატესობას. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა დამწერლობის, რელიგიის, მხატვრული კულტურის დონეზე, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არჩევანი არასოდეს იყო აბსოლუტური და ამდენად არ განაპირობებდა ოპოზიციაში – ევროპა-აზია საქართველოს გამოკვეთილად ჩართვას.

ქართულ ცივილიზაციაში ევროპულისა და აზიურის თანაარსებობის ხანგრძლივმა ტრადიციამ, მიუხედავად ევროპულზე ორიენტაციისა, არ შექმნა მისი დომინირების საფუძველი. ჩვენს ფსიქიკაში კრიტიკულ-ანალიტიკური და მითოლოგიური მსოფლაღქმის პრინციპები საკმაოდ ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, რაც ქართულ ცივილიზაციას ყოველთვის განარიდებდა ევროპულისა და აზიურის მიმართ შეურიგებელი დაპირისპირებისაგან და მას ორიგინალურ ელფერს აძლევდა.

ამასთანავე, ევროპულისა და აზიურის (აღმოსავლურის) შეპირისპირებისას ხაზი უნდა გაესვას იმისაც, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები, მეტროლოგიური და ფულადი

სისტემები, საქალაქო ცხოვრება, ისტორიოგრაფია და ლიტერატურული ტრადიციები ხშირად სწორედ აღმოსავლეთიდან მოდიოდა და ევროპულთან ერთად თავის კეთილმყოფელ გავლენას საქართველოზე აზიაც ახდენდა, თუმცა, ქართული სული ორივეს ძალზე შერჩევით და შემოქმედებითად ითვისებდა.

თავისებურად არის წარმოდგენილი ევროპის საზღვრები შუა საუკუნეების მოაზროვნეთა ნაშრომებში. ევროპის იდენტობისა და შუა საუკუნეების ევროპის საზღვრების აღქმისათვის მნიშვნელოვანია, თუ რას დავუშვებთ ევროპის სივრცის მთავარ მახასიათებლად – ზოგადად ქრისტიანობას თუ მოგვიანებით კათოლიციზმის და რომის პაპის გავლენის სივრცეს ან კიდევ სოციალურ სტრუქტურას, რომელიც იქნებოდა დამახასიათებელი ევროპული ფეოდალიზმისათვის, ან თუნდაც კლიმატურ ზონებს. პროფესორ **მ. ბორგოლტეს** მოაქვს გრაფ კალერგის მიერ მოცემული ევროპის დახასიათება ისტორიულ ჭრილში, სადაც იგი აღნიშნავს **ევროპის 5 ეტაპს**. მისი აზრით, პირველი ეტაპის ევროპა არის ძველი საბერძნეთი სპარსეთის საპირისპიროდ, მეორე ევროპა არის შექმნილი რომის მიერ და მისი აღმოსავლეთი საზღვრები წარმოდგენლია რაინამდე და დონამდე, ხოლო აღმოსავლეთით მდებარე ბიზანტიის სახელმწიფო წარმოადგენს ევრაზიულ სახელმწიფოს ევროპასა და ორიენტს (აღმოსავლეთს) შორის.

VI საუკუნის მოღვაწის **ისიდორე სევილიელის** „ეტიმოლოგიაში“ მითითებულია, რომ დედამიწა იყოფა სამ ნაწილად: აზიად, აფრიკად და ევროპად. ევროპის შემადგენლობაში მოიაზრება ბიზანტია მთელი თავისი აღმოსავლური ტერიტორიებით.

დედამიწის სამ ნაწილად წარმოდგენა დამახასიათებელია შუა საუკუნეების ნაშრომებისათვის, რომლებშიც ასეთი დაყოფის საფუძვლად იღებენ ბიბლიურ სიუჟეტს – **ნოეს** სამი ვაჟის **(სემი, ქამი და იაფეტი)**, რომელთაგან უმცროსს – იაფეტს ერგო ევროპა. საზღვარი სემისა და იაფეტის შთამომავლებს, ანუ აზიასა და ევროპას შორის ამ ნაშრომებში მხოლოდ ერთგანაა განმარტებული და მდებარეობს მცირე აზიაში.

IX საუკუნეში **სანტ-გალენის** მონასტერში შედგენილ რუკაზე აღნიშნულია ევროპა, აზია და აფრიკა და დართულია განმარტება, რომ ასე გაინაწილეს ნოეს ვაჟებმა დედამიწა. ასევეა მითითება მაღალი შუა საუკუნეების ქრონიკებში ევროპის საზღვრების შესახებ, რუკაზე ის მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია, ხოლო კომენტარებში მისი საზღვრები აღმოსავლეთში გადის.

შუა საუკუნეების რუკები შედგენილია თანამედროვე მსოფლმხედველობის მიხედვით და ძირითადად აღნიშნულია წმინდა ადგილები, რადგანაც შუა საუკუნეების ადამიანის შორეული გადაადგილების ძირითადი მიზანი ვაჭრობასთან ერთად სიწმინდეების მოხილვა იყო.

მოტანილი ზოგადი დახასიათება ევროპის საზღვრებისა, რომელიც მოცემულია შუა საუკუნეების ლიტერატურაში, საყურადღებო ინფორმაციას იძლევა საქართველოს ისტორიისათვის.

ქართული საისტორიო ტრადიციით ქართველთა წარმოშობის იაფეტური თეორია თავისთავად მიაკუთვნებს საქართველოს ევროპას, რომელიც, როგორც აღინიშნა, შუა საუკუნეების ევროპულ ავტორთა მიხედვით იყო იაფეტის შთამომავალთა სამშობლო. ასევე ის თეორია, რომლის

თანახმადაც ანტიკურ და ადრექრისტიანულ ხანაში ევროპისა და აზიის განმასხვავებლად წარმოდგენილია არსებული დაპირისპირება ელინისტურ სამყაროსა და ირანს შორის, ასეთივე თავისუფალი დასკვნის საშუალებას იძლევა საქართველოს ევროპულ სივრცეში წარმოდგენისათვის, – რადგან საქართველო მუდმივად წარმოადგენდა ბერძენთა მოკავშირეს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში და დარიალის კარის დამცველს, საიდანაც შემოდიოდა ევროპისათვის უცხო ელემენტი. სიკვდილის წინ **ვახტანგ გორგასალმა** დატოვა ანდერძი, რომლის აღსრულება საუკუნეთა მანძილზე განსაზღვრავდა ქართველთა ლტოლვას ევროპული სივრცისაკენ: „ნუ მიატოვებთ ბერძენთა (ე.ი. ბიზანტიელთა, ევროპელთა) სიყვარულს“.

ის, რომ ქართული საისტორიო ტრადიცია ქართულ სახელმწიფოს **ალექსანდრე მაკედონელის** იმპერიის ნგრევისა და დაშლის შედეგად წარმოშობილად მიიჩნევს (**აზო და ფარნავაზი, III** საუკუნე ძვ. წ.), კიდევ ერთი დადასტურებაა ქართული სივრცის ევროპულისათვის მიკუთვნებულობისა, რადგანაც ევროპა არის ის, რაც ელინისტური ტრადიციების საფუძველზე წარმოიშვა.

საქართველოს ადრეული კავშირები დასავლეთთან ასახულია ცნობილ მითში **არგონავტების** შესახებ. ძვ. წ. აღ-ის II ათასწლეულის ბოლო მესამედში ბერძნები იოლკოსიდან ჩამოვიდნენ „ოქრომრავალ კოლხეთში“ ოქროს საწმისისათვის. მათ ნავს არგო ერქვა, ხოლო ექსპედიციის მონაწილეებს – არგონავტები. ძვ. წ. აღ-ის VI-V საუკუნეებში მილეთელმა ბერძნებმა მარსელთან, ნეაპოლთან, ბიზანტიონის მსგავსად ეგრისში (კოლხეთი) შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სავაჭრო ფაქტორიები დააარსეს: ფაზი-

სი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა), გიენოსი (ოჩამჩირე). კოლხეთში იჭრებოდა კოლხური თეთრი, რაც სავაჭრო ურთიერთობების მაღალ დონეზე მეტყველებს.

ცნობილმა რომაელმა სარდალმა **პომპეუსმა** ძვ. წ. აღ-ის **65** წელს იბერიაში (ქართლში) ილაშქრა და აქ რომი შემოიყვანა. მალე ქართლის ურთიერთობამ რომთან „მეგობრობისა და მოკავშირეობის" ფორმა მიიღო. რომის იმპერატორები (მაგ., **ადრიანე, ანტონინე პიუსი**) სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ ქართლის მეფეების კეთილგანწყობის მოპოვებას მაგ., **140**-იან წლებში (ახალი წელთაღრიცხვით) იბერიის მეფე **ფარსმან II ქველი** რომში მიიწვია ანტონინე პიუსმა და მისი ცხენზე ამხედრებული ქანდაკება მარსის ველზე ტაძარში დაადგმევინა.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში I საუკუნეშივე დაიწყო, როდესაც აქ **ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი, მატათა** – ქრისტეს მოციქულები ჩამოვიდნენ. პირველი საეპისკოპოსო საქართველოში – აწყურში ანდრია პირველწოდებულმა დააარსა. მანვე დანიშნა პირველი ეპისკოპოსი, რამდენიმე მღვდელი და დიაკონი.

ისტორიული წყაროების მიხედვით **უფლის კვართი** დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში, **ილია წინასწარმეტყველის ხალენი** – მცხეთაში, ხოლო **ღმრთისმშობლის კვართი** ხობის მონასტერში ინახებოდა, რომელიც ამჟამად ზუგდიდის მუზეუმშია დაცული.

298 წელს რომსა და სასანიან სპარსეთს შორის ნისიბინში დადებული ზავით ქართლის სამეფო რომის პოლიტიკური კონტროლის ქვეშ მოექცა, რამაც ხელისუფლებას ქრისტიანობის აღიარების შესაძლებლობა მისცა. ქართვე-

ლები მონაწილეობდნენ ქრისტიანული მრწამსის ჩამოყალიბებაში. ბიჭვინთის ეპისკოპოსი **სტრატოფილე** ესწრებოდა ნიკეაში 325 წელს გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას, ხოლო ქართლის ეპისკოპოსი **პანტოფილე** – მეორე საეკლესიო კრებას.

ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა. დაახლოებით ამავე დროს მოხდა მისი გამოცხადება ეგრისში (ლაზიკაში), იმ დროს, როცა ორი უძლიერესი სახელმწიფო – რომი და სასანიდების ირანი ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა, ქართველ ხელისუფალთა ეს ნაბიჯი დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესაყარზე მდებარე საქართველოსათვის დასავლეთზე (ევროპაზე) პოლიტიკურ ორიენტაციას ნიშნავდა, რამაც სამუდამოდ განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი ბედი და სამუდამოდ დააკავშირა ქართველი ხალხი და კულტურა დასავლეთს.

596 წელს ქართლის კათალოკოსმა **კირიონ I-მა**, რომელსაც მიმოწერა ჰქონდა რომის პაპ **გრიგოლ დიდთან**, მტკიცედ მიაბრუნა ქართული ეკლესია ბიზანტიური დიოფიზიტობისაკენ (დასავლეთ საქართველოში ამ დროს დიოფიზიტობა იყო გაბატონებული, თუ კირიონი მხარს დაუჭერდა მონოფიზიტობას, ფაქტიურად დასავლეთი და აღმოსავლეთ საქართველო დაშორდებოდნენ ერთმანეთს და ქართლსაც ირანი და სომხეთი მოინელებდნენ. კირიონმა ამ აქტით შექმნა საფუძველი საეკლესიო და კულტურული ერთობისათვის, რაც დასავლურ (ევროპულ) ორიენტაციას ნიშნავდა). VII საუკუნის დასაწყისში მონოფიზიტური სომხეთის კათალიკოსმა **აბრაამმა** კირიონს მისწერა: „დაუჯერებლად გვეჩვენება, რომ უცხო სამეფოსთან (ბიზანტიას-

თან) შექმნას მეფეთა მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოაზრეს (ირანს) გაშორდესო". ქართველმა **არსენ იყალთოელმა** XII საუკუნეში ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა „დიდი სჯულის კანონი", 920 წლის სრული ვერსია, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური კოდექსია. ქართველები კარგად იცნობდნენ **ჰომეროსის** პოემებს და შუა საუკუნეებში საქართველოში შექმნილი ნაშრომები სამედიცინო, ფილოსოფიურ და ფილოლოგიურ დარგებში ბერძნული ტრადიციების გავლენას განიცდიდა – იქ წარმოდგენილი იყვნენ **დემოკრიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს** და **ფილოს** მსგავსი ფილოსოფოსები. ნეოპლატონიზმის იდეებმა ქართულ კულტურაში შეაღწია **დიონისიუსის** კორპუსის მეშვეობით, რომლის ავტორიც, **შალვა ნუცუბიძისა** და ბელგიელი მეცნიერის **ჰონიგმანის** ვარაუდით, იყო მაიუმის ეპისკოპოსი, უდიდესი ქართველი მოაზროვნე **პეტრე იბერი** (401-491).

რომაულ-ბიზანტიური ტრადიციების მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნებოდა ლიბერალურ-დემოკრატიულ და ტოლერანტულ პრინციპებს.

მეფე დარბაზთან ერთად მართავდა ქვეყანას. XII საუკუნეში, **თამარ მეფის** დროს, **ყუთლუ-არსლანის** დასმა წამოაყენა „ისნის კარავის" იდეა, რომელიც გულისხმობდა მეფის უფლებების შეზღუდვას და ძალაუფლების გადანაწილებას, რაც ევროპაში 80 წლის მერე განხორციელდა. XII საუკუნის დასაწყისში **დავით IV აღმაშენებელმა** დააარსა და ფაქტიურად ცალკე გამოყო **„სააჯო კარი"**, ანუ სასამართლო, სადაც ნებისმიერს შეეძლო საჩივრის შეტანა, მათ შორის გლეხსაც, ბატონის წინააღმდეგ. ინგლისის

მსგავსად, ქართულ მართლმსაჯულებაში **ნაფიც მსაჯულთა** ინსტიტუტის ჩანასახი არსებობდა, როდესაც განაჩენს საგანგებოდ შერჩეული 12 კაცის ჩვენების საფუძველზე მიიღებდნენ (სასამართლოში ცალკე იყო სისხლის სამართლის საქმეები, ცალკე კი – სამოქალაქო).

საქართველოს სამართალი, ევროპის მსგავსად, იცავდა კერძო საკუთრებას. **მიწაზე კერძო საკუთრება**, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, საუკუნეების მანძილზე საქართველოში გაბატონებული სისტემა იყო და კერძო საკუთრება მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ქართული საერო სამართალი ყველაზე მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც კი არ განიხილავდა **სიკვდილით დასჯას** ან სხეულის მძიმე დაზიანებას (ღალატის შემთხვევაში სიკვდილით დასჯაზე ან დაბრმავებაზე გადაწყვეტილებებს ინდივიდუალურად იღებდნენ). **ქართული კანონი ქალის უფლებებს იცავდა.** ქალები, მამაკაცთა მსგავსად, მემკვიდრეობასაც იღებდნენ და ქვეყნის მართვასა და დიპლომატიაში მონაწილეობდნენ.

ისტორიულ მეხსიერებას არ შემოუნახავს ქალის სიკვდილით დასჯის არც ერთი შემთხვევა (ევროპისაგან განსხვავებით). გენდერული, სქესთა შორის, თანასწორობის იდეა ასახულია, როგორც იურიდიულ და ისტორიულ დოკუმენტებში, ასევე მხატვრულ ნაწარმოებებში (მაგ., **შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“** – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდაც ხვადია“. აკრძალული იყო ქალის მოტაცება. კანონი მკაცრი იყო მათ მიმართ, ვინც უსამართლოდ ტოვებდა ცოლს, რადგან ოჯახი განიხილებოდა, როგორც სახელმწიფოს საფუძველი. გაყრის შემთხვევაში **კანონი მუდამ ქალის მხარეს იყო,** მაშინაც კი თუ გაყრის

მიზეზი ქალის ღალატი იყო, კანონი ცდილობდა დაეცვა ქალის უფლებები და ამ შემთხვევაში მისთვის მზითვის უკან დაბრუნებას ითხოვდა (**ალექსანდრე დიუმა,** რომელიც თბილისში 1858 წლის ბოლოს იმყოფებოდა 2 თვით, წერდა, რომ ქართველი ქალბატონების ჩაცმულობა იტალიურ მოდას მხოლოდ ორი კვირით ჩამორჩებოდა).

1054 წელს ქრისტიანული სამყარო ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო: კათოლიკეებად და მართლმადიდებლებად. მიუხედავად მომხდარი ფაქტისა, ეს მოვლენა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და სამეფო ხელისუფლებას იმთავითვე არ უცვნია და ისინი ინარჩუნებდნენ კავშირს კათოლიკურ ეკლესიასთან XV საუკუნემდე (კავკასიაში რუსეთის გამოჩენამდე). მაგალითად: 1223 წელს **რუსუდან მეფე** და მხედართმთავარი ივანე მხარგრძელი უგზავნიან წერილს **რომის პაპს** და მას მოიხსენიებენ როგორც „მამას", „ყველა ქრისტიანთა მთავარს".

1318 წელს სოხუმში დაარსდა კათოლიკური საეპისკოპოსო, 1328 წელს რომის პაპმა გააუქმა სმირნის საეპისკოპოსო და იგი თბილისში გადმოიტანა. ამ დროიდან საქართველოში ჩამოსვლას იწყებენ ევროპელი კათოლიკე მისიონერები, რომლებიც აქ ბევრს იღწვოდნენ განათლებაკულტურის სფეროში და ქვეყანას აკავშირებდნენნ ევროპასთან. ქართველები ევროპელებთან ერთად მონაწილეობდნენ ანტიოსმალურ კოალიციებში.

სერიოზული ურთიერთობანი და მიწერ-მოწერა ჰქონდათ ევროპელ მონარქებთან ქართველ მეფეებს: გიორგი V ბრწყინვალეს, გიორგი VIIII-ს, კონსტანტინე II-ს, მამა-შვილ ლუარსაბ I-ს და სიმონ I-ს, თეიმურაზ I-ს, გიორგი XI-ს, ვახტანგ VI-ს, ერეკლე II-ს და სხვებს. ქართველ მოღვაწეებს ევ-

როპელებთან ურთიერთობა არც მაშინ შეუწყვეტიათ, როცა მეფის რუსეთმა მოტყუებით, ვერაგულად მოახდინა საქართველოს ანექსია 1801 წელს. 117-წლიანი რუსული მონობისაგან გათავისუფლებულმა საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ **ნოე ჟორდანიას** მეთაურობით 1918 წლის 26 მაისიდან კვლავ დაიწყო ევროპასთან ურთიერთობის განახლება და გაფართოება, თუმცა, 1921 წლის თებერვალში აქ შემოჭრილმა ბოლშევიკურმა რუსეთმა ძალით დაამხო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა და თავისი მარიონეტები დასვა. დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ ხელი არ მოაწერა კაპიტულაციას და დამფუძნებელი კრების დადგენილებით ემიგრაციაში ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში წავიდა. 1992 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა და გეზი კვლავ ევროპისაკენ აიღო. ასეთი მჭიდრო ურთიერთობები საქართველოს ევროპასთან არასოდეს ჰქონია. საქართველო ნელ-ნელა საკუთარ ადგილს იკავებს ევროპულ სივრცეში და უბრუნდება ევროპის წიაღს, საიდანაც ის ოსმალებმა და რუსებმა იძულებით მოწყვიტეს.

კითხვები:

1. რა არის ევროპა და რა ხალხები და ერები მოიაზრება ევროპაში?
2. რა არგუმენტებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საქართველო ევროპის ნაწილი და ევროპული ქვეყანაა?
3. როგორია თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია?

§2 ქართულ-ევროპული ურთიერთობანი ანტიკურ ხანაში და ქრისტიანობის გავრცელება ქართლში

ისტორიამ ქართველი ხალხი და ქართული კულტურა არა ერთხელ დააყენა აღმოსავლურსა და დასავლურს (აზიასა და ევროპას) შორის არჩევანის წინაშე. **ქართველთა არჩევანი ყოველთვის ევროპას ერგებოდა ხოლმე.**

ისტორიულ არჩევანთა შორის ყველაზე დიდი – ქრისტიანობის ანუ ევროპეიზმის სასარგებლოდ გაკეთდა. ქრისტიანობით გაშინაარსდა და შემოისაზღვრა ის დიდი კულტურული სივრცე, რასაც დღევანდელი ევროპული კულტურული სამყარო ჰქვია. ამ სამყაროს რაგვარობის განსაზღვრაში კი საქართველოც მონაწილეობდა. იგი არა მხოლოდ ერთგულობდა ევროპული ცივილიზაციის იდეალებს, არამედ ქრისტიანობა სახელმწიფო და ეროვნულ იდეალებთან, ეთნიკურობასთან გააიგივა.

ქრისტიანობის გავრცელებას კი წინ უძღოდა ევროპულ სამყაროსთან დაახლოება და ორივე კულტურის ურთიერთგამსჭვალვა.

გეოგრაფიულადაც და, რაც უდრო მნიშვნელოვანია, სულიერი და კულტურული თვალსაზრისით, საქართველოს თავი მუდამ მიაჩნდა ევროპული ცივილიზაციის ნაწილად.

ევროპა კი მაშინ უპირატესად ორიენტირებული იყო ბერძნულ (ელინურ) მოდელზე, რაც ქართველებშიც გავრცელდა ძვ. წ. VI-V საუკუნეებში აქ დაარსებული ბერძნული სავაჭრო ფაქტორიების (კოლონიების) – დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე), ფაზისი (ფოთი), პიტიუნტი (ბიჭვინთა) და სხვათა მეშვეობით. ამ მოდელისთვის დამახასიათებელი იყო:

საქართველოს პარლამ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მრავალრიცხოვანი, პოლიტიკურად დეზინტეგრირებული (დაქსაქსული) პოლისის ორგანიზაციის მონოეთნიკური სტრუქტურები ცენტრალიზებული ხელისუფლების გარეშე;

ბ) თავისუფალ მოქალაქეთა მიერ მიღებული კანონების უზენაესობა, პოლიტიკური ხელმძღვანელის გაღმერთების სრული გამორიცხვა;

გ) მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლების მაღალი ხარისხი;

დ) კანონებისა და პოლისის ერთგულება – მოქალაქეობრივი და პატრიოტული თვითშეგნების უმაღლესი გამოხატულება;

ე) თავისუფალი პიროვნების, მოქალაქის უფლებათა აღიარება და მათი მიჩნევა საზოგადოების ფუნქციონირების საფუძვლად;

ვ) უპირატესად იმ ღირებულებათა აღიარება, რომლებიც კრიტიკული და ანალიტიკური განსჯის შედეგად მიიჩნევა უმაღლეს ჭეშმარიტებად;

ზ) ერთიანი ოფიციალური სახელმწიფო ენის არარსებობა, წერილობით საკომუნიკაციო საშუალებად რომელიმე დიალექტის გამოყენება.

ამისაგან განსხვავებით, აზია (აღმოსავლეთი) ორიენტირებული იყო სრულიად საპირისპირო მოდელზე, რომლის მემკვიდრედ 558-330 წლებში ძველი წელთაღრიცხვით სპარსეთის აქემენიდების იმპერია მოგვევლინა.

რამდენადაც მკვეთრად იკვეთებოდა დაპირისპირება ევროპა-აზიას შორის, იმდენად ნათელი ხდებოდა, რომ საჭირო იყო მისი ნეიტრალიზაციაც, რათა ეს ორი სამყარო კულტურულად რამდენადმე გაერთიანებულიყო. აქემენი-

დების დროს ამ დაპირისპირების გადასაწყვეტად ვერ მონახეს უკეთესი გზა, ვიდრე ერთი სამყაროს მიერ მეორის დაქვემდებარება, დაპყრობა (ამის კარგი მაგალითია ბერძენ-სპარსელთა ომები ძვ. წ. V-IV საუკუნეებში). ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად **ალექსანდრე მაკედონელი** წარმოგვიდგება. მის მიერ შექმნილი მსოფლიო იმპერია ანუ ელინისტური სამყარო შედეგი იყო სამი ერთიანობის პრინციპის განხორციელებისა: პოლიტიკურ-ეკონომიკურის, კულტურულის და ენობრივის, რაც ნიშნავდა განსხვავებული და მრავალგვარი ელემენტების ინტეგრაციას ცივილიზაციის ერთიან სტრუქტურაში. ევროპა-აზიის დაპირისპირების საქმეში უფრო მეტ ნეიტრალიზაციას მიაღწია რომის იმპერიამ, რომელმაც რომაული მშვიდობის (Pax Romana) იდეოლოგიას დაუქვემდებარა მის მიერ დაპყრობილი მსოფლიოს დიდი ნაწილი. თუმცა, იმპერიის ფარგლებში, მაგრამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მსოფლიო რამდენადმე ერთი გახდა. **პომპეუსის** ლაშქრობის შემდეგ (ძვ. წ. 65 წ.) ძველი იბერიაც ამ სამყაროს ნაწილი გახდა და ევროპულ-ქართული ინტეგრაციაც რეალურად მაშინ დაიწყო. ეს ურთიერთობა ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ამაზე მეტყველებს ქართველი მეფის – **ფარსმან II „ქველის“** დიდი ამალით სტუმრობა რომში და მისი იქ დიდი პატივით მიღება.

თუმცა, ამ დაპირისპირების მოხსნას ევროპულ-აზიურ სამყაროს შორის უფრო მეტად გარეგნული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე შინაგანი. სწორედ ამიტომ ანტიკური სამყაროს დაქვეითებისა და რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ამ დაპირისპირებამ ახალი ძალით იჩინა თავი. იგი სულ უფრო

მეტად გადაიქცა დაპირისპირებად ჯერ ქრისტიანობა-მაზდეანობას, მერე კი ქრისტიანობასა და მუსულმანობას შორის. ქრისტიანობა უპირატესად მოერგო იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროპაში იყვნენ განლაგებულნი და რომლებსაც ეგეოსურ-ელინური კულტურული ძირები ჰქონდათ, ხოლო მეორე იდეოლოგია იმ ქვეყნებს, რომლებიც აზიაში იყვნენ განლაგებულნი და რომელთაც მესოპოტამიური კულტურული ფესვები ჰქონდათ.

ახალმა რელიგიამ, ქრისტიანობამ, მისი აღმოცენებიდან ოფიციალურ დამკვიდრებამდე რთული და ძნელი გზა განვლო. I-IV საუკუნეებში მან განიცადა ხანგრძლივი დევნა და შევიწროება, მაგრამ ამ გზაზე იგი განმტკიცდა და შეკავშირდა. უკვე II საუკუნის მიჯნაზე რომის ეკლესიამ უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა ქრისტიანულ სამყაროში. ეს იმიტომ, რომ იგი მოქმედებდა იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში და მაგნიტივით იზიდავდა სხვა ქვეყნების ქრისტიანებს.

ქრისტიანობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო IV საუკუნის დასაწყისში. 313 წლის თებერვალში რომის იმპერატორმა **კონსტანტინე I დიდმა** (რომელმაც ჩაანაცვლა ქრისტიანთა მდევნელი და **წმინდა გიორგის** სიკვდილით დამსჯელი დიოკლეტიანე) „მილანის ედიქტით" თავის ქვეშევრდომებს ნება დართო, რომ ქრისტიანობა უშიშრად ელიარებინათ და იგი ოფიციალურ რელიგიადაც იქნა მიჩნეული.

ქრისტიანობა ყველა ქვეყანაში ერთდროულად არ გავრცელებულა, რომაელთა გავლენით ქრისტიანობამ ძალზე ადრე შეაღწია საქართველოში. პირველად იგი გავრცელ-

და დასავლეთ საქართველოში – **აჭარა-კოლხეთში** პირველ საუკუნეში.

უძველესი გადმოცემის თანახმად აქ ქრისტიანული სარწმუნოება იქადაგეს თვით ქრისტეს მოციქულებმა – წმინდა **ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა** და **მატათამ**. სვიმონ კანანელი აქვე გარდაცვლილა და დაუკრძალავთ აფხაზეთში, ანაკოფია-ათონის მიდამოებში, სადაც შემდეგ დიდი ტაძარიც კი ააგეს.

(როდესაც მოციქულებმა მსოფლიოს ცალკეული ქვეყნები გაიყვეს საქადაგებლად, საქართველოს გაქრისტიანება წილად ხვდა **ღვთისმშობელს**. ამიტომ საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უწოდებენ. როცა ის საქართველოში გასამგზავრებლად მოემზადა, უფალმა მისი იერუსალიმში დარჩენა ინება და აღუთქვა, რომ მომავალში მისი წილხვედრი ქვეყანა გაბრწყინდებოდა. ამის შემდეგ ღვთისმშობელმა საქართველოს მოქცევა მიანდო წმინდა ანდრია პირველწოდებულს და სვიმონ კანანელს. მოციქულებმა ღვთისმშობლისაგან მიიღეს ხატი და ქრისტიანობის საქადაგებლად წამოვიდნენ საქართველოში). ასე რომ, ქრისტიანული თემები მოციქულთა დროიდან, პირველი საუკუნიდანვე ჩნდება საქართველოში.

საქართველოს ნამდვილი მოქცევა კი მოხდა მოგვიანებით, კერძოდ IV საუკუნეში მოციქულთა სწორის **წმინდა ნინოს** მიერ, რომელიც იყო მთავარმოწამე **წმინდა გიორგის** ბიძაშვილი. დღეს საკამათოდ არ ითვლება, რომ **წმინდა ნინო წარმოშობით ქართველია**. იგი იყო კაპადოკიიდან, სადაც მკვიდრობდნენ ქართველები (კოლხები, ჭანები), აქედანვე იყო წმინდა გიორგიც, რომელიც დღემდე ყველა-

ზე მეტად უყვართ და რომლისაც ასე სწამთ ქართველებს. ეს დაახლოებით 326 წელს მოხდა.

ამრიგად, საქართველოში ქრისტიანობამ რომის იმპერიის თანადროულად გაიმარჯვა. ნიკეის საეკლესიო კრებას (325 წ.) უკვე ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი **სტრატოფილე**. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა, რადგან იმდროინდელი საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომთან და ქართლი და ეგრისი რომის იმპერიის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ორბიტაში მოქცეული.

მიჩნეულია, რომ კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) დროს გაქრისტიანებული საქართველოს **მირიან მეფის** თხოვნით თავისი პირველი იერარქია რომიდან განეწესა, ხოლო შემდეგ ქართული ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული. ქართლის ეკლესიამ ავტოკეფალია **ვახტანგ გორგასლის** დროს მოიპოვა 487-488 წლებში, რაც დაადასტურა 681 წელს კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ბერძნულ-რომაული ეკლესიის გავლენა X საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა (უნდა ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში IX საუკუნემდე ქართული წარწერაც კი არაა აღმოჩენილი – ძირითადად სულ ბერძნულია). X საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ავტოკეფალია მოიპოვა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, XI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა და ეკლესიებში ღვთისმსახურება იქ ქართულ ენაზე დაიწყო.

ნიშანდობლივია, რომ წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა უყურადღებოდ არ დარჩენიათ რომში, სადაც აინტერესებდათ „ქართლის საქმენი". გადმოცემით გამოგზავნილმა მთავარდიაკონმა იხილა რა ქართლში ნინოს მიერ მოხდენილი სასწაულები, მან ისინი აღწერა მატიანეში. ამას უკავშირდება ასევე **რომის პაპის სილვესტრი I** (314-335) წერილი წმინდა ნინოსადმი, რომელშიც უჩვენებდა იმ გზას, რომელიც ეკლესიას უნდა გაევლო. ამ გზამ გამოიწვია რომთან სარწმუნოებრივი კავშირის განმტკიცება. ნიშანდობლივია ისიც, რომ წმინდა ნინო რომის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა (15 დეკემბერს მისი დღესასწაული აღინიშნება რომში). რომის ეკლესიასთან მჭიდრო კავშირი შემდეგაც გაგრძელდა. ცნობილია იბერიის კათალიკოსის კირიონ I (596-610) წერილი რომის პაპის გრიგოლ I დიდისადმი.

ქართლის კათალიკოსს **კირიონ I-ს** (იგი ჯავახეთიდან იყო წარმოშობით) სწავლა გაუგრძელებია საბერძნეთში, მცირე აზიის ქ. კოლონიაში, სადაც 15 წელი დაუყვია და საფუძვლიანი განათლება მიუღია. რადგან კირიონი აღზრდილი იყო საბერძნეთში დიოფიზიტურ ტრადიციებზე, ის ქართლში შემოსვლის შემდეგ დაუპირისპირდა სომხურ მონოფიზიტობას. სომხებთან სარწმუნოებრივ დავაში კირიონი მედგრად იცავდა **ქალკედონის კრების** (451 წ.) ქრისტოლოგიას და ამით ქართული ეკლესიის თვითმყოფადობას.

გრიგოლ I დიდმა საპასუხო წერილი მისწერა კირიონს (გრიგოლ I დიდის ლიტერატურული მემკვიდრეობა „დიალოღონი", „ქადაგებანი", „მწყემსებრივი დარიგებანი" ქართულად თარგმნა შემდგომში **ექვთიმე მთაწმინდელმა**. გრი-

გოლ I დიდის „დიალოღონში“ მოხსენიებულია V საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი). ის ფაქტი, რომ კირიონმა რომის პაპს მიმართა და არა კონსტანტინეპოლის პატრიარქს, მიუთითებს იმაზე, რომ იბერიის ეკლესია განსაკუთრებულ ავტორიტეტად მიიჩნევდა რომის პაპს და რომთან ურთიერთობას.

რომის პაპის გრიგოლ I დიდის წერილი კირიონ I-სადმი მოწმობს, რომ ქართველებსა და რომაელ ქრისტიანებს შორის მისვლა-მოსვლა და სარწმუნოებრივი ურთიერთობა ადრეულ საუკუნეებში არსებულა, ამასთან საქართველოს სასულიერო მესვეურებს სარწმუნოების საკითხებში რომთან უფრო ჰქონია კავშირი, ვიდრე ბერძნებთან, რომლებმაც ბევრჯერ გადაუხვიეს მრწამსიდან.

VII საუკუნე – ეს ის პერიოდია, როცა საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო განხეთქილება უკვე კარგა ხნის მომხდარი ფაქტია და საქართველოს ეკლესია საბოლოოდ გაეთიშა მონოფიზიტობას და დიოფიზიტობა აღიარა ევროპასთან ერთად. სომეხ მონოფიზიტებთან გამართულ კამათში კირიონ I-ს მხარი დაუჭირეს რომაელებმა. ამით კირიონმა აღმოსავლეთ საქართველოს თავიდან ააცილა გაირანელება-გასომხების საფრთხე და დასავლეთ საქართველოს დიოფიზიტურ მოსახლეობასთან საეკლესიო ერთიანობა უზრუნველყო.

ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის ავტორიტეტი VIII-IX საუკუნეებში საქართველოს ფარგლებს გასცდა და შავი ზღვის რეგიონში გავრცელდა. გავლენის სფეროებისა და იურისდიქციის ასეთმა ზრდამ ხელი შეუწყო საზღვარგარეთ მისი ავტორიტეტის ამაღლებას. ამ დროიდან სხვა ეკლესიებთან დამოკიდებულებაში საქართველოს ეკლესი-

ას შეეძლო ბევრად უფრო დამოუკიდებელი და მიზანდასახული ყოფილიყო, ვიდრე წინათ. ამიტომ იგი სრულიად განზე იდგა ბიზანტიაში გავრცელებული ხატთმებრძოლეობიდან და დევნილ ხატთთაყვანისმცემლებს მფარველობდა კიდეც. ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ასეთმა ურყევმა დაცვამ ისე შორს გაუთქვა მას სახელი, რომ თვით ყირიმის გუთების საეკლესიო წინამძღოლი, სახელად **იოანე 759** წელს მცხეთაში ჩავიდა, რათა გუთების ეპისკოპოსად ეკურთხებინა ქართლის კათალიკოსს **იოანე მეორეს.**

ქართული ეკლესიის სარწმუნოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა რომისა და ბიზანტიის ეკლესიებთან გრძელდებოდა ამ ორი ეკლესიის სქიზმის (გათიშვის) შემდეგაც (1054 წ.).

კითხვები:

1. რა ხასიათის იყო ქართულ-ევროპული ურთიერთობანი ანტიკურ ხანაში?
2. რას ნიშნავდა ქართველებისათვის ქრისტიანობის მიღება?
3. როგორი იყო ქართულ-რომაულ-ბიზანტიური საეკლესიო ურთიერთობანი IV საუკუნიდან?

§3 ევროპელი ჯვაროსნები და საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ-ევროპული სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობანი კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა XI საუკუნის ბოლოდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1054 წლის სქიზმა, ქრისტიან-კათოლიკებისა და მართლმადიდებლების გათიშვა საქართველოს იმთავითვე არ უცვნია. ქართული ეკლესია ინარჩუნებდა ურთიერთობას ორივე მხარესთან. ამაზე კარგად მეტყველებს **გიორგი მთაწმინდელის** მოღვაწეობა და შეხედულებანი, ისევე როგორც ქართველთა ურთიერთობა ევროპელ ჯვაროსნებთან, ქართველ მეფეთა მიმოწერა რომის პაპებთან და ა.შ.

ცნობილია, რომ XI საუკუნის 60-70-იანი წლებიდან საქართველოსა და ბიზანტიას, წინა აზიას უდიდესი საფრთხე შეუქმნეს იმჟამინდელმა მსოფლიო დამპყრობლებმა – თურქ-სელჩუკებმა. შინაგანი წინააღმდეგობებითა და რელიგიური ბრძოლებით დასუსტებულმა ბიზანტიამ რეალური წინააღმდეგობა ვერ გაუწია მათ. ბიზანტიის იმპერატორს **რომანოზ IV დიოგენის** მცდელობას, რომ აღედგინა სახელმწიფოს მთლიანობა, წარმატება არ მოჰყოლია. 1071 წლის 19 აგვისტოს ბიზანტია მანასკერტთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა თურქ-სელჩუკებთან და დაკარგა თითქმის მთელი მცირე აზია, სირია და პალესტინა წმინდა ქალაქით – იერუსალიმით, სადაც თავმოყრილი იყო ქრისტიანთა მთავარი სალოცავები.

ბიზანტიის დამარცხების შემდეგ საქართველო მარტო დარჩა თურქ-სელჩუკებთან. 1080 წლიდან საქართველოში დაიწყო ე.წ. „დიდი თურქობა“ – მომთაბარე სელჩუკთა ყოველწლიური გამანადგურებელი და ამაოხრებელი თავდასხმები, რის შედეგად აღმოსავლეთ საქართველო მიწას-

თან იქნა გასწორებული, მოსახლეობა კი აყრილი და ტყეღრეში გახიზნული. ქვეყანა თურქებს დიდ ხარკსაც უხდიდა.

1088 წელს მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ასევე დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. ამ გაუსაძლის ვითარებაში საქართველოს სამეფო კარზე მშვიდობიანი სამეფო გადატრიალება მოხდა და ტახტი დაიკავა გიორგი II-ის 16 წლის ვაჟმა, პირადი ღირსებებით და ნიჭით დაჯილდოებულმა **დავით IV-მ აღმაშენებლად** წოდებულმა. მან დაუყოვნებლივ დაიწყო უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარება და წესრიგის დამყარება ქვეყანაში, ასევე ლაშქრის ორგანიზაცია და პარტიზანული ბრძოლები.

ამ ამოცანის განხორციელებაში მას ხელი შეუწყო შიდაპოლიტიკური მიზეზებით სელჩუკთა დასუსტებამ და ასევე ჯვაროსნული ომების დაწყებამ თურქთა წინააღმდეგ.

თურქ-სელჩუკების მიერ იერუსალიმის დაპყრობამ შეუძლებელი გახადა მომლოცველთა მიერ წმინდა ადგილების მონახულება, განსაკუთრებით კი ქრისტეს საფლავის, რომელიც მუსულმანებმა ჩაიგდეს ხელში. ეს აძნელებდა რელიგიურ კონტაქტებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამიტომ პალესტინის ქრისტიანული წმინდა ადგილების მუსულმანებისაგან გათავისუფლება ჯვაროსნული ლაშქრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. ამ იდეის სულისჩამდგმელი იყო რომის პაპი, წარმოშობით ფრანგი **ურბან II (1088-1099)**, რომელიც იყო მაღალი ზნე-ჩვეულებების მქონე და ენერგიული პიროვნება.

ურბან II პირადად გაემგზავრა საფრანგეთში, რათა 1095 წლის ოქტომბერში კლერმონში სინოდზე გამოეცხადებინა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა დევიზით: „დე-

უს ლე ვოლტ“ (ღმერთს ასე ნებავს). 1096 წელს დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები, რომლებიც 200 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

დასავლეთიდან – ევროპიდან წამოსულ ჯვაროსანთა ლეგიონები 1097 წლის ბოლოს გადავიდნენ მცირე აზიაში. ამ დროს საქართველოს ძლიერების ხმა უკვე გავრცელებული იყო. ეს ფაქტი ევროპიდან მოსულ ჯვაროსნებს არ გამოპარვიათ, რადგან ქართველებსაც და მათაც თურქსელჩუკთა სახით საერთო მტერი ჰყავდათ.

როცა **იერუსალიმი** გაათავისუფლეს და ჯვაროსნებმა პირველი ლაშქრობების შედეგად ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფო დააარსეს, მათ ადგილობრივ ქართველებთანაც დაამყარეს საქმიანი ურთიერთობა. ამის საუკეთესო მაგალითია ის წერილი, რომელიც იერუსალიმის კანტორს **ანსოს** პარიზის ეპისკოპოსის და ღვთისმშობლის ტაძრის კრებულისათვის 1108 წელს გაუგზავნია.

ამ წერილის მიხედვით, იმ დროის იერუსალიმში ყოფილა დედოფალი, დავით IV აღმაშენებლის პირველი მეუღლე (სომხის ქალი), რომელსაც მონაზვნობა მიუღია. ანსოს ინფორმაციით, იერუსალიმში შიმშილობა ჩამოვარდნილა, რის გამოც დედოფალი იძულებული გამხდარა მონასტრის საჭიროებისათვის საქართველოდან წამოღებული მეფისეული ძვირფასი ჯვარი გაეყიდა, რაც პირადი საჭიროებისათვის არ ჩაუდენია. პარიზში რომ დაეჯერებინათ გაგზავნილი ჯვრის სამეფო წარმოშობა და კუთვნილება, ანსომ აღნიშნული დედოფალი ქვრივად გამოიყვანა, რის გამოც წერილში დავით აღმაშენებელი გარდაცვლილად არის მოხსენიებული.

ანსომ ქართველთა ჯვრის შეძენის შესახებ წერილი გააგზავნა პარიზში, საიდანაც წმინდა რელიქვიის ჩამოსა-

ტანად წარმოუვლენიათ **ბერი ანსელმი**, რომელიც გზაში გარდაცვლილა, ხოლო მის შვილს პარიზის ეპისკოპოსი **გალონი** დიდის ამბით მიგებებია და ჯვარი 1109 წლის 30 ივლისს სენ-კლუს ეკლესიაში დაუსვენებიათ. იმავე წლის 1 აგვისტოს კი ეს ჯვარი ურიცხვი ხალხის თანდასწრებით, ზეიმით მოიტანეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში.

ეს წერილი საყურადღებოა, როგორც ქართველ-ევროპელთა (ლათინთა) ურთიერთობის ამსახველი საბუთი და ამასთან გვიჩვენებს, თუ რა აზრის ყოფილან ჯვაროსნები საქართველოზე. ანსო ფრანგ თანამემამულეებს წერს, რომ ამ ჯვარს ქართველთა მეფე დავითი დიდ თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა: „ის დავითი, რომელს, მისი წინაპრებივით კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს – ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ (მიდია) და სპარსთა წინააღმდეგ, ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“.

ამ ცნობიდან ცხადად ჩანს, რომ **ჯვაროსნებს საქართველო ბურჯად მიაჩნდათ** და მის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებდნენ თავიანთი ახალშენებისათვის სირია-პალესტინაში.

არანაკლები ქებითა და აღფრთოვანებით იხსენიებს დავით აღმაშენებელსა და ქართველთა ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებას დიდგორში ანტიოქიის ფრანკთა სამთავროს **კანცლერი გოტიე**, რომელიც პალესტინაში **ტანკრედისა** და **ბოჰემუნდ I**-ის ჯვაროსნებთან ჩამოსულა. ის თავის 1114-22 წლების ქრონიკებში აღწერს დავითის მიერ 1121 წლის აგვისტოში თურქ-სელჩუკ-არაბთა კოალიციის დამარცხებას **ილღაზის** მეთაურობით.

ამ შრომიდან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეორე ფრანგ მეფე **ბალდუინს** (1110-1118) ხშირად

საჩუქრებს უგზავნიდა და მათი ურთიერთობანი ფართო ხასიათის იყო სამხედრო დახმარების გაწევის ჩათვლით.

1119 წელს ბალატთან ილღაზის მიერ **როჟერ ანტიოქიელის** დამარცხების შემდეგ, ჯვაროსნები იძულებულნი გახდნენ ეძებნათ ახალი მოკავშირეები ქრისტიანთა შორის და უფრო ახლო კავშირი დაემყარებინათ დავით აღმაშენებელთან.

დავითს რომ ჯვაროსნებთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა, ეს მტკიცდება დიდგორის ბრძოლითაც. ამ ომში ქართველთა მხარეზე ფრანგი ჯვაროსნების 200-კაციანი რაზმიც იბრძოდა, **გოტიეს კი დავითი ჯვაროსნად ჰყავს გამოყვანილი.**

იმ ხანებში საქართველოსა და ჯვაროსანთა ინტერესები საერთო მტრის დამარცხების საკითხსში ერთმანეთს ემთხვეოდა. საქართველო ამ დროს თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. თუ მუსულმანურ გარემოცვასთან საქართველო დამარცხდებოდა, მაშინ ისინი პირს იბრუნებდნენ ჯვაროსნებისაკენ.

ამიტომ დავითის მიერ **ილ-ღაზისა** და თურქ-სელჩუკთა დამარცხებამ დიდი სიხარული გამოიწვია ჯვაროსნებში და ამით დავითმა მათ უდიდესი დახმარება გაუწია. ჯვაროსნები დავითის ბრწყინვალე გამარჯვებას ქრისტიანობის საერთო გამარჯვებად თვლიდნენ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავის თხზულებაში ხშირად იხსენიებს საფრანგეთის „მეფეებსა და ხელმწიფეებს". ძალზე საინტერესო ცნობას გვაწვდის **იოანე ბატონიშვილი,** რომლის მიხედვით დავით აღმაშენებლის მიერ ლორეს აღების მეორე წელს საქართველოში დავრიშის სახით ფარულად ჩამოსულა იერუსალიმის მეფე **ბალდუინ II** (1119-1131) დავით მეფის სანახავად და „განმსტრობად

ივერიისა“ და მცირე ხნის შემდეგ ისევ უკან, ფარულად გაბრუნებულა. დამტკიცებულია, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალიმისათვის. **ანა კომნენის** ცნობით, ქართველთა ლაშქარი ჯვაროსანთა ომში მონაწილეობის მისაღებად გავიდა და შავ ზღვაში დაიღუპა.

ამრიგად, დავით აღმაშენებელი მეტად პოპულარული პიროვნება იყო ჯვაროსანთა შორის. დიდგორის გახმაურებულმა გამარჯვებამ სათავე დაუდო იმ ლეგენდას, რომელიც ჯვაროსანთა წრეში შეიქმნა და მთელი ევროპა მოიარა. **მეფე-ხუცესი (პრესვიტერი) იოანე**, რომლის სახეში მითოლოგიური აზროვნებით დავით აღმაშენებელი და მისი მემკვიდრე დემეტრეა გაერთიანებული, ჩრდილოეთიდან შემომავალი გოგისა და მაგოგის შესაკავებლადაა მოვლენილი. **მან ქრისტიანული მსოფლიო განსაცდელისაგან უნდა დაიხსნას**. ამ ლეგენდით კიდევ ერთხელ დასტურდება დიდგორის ბრძოლის საერთაშორისო მნიშვნელობა მაშინდელი დასავლეთ ევროპისათვის.

ვინაიდან ევროპაში მოიაზრებოდა ქრისტიანული სივრცე, ჯვაროსნების ცნობიერებაში იყო, რომ ისინი კი არ იპყრობდნენ აღმოსავლეთის მიწებს, არამედ იბრუნებდნენ მას. მათთვის პალესტინა განიხილებოდა – როგორც ქრისტიანთა სამყოფელი. ჯვაროსანთა თვალსაზრისით, დავითის ჯარი ლათინთა ბუნებრივი მოკავშირეა. მათ ქრისტიანული საქართველო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა, დავით აღმაშენებელს კი ჯვაროსნების ეს ბრძოლა დამპყრობთა განდევნას და მათზე გამარჯვებას უადვილებდა. **ზურაბ ავალიშვილის** გონივრული დასკვნით „XII-XIII საუკუნეების საქართველო იმას კი არ ფიქრობდა, რომ იარაღად ემსახურა ჯვაროსანთა მიზნები-

სათვის. მისი ცდა იყო საკუთარი ცხოვრების უზრუნველ-ყოფა, დაცვა და ეროვნულ ძალთა გაშლა".

ამავე ხანებში საფუძველი ჩაეყარა ჯვაროსანთა და ქართველთა შორის კულტურულ ურთიერთობასაც. ამ მხრივ საგულისხმოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე **წმინდა სებასტიანეს** ისრით გამსჭვალულ-ული შიშველი სხეულის გამოსახვა. წმიდა სებასტიანე ქ. რომის მფარველად ითვლებოდა. მის გამოსახვას მართლმა-დიდებელი ეკლესიის ხელოვნება საერთოდ ერიდებოდა. ჯვაროსანთა ეპოქაში შექმნილმა ახალმა ვითარებამ, რო-გორც ჩანს, დაარღვია ეს ტრადიცია. ამის შედეგი უნდა იყოს ამ ქართული სავანის გამგებელთა სურვილად ჯვრის მონასტრის კედლებზე ჯვაროსანი რაინდების საყვარელი წმინდანის დახატვა.

დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკებთან ბრძო-ლის და ევროპელებთან კავშირის განმტკიცების ტრადი-ცია განაგრძეს მისმა მემკვიდრეებმა **დემეტრე I-მა (1125-1156), გიორგი III-მ (1156-1184)** და **თამარ მეფემ (1184-1213).**

საქართველოს მეფეთა ურთიერთობას ჯვაროსნებთან და იერუსალიმელ ლათინებთან **თამარის ისტორიკოსიც** ადასტურებს: „სძღვნობდეს და სძმობდეს მას (გიორგი III-ს) მეფენი ბერძენთაგანი, იერუსალიმს – ალამანთანი (გერმა-ნელები) და ჰრომთანი". გიორგი III-ის დროს ქართველები იცნობდნენ **ბალდუინ III-ს** და **ბალდუინ IV-ს.** პირველი მათგანი 1154 წელს სვინაქსარშიც კი ყოფილა მოხსენიებუ-ლი.

1189 წელს ეგვიპტის უძლიერესმა სულთანმა **სალა-დინმა** კვლავ აიღო იერუსალიმი. პაპის **კლიმენტი III-ის** მიერ ორგანიზებულმა მესამე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ

(1189-1192) სასურველი შედეგი ვერ მოიტანა და იერუსალიმი ისევ მუსულმანებს დარჩათ. ისლამის ოკეანეში მოქცეულმა ჯვაროსნებმა და ქრისტიანულმა ახალშენებმა იმედის თვალი კვლავ საქართველოს მიაპყრეს.

თამარის მეფობის დროს საქართველომ უდიდეს ძლიერებას მიაღწია. მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს ქალიხელმწიფის სხვა იდეალი, რომელიც ისე მაღლა იდგეს, როგორც **თამარ მეფე**. მის მიერ გადახდილი ძლევამოსილი ომები (1195 წ. შამქორთან, 1202 წელის ბასიანთან) მუსულმანთა წინააღმდეგ დიდ ზეიმს იწვევდა ჯვაროსანთა ბანაკში. **საქართველო ისლამის შემმუსვრელად და ქრისტიანობის დამცველად გამოდიოდა.** ჯვაროსნები ხედავდნენ სირია-პალესტინის ქართულ რელიგიურ სავანეთა სიმდიდრეს, უხვ შეწირულობებს და, როგორც ჩანს, თქმულებებიც შეთხზეს, თუ როგორ იცავდნენ ქრისტიანთა სიწმინდეებს ჩვენი მეფენი და მათ გამოსყიდვასაც ცდილობდნენ მტრისაგან. თამარ მეფეს ზემოაღნიშნულ სალადინისაგან წმიდა ჯვრის გამოსყიდვა განუზრახავს. თამარის სახელი საქართველოს საზღვარს გასცდა. მის მომხიბვლელობას ევროპელებმაც ვერ აუარეს გვერდი. ერთ-ერთი ევროპული ქრონიკის მიხედვით „ფრანკი მეზღვაურები შავ ზღვაზე ცურვისას კარგ ამინდში თამარ დედოფლის სადიდებელს მღეროდნენ“.

ამ და სხვა მსგავს გამონათქვამებზე დაყრდნობით ვარაუდობდა ვენის უნივერსიტეტის პროფესორი **რობერტ ბლაიხშტაინერი, რომ შუა საუკუნეების ევროპელი რაინდობა ქართულის გავლენას განიცდიდაო.** საინტერესოა ისიც, რომ გერმანიის იმპერატორმა **ფრიდრიხ II შტაუფენმა** წამოჭრა საკითხი საქართველოსთან დინასტიური კავ-

შირისა – ის თამარს ქმრად თავის ერთ-ერთ ვაჟს სთავაზობდა.

1192-93 წლებში ბერძნები და ქართველები თამარ მეფის ჯვრით შეეცადნენ იერუსალიმის და მის მახლობლად მდებარე დაკარგული მიწების გამოსყიდვას. თამარ მეფემ 200 ათასი ოქროს დინარი აძლია ჯვრის გამოსახსნელად, მაგრამ სარკინოზები (მუსულმანები) არ დათანხმებულან.

თამარის მემკვიდრეს, **ლაშა-გიორგის** (1213-1223) სახელი ასევე პოპულარული იყო ჯვაროსანთა შორის. რაინდული სულისკვეთების მქონე ჭაბუკი მეფისაგან ჯვაროსნები ხსნას ელოდნენ. ამის საუკეთესო მაგალითია ის წერილი, რომელიც ვინმე რაინდს – **დე ბუა** ბეზანსონის არქიეპისკოპოსის, **ამედე დე ტრამლეისათვის** გაუგზავნია. იგი წერდა: „აწ ისმინეთ... საკვირველი და საყურადღებო ამბად მივიღე, და საქმის ჭეშმარიტებაა სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიითაგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრებით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელ დახმარებით ძალითა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს... ზემო აღნიშნულნი წმიდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი, წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს (მაკედონელი) ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ეს დედამისის – დედოფლის – უძლიერესის თამარის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა

დასდვა, და შვილსა თვისსა თხოვა, თუ მიიცვლებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ“.

ამ წერილით კარგად ჩანს, თუ რა მოუთმენლად ელოდნენ ჯვაროსნები საქართველოს ძლევამოსილი მხედრობის სამხრეთისაკენ გალაშქრებას, როგორ ცდილობდნენ ამ იმედით თანამემამულეთა წაქეზებას ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ და რა დიდი იყო ჯვაროსანთა აღფრთოვანება და პატივისცემა ლაშა-გიორგისადმი.

ლაშა-გიორგიმ რომის პაპის, **ჰონორუს III-ის** მოწოდებით გადაწყვიტა მიმხრობოდა ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობას. ამის შესახებ ჩვენ ცნობას **რუსუდან მეფის** (1223-1245) რომის პაპ **ჰონორუს III-სადმი** 1224 წლის 12 მაისს მიწერილ წერილში ვგებულობთ. ლაშა-გიორგის, როგორც ჩანს, პაპის მოწოდება უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ჯვაროსნობა უტვირთია: „ეს თავად მისი სურვილი იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, რათა... წამოვსულიყავით ქრისტიანთა დასახმარებლად და წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად“-ო. ლაშა-გიორგის ეს მცდელობა ჩაშალა 1220 წელს საქართველოში მონღოლთა 20 ათას კაციანი მზვერავი ლაშქრის შემოჭრამ. მათი გაბრუნების შემდეგ, 1221 წელს ლაშა-გიორგი კვლავ სირია-პალესტინისაკენ გასალაშქრებლად ემზადებოდა, მაგრამ მონღოლებთან მიღებული ჭრილობა დაუმძიმდა და მალე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ თავად რუსუდან მეფე და ივანე მხარგრძელი ჰპირდებოდნენ რომის პაპს 40-ათასიანი ლაშქრით დახმარებას წმიდა საფლავის გასათავისუფლებლად, მაგრამ ჯერ **ჯალალ ად-დინის** (1125) და მერე კი მონღოლთა დამაქცევარმა ლაშქრობებმა საქართველოში ეს ყველაფერი ჩაშალა. საქართველო თავად შეიქნა დასახმარებელი.

ამრიგად, ჯვაროსნული ომების ხანაში საქართველო-ევროპის ინტერესები ერთმანეთს ჩაეწნა. საერთო მტერთან ბრძოლა ქართველ-ევროპელთა ინტერესებს აახლოებდა. რელიგიური მოტივით დაწყებული ომები ფაქტიურად ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში გადაიზარდა. ევროპელი ჯვაროსნები ქართველთა სავანეებს პალესტინაში არ შეხებიან. უფრო მეტიც, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ (1204) ათონის ქართველმა ბერებმა პაპის იურისდიქცია აღიარეს, რის გამოც ბერძნებმა მათთან კავშირი გაწყვიტეს. ამ პერიოდშიც საქართველო პოლიტიკურად და სულიერად ევროპას ეკუთვნოდა, ისევე როგორც – ეკონომიკურად.

კითხვები:

1. რამ გამოიწვია დავით აღმაშენებლისა და ევროპელი ჯვაროსნების დაახლოება?
2. როგორ გაგრძელდა ქართველთა და ჯვაროსანთა ურთიერთობა თამარისა და ლაშა-გიორგის დროს?
3. რა შედეგები მოიტანა ქართველთა და ჯვაროსანთა დაახლოებამ?

§4 ქართულ-ევროპული ურთიერთობანი შუა საუკუნეებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურული განვითარება მიმდინარეობდა ერთ წყობად დასავლურ სივრცეში ჯერ ელინურ სამყაროში, შემდეგ რომის იმპერიაში და ასევე ბიზანტიურ სივრცეში. თუმცა, იგი თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ცდილობდა დამოუკიდებელი პოლიტიკური პირობების შექმნას და ქმნიდა კიდეც თვითმყოფად კულტურას, რომლის ზოგადი ღირებულებები მსგავსი იყო იმ ხალხების კულტურისა, ვისთან ერთადაც იგი ქმნიდა თავდაპირველ ანტიკურ, შემდეგ კი ქრისტიანულ კულტურას. საქართველო, როგორც ანტიკური რომის არსებობის ხანაში, ასევე შუა საუკუნეებშიც ასრულებდა თავის პოლიტიკურ ფუნქციას – დაეცვა რომაული (ევროპული) სივრცე ბარბაროსებისაგან. მისი ფუნქცია ყოველთვის გამოკვეთილია, როგორც კავკასიის კარიბჭის მცველისა, საიდანაც გადმოდიოდნენ ბარბაროსები. ამის საუკეთესო მაგალითია **ვახტანგ გორგასალის** ქმედება, რომელმაც დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა დარიალის კარი, რომელიც იცავდა რომის სივრცეს ბარბაროსებისაგან.

შუა საუკუნეებში ერთიანი სივრცის განსაზღვრისა და იდენტობისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წმინდანთა კულტს, რომელიც აერთიანებს ერთნაირად მოაზროვნე ქრისტიანულ საზოგადოებას. ამ პერიოდში ერთიანი ქრისტიანული სივრცის აღქმის დასტურია წმინდანთა საერთო ინსტიტუტის არსებობა. ერთიანი წმინდანთა ინსტიტუტის არსებობა ადრე შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის დასტურდება **მიხეილ თა-**

მარაშვილის მიერ შეგროვილ ზოგადი ეკლესიის ისტორიის მასალებში, (მაგ.: ლოცვა რომის **პაპის ლეონ I-სადმი,** რომელმაც რომი იხსნა ჰუნების შემოსევისაგან, აღევლინება ქართულ ეკლესიაშიც).

ქრისტიანულ სივრცეში ერთნაირია მსოფლგანცდაც. ამ ეპოქის აზროვნებაში ერთნაირად არის გადმოცემული განცდა სასჯელისა ცოდვებისათვის თუ ღვთის შემწეობა განსაცდელში. ასევე მსგავსადვეა მოტივირებული ქმედებანი. უფლის შემწეობა ბრძოლაში და მოდელი კონსტანტინე დიდის მიერ უფლის შემწეობით (ჯვრის წინაძღვრობით) წარმართებთან გამარჯვების მოპოვებისა ასევე გადმოტანილი მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ქართველების ბრძოლაში მონაწილეობა ყოველთვის მოტივირებულია ქრისტიანულად და ყველა გამარჯვება თუ მარცხი არის ღვთის გამგებლობა, რომელსაც ასევე აქვს მოტივირება შესაბამისი ქრისტიანული იდეოლოგიით.

სამხედრო მსოფლმხედველობა, ომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულება ისეთივე ევოლუციის გზას გადის საქართველოში, როგორც ეს ხდება საერთოდ ევროპულ სივრცეში. თავდაპირველად ქრისტიანებს მიაჩნდათ, რომ ომი და სისხლისღვრა მიუღებელია ქრისტიანთათვის. შემდეგ ეტაპზე ჩნდება სამართლიანი ომის გაგება, ანუ ომი ურწმუნოებთან სამშობლოს და ქრისტიანობის დასაცავად („მეფეთა მეფე გიორგი – მესიის მახვილი"). თუ ადრე მიიჩნეოდა, რომ ქრისტიანი, ქრისტეს მხედარი, მხოლოდ ლოცვითა და მორჩილებით ემსახურებოდა ღმერთს, შემდგომში მისი აზროვნება განიცდის ტრანსფორამციას. ის ხდება ქრისტეს მხედარი და იარაღით ხელში იცავს სამშობლოსა და სარწმუნოებას.

ევროპასთან მდებარე საქართველოს თითქმის ერთი საუკუნე (1235-1335) უწევდა მონღოლთა ველური და ძლიერი ურდოების შეკავება. **მონღოლთა დარტყმებს სწორედ საქართველო იღებდა,** პერიოდულად მათი ძარცვის ობიექტი ხდებოდა და მსოფლიო ისტორიის ამ კრიტიკულ მომენტში **ევროპის გადარჩენაში დიდი წვლილიც შეიტანა.** საუბედუროდ, ევროპამ საქართველოს სამაგიერო დახმარება ვერ აღმოუჩინა.

1323 წელს ევროპაში ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა იგეგმებოდა. საქართველოს მეფე **გიორგი V ბრწყინვალის** წერილში საფრანგეთის მეფე **ფილიპ ვალუასადმი** საყვედური გაისმა, რომ: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აქეზებენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, შემდგომ ისინი აღარ მოდიან, ტოვებენ რა აღმოსავლეთის მეფეებს მარტოდ ამ მტანჯველ ომში“ (აქ „აღმოსავლეთის მეფეებში“ ქართველი მეფეები იგულისხმებიან, ხოლო საფრანგეთის მეფეებს ფართო მნიშვნელობა აქვს და მთელ დასავლეთ ევროპას ფარავს).

1328 წელს რომის პაპის ბრძანებით გაუქმდა სმირნის საეპისკოპოსო, რომელიც თბილისში იქნა გადატანილი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საეპისკოპოსო ეკლესიის აშენებაზეც. ამ პერიოდიდან საქართველოში აქტიურად ჩამოდიან ევროპელი კათოლიკე მისიონერები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ევროპასთან ურთიერთობის შენარჩუნებაში.

XV სუაკუნის დასაწყისში გენუა ოდიშის მთავრისგან და საქართველოს მეფისაგან საქართველოში სავაჭრო ფაქტორიის დაარსების უფლებას ითხოვდა, თუმცა გენუამ სა-

ვაჭრო ფაქტორია სებასტოპოლისში (სოხუმი) დააარსა მხოლოდ 1354 წელს. 1354-1453 წლებში ამ სავაჭრო ფაქტორიის მართვა ქ. კაფადან ხორციელდებოდა. 1453 წელს ფაქტორია გადაეცა „წმიდა გიორგის ბანკს". იმ წლებში არა მარტო ქართული, არამედ ირანიდან და შარვანიდან შემოტანილი აბრეშუმი საქართველოს გავლით გადიოდა ევროპაში. ევროპასთან ასევე სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას შეეცადა სამეგრელოს მთავარი **ლევან II დადიანი** (1611-1657), რომელმაც ევროპელი ვაჭრები მიიწვია სამთავროში, რათა დაეარსებინა კომპანია საქართველოს გავლით ირანული აბრეშუმის ევროპაში გასატანად. მსგავსი პროექტი განმეორდა 1714 წელს, რომლის ზოგიერთი პარაგრაფი განიხილავდა ვაჭრობას საფრანგეთსა და ირანს შორის საქართველოს გავლით.

ფლორენცია-ფერარას საეკლესიო კრებაზე (1439) გამორჩეულ სტუმრებს შორის იყვნენ ქართველი მიტროპოლიტი და დიდებული აღმოსავლეთ საქართველოდან, რომლებმაც მალულად დატოვეს კრება. კრებაზე დასწრების მიუხედავად ქართველებმა ხელი არ მოაწერეს ფერარა-ფლორენციის უნიას, რადგან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვა არ სურდათ.

1453 წელს ბიზანტიის იმპერია გადადგურდა და კონსტანტინეპოლს და შავი ზღვის აუზს ოსმალები დაეპატრონენ. მათ სასიკვდილო საფრთხე შეუქმნეს როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ასევე ევროპის ქვეყნებს.

1454 წელს რომის პაპმა **ნიკოლოზ II** ნება დართო **ლუდოვიკო ბოლონიელს,** რათა ჩამოეყალიბებინა ანტიოსმალური კოალიცია, რომელშიც სხვებთან ერთად ქართველებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. 1460 წელს ლუდოვი-

კო ბოლონიელმა თან წაიყვანა საქართველოს მეფის **გიორგი VIII-ის** და სამცხის ათაბაგის **ყვარყვარეს** დესპანები **ნიკოლოზ თბილელი** და **ქუსუდანი (ფარსადანი),** რომლებიც ევროპაში გაემართნენ ხუთ დესპანთან ერთად უნგრეთის, ვენის, ვენეციის, რომის და მილანის გავლით. 1461 წლის მაისში ქართველმა დესპანებმა საფრანგეთს მიაღწიეს. ისინი დაესწრნენ ახალი მეფის ლუი XI-ის ტახტზე ასვლას, ეწვივნენ ბურგუნდიის ჰერცოგ **ფილიპეს.** მიუხედავად წარუმატებლობისა, ქართველებს ევროპასთან დაკავშირების იმედი არ დაუკარგავთ. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგაც კი, 1471 წელს ქართლის მეფემ **კონტანტინე II-მ** ელჩი გააგზავნა ვენეციაში – ქართველი მეფე მზად იყო თურქთა წინააღმდეგ 30 ათასიანი ჯარი გამოეყვანა. 1495 წელს კონსტანტინე მეორემ მეორე **ელჩი ნილო** გააგზავნა წმინდა ბასილის ორდენის მოწესე ძმა **ზაქარიასთან** ერთად ესპანეთის მეფე **ფერდინანდ მეორესთან** და **დედოფალ იზაბელასთან.** მასპინძლებმა დააფასეს ქართველი მეფის ელჩის ვიზიტი და საჩუქრებისათვის მადლობა გადაუხადეს, თუმცა უარი თქვეს ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობაზე. ელჩები ასევე შეხვდნენ რომის პაპს **ალექსანდრე VI-ს** და მასაც გადასცეს ქართლის მეფის წერილი, რომელშიც ის ევროპელებს მუსულმანების წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოუწოდა. პაპმა პასუხად კონსტანტინე მეფეს ფერარა-ფლორენციის კრების გადაწყვეტილება გამოუგზავნა და ურჩია მიერთებოდა მას. **საქართველოს დაშლამ XV საუკუნის ბოლოს გააადვილა მისი დანაწილება ოსმალეთსა და სპარსეთს შორის.** იმ დროიდან ლტოლვა გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს საერო და სასულიერო მოღ-

ვაწეების ძირითად მიზნად იქცა. ამ გზაზე მათ დასავლეთ ევროპა პოტენციურ მოკავშირედ მიაჩნდათ და მასთან კონტაქტის დამყარებას ყველანაირი საშუალებით ცდილობდნენ. ასეთი მაღალი მიზნის მისაღწევად ქართული ელიტა მზად იყო, სარწმუნოებრივ დათმობაზეც კი წასულიყო. ბევრი მათგანი კათოლიკობასაც კი იღებდა დასავლეთიდან მხარდაჭერის მიღებისა და ქვეყნის გათავისუფლების იმედით.

XVI საუკუნის I ნახევარში ქართლის მეფე **ლუარსაბ I** (1534-1558) სომეხი დესპანების მეშვეობით შეეცადა რომის პაპთან კავშირის დამყარებას და აცნობებდა მას, რომ საქართველოს მეფეები და მმართველები აღიარებდნენ პაპის უზენაესობას. რომის პაპმა **კლიმენტი VII** (1592-1605) ქართველ მეფეებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი სთავაზობდა მათ მორიგ ანტიოსმალურ კოალიციაში (გერმანია, ვენეცია, ესპანეთი და სპარსეთი) მონაწილეობას. 1596 წელსვე პაპისადმი მიწერილ წერილში ლუარსაბის ძე, **სვიმონ მეფე** (1558-1601), რომის პაპს მოიხსენიებდა როგორც „სულიერ მამას", „უდიდეს პაპს" და ითხოვდა მის მხარდაჭერას ოსმალების წინააღმდეგ. ანალოგიური თხოვნით სვიმონმა ესპანეთის მეფესაც მიმართა, ამასთანავე თხოვდა მიემხრო გერმანიის იმპერატორი **რუდოლფ II** კოალიციისაკენ. თავის წერილში სვიმონი პირდებოდა, რომ იქნებოდა პაპის ერთგული. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ეს ცდაც წარუმატებლად დამთავრდა.

ამრიგად, ქართულ-ევროპული ურთიერთობანი შუა საუკუნეებში ვითარდებოდა, საქართველო ევროპის პარალელურად ავითარებდა თავის პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებს, ცდილობდა კავშირების დამყარებას ევ-

როპასთან მას შემდეგაც კი, რაც თურქებმა აიღეს კონსტანტინეპოლი და ქართველებს გადაუკეტეს ევროპასთან დამაკავშირებელი გზები.

კითხვები:

1. რა ფუნქცია ჰქონდა საქართველოს ევროპისათვის შუა საუკუნეებში?
2. როგორ ვითარდებოდა ქართულ-ევროპული ურთიერთობები თურქთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ?

§5 ქართულ-ევროპული დიპლომატიური ურთიერთობანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოდან ევროპაში და ევროპიდან საქართველოში დიპლომატიური მისიების გაგზავნას, დიპლომატიურ მიწერ-მოწერას რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს. წინა პარაგრაფებში ჩვენ მოვიყვანეთ ასეთი ურთიერთობის რამდენიმე მაგალითი.

XV-XVII საუკუნეებში სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს გადარჩენის ურთულესი პერიოდი ედგა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ (1453) ძალზე გართულდა ურთიერთობა ევროპასთან. ეს კი უარყოფითად აისახა საქართველოს შემდგომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე. დაიწყო ანტიოსმალური კოალიციების მოწყობის დაუსრულებელი ხანა.

ამ ეპოპეაში ევროპის პოლიტიკური მოღვაწეები ქრისტიანულ საქართველოში სავსებით სწორად ხედავდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ენერგიულად მებრძოლ ძალას. სწორედ ამის გამო იყო, რომ ევროპელმა ავტორებმა (**ტომაზო მინადოი, ულუგბეგ ბაიათი, დონ ანტონიო დე გოვეა, ფოროლიმო ფრანზეტა, იშტვან ტომპარი, ქრისტოფერო ვარზევსკი**) არაერთი აღმაფრთოვანებელი დახასიათება შემოგვინახეს ქართლის მეფის **სიმონ I-ის** უჩვეულო მამაცობის და თავგანწირული ბრძოლის თაობაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია იტალიელი ჟურნალისტიკის ფუძემდებლის, **ბერნარდო ბეკარის** სტატიები სიმონ I-ის მიერ ოსმალების წინააღმდეგ წარმოებული გმირული ბრძოლების შესახებ, რომელიც 1598-1599 წლებში იტალიური გაზეთის პირველ გვერდზე იბეჭდებოდა. ავტორი ქართლის მეფეს უშიშარ მებრძოლად თვლიდა და თურქების განადგურების

საქმეში მის დამახურებას უტოლებდა **იოანეს ჰუნიადის, სკანდერბერგის** და **დონ ხუან ავსტრიელის** მოღვაწეობას. ბეკარის სტატიები ფართო გამოძახილს იწვევდა ევროპაში, განსაკუთრებით უნგრეთში.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ფრანგული ეროვნული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელმა, **ანრი III-ის** მრჩეველმა და პარლამენტის პრეზიდენტმა, სიმონ მეფის თანამედროვე **ჟაკ ოგიუსტ დე ტუმ** კლასიკურ ნაშრომში („უნივერსალური ისტორია") განსაკუთრებული პატივი მიაგო ქართლის მეფის გმირულ ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ. ავტორი სიმონ I-ის ბრძოლას სულთნის წინააღმდეგ საერთაშორისო ევროპული პოლიტიკის კონტექსტში განიხილავდა. ამ საკითხზე მან იმდროინდელ ევროპელ მკითხველს სრული წარმოდგენა შეუქმნა იმის თაობაზე, თუ როგორ იცავდა თურქთა საშიშროებისაგან საქართველო აღმოსავლეთში ქრისტიანულ სამყაროს.

XVII-XVIII საუკუნეებში ევროპული სამყაროსათვის საქართველოს გაცნობის და დიპლომატიური ურთიერთობების გაგრძელების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს კათოლიკე მისიონერებმა **პიეტრო დელა ვალემ, პიეტრო ავიტაბილემ, დონ კრისტოფერო და კასტელიმ** (მან თავისი ცნობილი ნახატებით ევროპას გააცნო საქართველო), **შარდენმა** და სხვებმა.

საქართველოში თეატინელი მისიონერების ჩამოსვლა დაემთხვა ევროპაში (ესპანეთსა და რომში) ცნობილი ქართველი საერო და საეკლესიო მოღვაწის ნიკიფორე ირბახის (ერისკაცობაში **ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი**) ელჩობას.

1625 წლის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ქართველებმა მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები გადაიტანეს **შაჰ აბას I-თან** და ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე მოიწვიეს **თეიმურაზ I**, ამ უკანასკნელმა ევროპაში გაგზავნა ელჩობა, რომელსაც სათავეში ედგა **ნიკიფორე ირბახი**. იგი უნდა ჩასულიყო ჯერ რომში, ხოლო შემდეგ – მადრიდში. ნიკიფორეს მიჰქონდა თეიმურაზ I-ის 1625 წლის 20 ნოემბერს ქართულად დაწერილი წერილები რომის პაპ **ურბან VIII-სთან** და ესპანეთის მეფე **ფილიპე IV-სთან**. ელჩს ასევე უნდა ენახა იტალიის პროვინციების ზოგიერთი მთავარი.

ირბახი ევროპაში იერუსალიმზე გავლით გაემგზავრა, რადგან თურქთაგან მოსალოდნელი ხიფათი აეცილებინა თავიდან.

იერუსალიმში ირბახი გაჩერდა ჯვრის მონასტერში, რომელიც იმ დროს უცხოეთში მყოფი ქართველების თავშესაფარი იყო. იგი შეხვდა იერუსალიმის პატრიარქს **თეოფანე IV-ს**, რომელსაც უთხრა, რომ გაგზავნილია ესპანეთსა და რომში თეიმურაზ მეფის მიერ დიპლომატიური და სამხედრო დახმარების მისაღებად ირანის შაჰის აბას I-ის წინააღმდეგ. პატრიარქმა თეოფანემ ესპანეთის მეფის ფილიპე IV-ის სახელზე დაწერა წერილი (1626 წლის 1 სექტემბერს) ბერძნულ ენაზე ქართველი ელჩის მადრიდში წარდგენისა და რეკომენდაციის შესახებ. იერუსალიმის პატრიარქი ესპანეთის მეფეს ევედრებოდა, რომ არ უარეყო თეიმურაზის თხოვნა და დახმარებოდა მას „შაჰ აბასისათვის შიშის მომგვრელი სიტყვებით ან ძალებით ორმუზის მხრიდან“. პატრიარქმა ირბახს თან გააყოლა არქიდიაკონი.

თეიმურაზ I ესპანეთის მეფეს ფილიპე IV-ს სთხოვდა ირანის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებას, ხოლო რომის პაპ ურბან VIII-ს ამ საქმეში შუამავლობას.

ცნობილია, რომ იმ დროს ირანსა და ესპანეთს შორის არსებობდა წინააღმდეგობა სტრატეგიული კუნძულის ჰორმუზის გამო, რომელიც შაჰ აბას I-მა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის დახმარებით წაართვა ესპანეთის მეფის ქვეშევრდომებს – პორტუგალიელებს. ამან წარმოშვა წინააღმდეგობა ირანსა და ესპანეთს შორის. სწორედ ამით ისარგებლა თეიმურაზმა და ევროპაში გაგზავნილ თავის ელჩს ნიკიფორე ირბახს დაავალა მოესინჯა ნიადაგი ირანის ან თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირის მოსაძიებლად.

მართალია, ამ ელჩობის დიპლომატიური მცდელობები უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მან სათავე დაუდო ეროვნული მნიშვნელობის დიდ კულტურულ მოვლენას. კერძოდ, **წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ** ისარგებლა რომში ირბახის ყოფნით (1628 წლის იანვარ-აგვისტო), შეეცადა მისი დახმარებით **დაეარსებინა ქართული სტამბა.** ეს იდეა ვატიკანს ეკუთვნოდა, რომელსაც სურდა გაევრცელებინა ქართველთა შორის კათოლიკობის საქადაგებლად გამოსადეგი წიგნები.

ნიკიფორე ირბახმა სათანადოდ შეაფასა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის პროგრესის თვალსაზრისით ქართული სტამბის დაარსებას მაშინ, როცა საქართველო მოკლებული იყო ამ საშუალებას. მისი დიდი ძალისხმევით და ვატიკანის დახმარებით 1629 წელს პროპაგანდა ფიდეს სტამბაში დაიბეჭდა **პირველი ქართული წიგნი „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართულ-**

იტალიური ლექსიკონი“. იმავე წელს დაიბეჭდა ირბახის მიერ ქართულად თარგმნილი პოპულარული კათოლიკური ლოცვა ღვთისმშობლისადმი **„ლიტანია ლაურეტანა“.** ირბახთან ერთად ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემას უდიდესი ამაგი დასდო იტალიელმა სტეფანო პაოლინიმ. ამ სტამბის დაარსება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში. 1629 წელს რომში ქართული წიგნის გამოცემა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პირველი შედეგიანი ცდა მტრული გარემოცვის გარღვევისა და კულტურის სფეროში დასავლეთ-ქრისტიანულ სამყაროსთან აქტიური ურთიერთობის აღდგენისა.

1629 წლის აგვისტოში, ევროპაში 3-წლიანი მოგზაურობის შემდეგ ნიკიფორე ირბახი საქართველოში, გორში დაბრუნდა. მან მეფეს მოახსენა ევროპაში მისი ელჩობის შედეგები და თეიმურაზ I-ს გადასცა პაპ ურბან VIII-ის 1628 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული წერილი. პაპი ურბან VIII მეფეს მხოლოდ რელიგიურ საკითხებზე მოახსენებდა. მასში გასაგებად და მოკლედ მოწონებული იყო თეიმურაზის სურვილი „შევიდეს კათოლიკური ეკლესიის რიგებში“.

პაპის ამ ეპისტოლემ თეიმურაზ I-ს გადაჭრით უკარნახა, რომ რომში გაეგზავნა ახალი ელჩობა **დონ პიეტრო ავიტაბილეს** მეთაურობით 1630 წლის 3 აგვისტოს. ავიტაბილეს თან მიჰქონდა თეიმურაზ მეფისა და **კათალიკოს ზაქარიას** წერილები რომის პაპისა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან. თეიმურაზის წერილში პაპისადმი დასმული არ იყო სამხედრო-პოლიტიკური საკითხები. ნიკიფორე ირბახის ელჩობის შედეგიდან გამომდინარე, მან კარგად დაინახა, რომ დასავლეთში რეალური მოკავშირის არჩევის შესაძლებლობა უმნიშვნელო იყო.

ახლა იგი შეეცადა მისიონერების საშუალებით რომთან რეალურად მოქმედი კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტები დაემყარებინა, რაც ერთი მხრივ გზას უხსნიდა მისიონერების მოღვაწეობას საქართველოში და მეორე მხრივ, ქართველებს საშუალებას აძლევდა მისიონერების საშუალებით ზიარებოდნენ ევროპულ კულტურას. ამ ურთიერთობის გამოძახილი იყო 1637 წელს გორში ჩამოსული მისიონერის დონ **ფრანჩისკო მარიო მაჯოს** მიერ ქართული ენის შესწავლა და შემდეგ **ქართული ენის გრამატიკის დაწერა,** რომელიც 1643 წელს დაიბეჭდა პროპაგანდა ფიდეს სტამბაში. ეს ნაშრომი იყო ქართული ენის თავისებურებათა შესწავლის **პირველი ცდა ევროპელთა მიერ,** პირველი გრამატიკა იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში.

1632 წლიდან 1744 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოს მუსულმანი ქართველი მეფეები მართავდნენ ირანის შაჰის იძულებით. მიუხედავად ამისა, ლტოლვა ევროპისა და ევროპული კულტურისაკენ არ შენელებულა. ეს ურთიერთობა კვლავ კათოლიკე მისიონერების მეშვეობით ხორციელდებოდა. ფრანგი სწავლულის დე **ლილის** მიხედვით „თიფლისი – საქართველოს დედაქალაქი – დიდი არ არის... მაგრამ ის ყველაზე მშვენიერი და მნიშვნელოვანი ქალაქია სპარსეთში... თბილისში 14 ეკლესიაა. მიუხედავად იმისა, რომ ის მუსლიმთა მმართველობის ქვეშაა და რეგიონს მუსლიმი მეფე მართავს, სპარსელებს არსად არა აქვთ მეჩეთი სასახლის გარდა. ქართველები ქედუხრელნი, ლაღები და მამაცები არიან. მართალია, ისინი დაპყრობილები არიან, მაგრამ „აქვთ შენარჩუნებული ბრძოლისუნარიანობა თავისუფლების დასაბრუნებლად“.

ქართლის მეფე **გიორგი XI** რომის პაპისადმი **ინოკენტი XI** გაგზავნილ წერილში გამოთქვამს სურვილს, რომ შეურთდეს ევროპელ მეფეებს, რომლებიც პაპის მფარველობის ქვეშ არიან. ის პაპს განუმარტავს, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია, კერძოდ სპარსელების მიერ ქვეყნის კონტროლი, არ აძლევს საშუალებას საჯაროდ აღიაროს კათოლიკობა, მაგრამ გიორგი XI პაპს ერთგულებას პირდებოდა და მის ნახვას ნატრულობდა. როცა მან გაიგო 1683 წელს ვენასთან ევროპელი მეფეების მიერ თურქთა დამარცხება, მან იტალიური ენის შესწავლა დაიწყო (**დიონიჯი კარლი**).

ქართლის მომდევნო მეფე **ერეკლე I** (1688-1703) იძულებული იყო ქრისტიანობაც ეღიარებინა და ისლამიც. **ტურნეფორის** გადმოცემით, „ის მიდიოდა მეჩეთში", „დადიოდა კაპუჩინთა ეკლესიაშია მესაზე, სადაც მისი უწმინდესობა პაპის დღეგრძელობისათვის ლოცულობდა".

ქართლის მეფე **ქაიხოსრო** (1709-1711) რომის პაპს ატყობინებდა, რომ მან კათოლიკობა მიიღო, მაგრამ იძულებული იყო ეს დაემალა, რადგან საქართველოს სპარსეთი აკონტროლებდა და სთხოვა მას, რომ ეს საიდუმლოდ შეენახა.

ქაიხოსროს მიერ ფარულად კათოლიკობის მიღება და სპარსეთში კათოლიკე მისიონერებისადმი გაწეული მფარველობა შემადგენელი ნაწილი იყო მისი ღვიძლი ძმის, ქართლის ჯანიშინის (1703-1712), შემდგომში კი მეფის **ვახტანგ VI-ის** მიერ ევროპაზე აღებული ორიენტაციისა. ამ ორ ძმას ემხრობოდა ასევე მესამეც – კათალიკოსი **დომენტი** (1705-1741), რომელმაც ქაიხოსროსთან ერთად წერილი გაუგზავნა რომის პაპს და უწოდა მას ქრისტეს მონაცვლე,

წმიდა სამოციქულო ეკლესიის მეთაური და გამოთქვა ერთგული ქვეშევრდომობის სურვილი პაპისადმი.

1709 წლის 21 აპრილს ავღანელებთან ბრძოლაში ირანში დაიღუპა გიორგი XI, იმავე წლის ივლისში ირანში გარდაიცვალა ქართლის ტახტის მემკვიდრე ლევანი, 1711 წლის 26 ოქტომბერს ასევე ავღანელებთან შეტაკებაში დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო (მასთან ერთად დაიღუპა ორი კათოლიკე მისიონერი, რომლებმაც არ მიატოვეს მეფე).

ვახტანგ VI-მ ჯანიშინობის პერიოდში გაატარა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიება, რითაც ძალზე გამოაცოცხლა ვითარება ქართლის სამეფოში. იგი თავისი წინამორბედი მეფეებივით მფარველობდა კათოლიკე მისიონერებს ქართლში.

ქაიხოსრო მეფის დაღუპვის შემდეგ ქართლის მეფის ტახტი გათავისუფლდა. **შაჰმა ჰუსეინმა** მაფობა ვახტანგ VI-ს შესთავაზა და ირანში გაიწვია. 1712 წლის აპრილში ვახტანგი 300-კაციანი ამალით ირანში ჩავიდა, სადაც მას მეფობის სანაცვლოდ გამაჰმადიანება მოითხოვეს. ვახტანგმა გამაჰმადიანებაზე უარი განაცხადა, რის გამოც იგი ირანში შინაპატიმრობაში მოაქციეს.

ირანში მყოფმა ვახტანგმა კათოლიკე მისიონერების მეშვეობით 1712 წლის ივლის-აგვისტოში მიიღო სტამბოლში საფრანგეთის ელჩის გრაფ **დეზალორის**, ხოლო 1713 წლის აპრილში საფრანგეთის მეფის **ლუი XIV-ისა** და კანცლერ გრაფ **დე პონშარტრენის** წერილები. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ირანში შინაპატიმრობაში მყოფმა ვახტანგმა 1713 წლის 17 ნოემბერს საფრანგეთსა

და რომში წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით დიპ-
ლომატიური მისიით გაგზავნა **სულხან-საბა ორბელიანი** –
გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე, მწერალი და ლექსი-
კოგრაფი. ეს იყო კარგად მოფიქრებული პოლიტიკური
ნაბიჯი და წარმოადგენდა ადრე განზრახული გეგმის
ხორცშესხმის ცდას.

როგორც წყაროებით დასტურდება, 1692 წელს სულ-
ხან-საბამ კათოლიკობა მიიღო. 1707 წლის 15 აგვისტოს
მან წერილი გაუგზავნა რომის პაპ **კლიმენტი XI-ს**, სადაც
აღიარა პაპის უზენაესობა. 1713 წლის 17 აგვისტოს
სულხან-საბა ორბელიანი ფრანგ მისსიონერ **ჟან რიშართან**
ერთად გაემგზავრა საფრანგეთში დიპლომატიური მისი-
ით. სულხან-საბას ევალებოდა საფრანგეთის მეფის და
ფრანგი მოღვაწეების მეშვეობით არა მარტო ირანის ტყვე-
ობიდან ვახტანგ VI-ს გათავისუფლება, არამედ საქართვე-
ლო-საფრანგეთის მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკუ-
რი ურთიერთობების ფორმების ჩამოყალიბება. აქედან გა-
მომდინარე, ვახტანგ VI-ის ევროპული პოლიტიკის მიზანი
მდგომარეობდა იმაში, რომ გამოეკვლინა, თუ რა სარგებ-
ლობის მიღება შეეძლო საქართველოს საფრანგეთისაგან
თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ამოცანების
გადაჭრის საქმეში.

ვახტანგმა შექმნილ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა
მიანიჭა ირანის ტყვეობიდან დასავლეთის საშუალებით
თავდახსნის მიღწევას. თუ საფრანგეთი ამ მიმართულებით
პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამდა და ქართლის ტახტზე
ვახტანგი ქრისტიანად ავიდოდა, მაშინ იგი აღმოსავლეთ-
ში საფრანგეთის მეფის და რომის პაპის მტკიცე საყრდენი
იქნებოდა.

დასავლეთ საქართველოდან სულხან-საბას და რიშარს თან გაჰყვა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის გრიგოლის წარმომადგენელი ბერი **დავით მეგრელი.**

1714 წლის 22 იანვარს სულხან-საბა, ჟან რიშარი და დავით მეგრელი დიდი წვალების შემდეგ მარსელში ჩავიდნენ. სულხან-საბამ წერილით რომის პაპს, კლიმენტი XI-ს შუამდგომლობა სთხოვა საფრანგეთის მეფესთან. რომის პაპმა თხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულა და სარეკომენდაციო წერილი მისწერა ლუი XIV-ს.

სულხან-საბა დიდი პატივით მიიღო საფრანგეთის მეფემ, **ლუი XIV-მ**, შემდეგ კი რომის პაპმა **კლიმენტი XI-მ.** პაპმა კანსაკუთრებული პატივისცემა გამოამჟღავნა: „თავზე მომეხვია და ჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა, ფეხზე დამაყენა. მე დაბლა ბოლო ვდგებოდი, გვერდს ახლო მიმიყვანა, მომიკითხა, მიალერსა". რომის პაპმა წერილი მისწერა ლუი XIV-ს ვახტანგ VI-სადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ: „მოიმოქმედე, რასაც ყველაზე საუკეთესოდ და სასარგებლოდ მიიჩნევდე ვახტანგ მეფის უსწრაფესი გათავისუფლებისა და გამოშვებისათვის".

რომის პაპმა მხარდაჭერის წერილი მისწერა ასევე ვახტანგ VI-ს.

1714 წლის სექტემბერში სულხან-საბა დიდი პატივით მიიღო ფლორენციის დიდმა დუკამ **კოზიმო III მედიჩიმ.** 1715 წლის იანვარში სულხან-საბა კვლავ სტამბულში დაბრუნდა და იქ დარჩა 1716 წლის მაისამდე საფრანგეთის საელჩოში – ელოდებოდა საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის დაპირებებს. საბოლოო ჯამში ევროპიდან დახმარება ვერ მოვიდა. ევროპას ირანი იმ მომენტში ძალზე სჭირ-

დებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ და ამიტომ მასზე ზეწოლა არ განახორციელა ვახტანგის გასათავისუფლებლად.

ამის მიუხედავად, ამ ელჩობას ევროპასთან ურთიერთობის გაგრძელების თვალსაზრისით უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

კითხვები:

1. რა იყო ევროპელი პოლიტიკოსების საქართველოთი დაინტერესების მიზეზი XVII-XVIII საუკუნეებში?
2. რა შედეგები მოჰყვა ნიკიფორე ირბახის ელჩობას ევროპაში?
3. რა მნიშვნელობა ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას ევროპაში?

§6 ევროპელი მისიონერები და საქართველო

ევროპელი მისიონერები

ქართულ-ევროპულმა ურთიერთობებმა ჯვაროსნული ომების შემდეგ განვითარება ჰპოვა ევროპელი მისიონერების საქმიანობაში, თუმცა საჭირო შემთხვევებში იგი პოლიტიკურ ხასიათსაც იძენდა.

საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის დაწყების თარიღად შეიძლება ჩაითვალოს 1233 წელი, როცა რომის პაპმა **გრიგოლ IX-მ** საქართველოში თავის წარმომადგენლად გამოგზავნა ფრანცისკანელი მისიონერი **იაკობ დე რუსანო** რამდენიმე მისიონერთან ერთად. მან საქართველოში დააფუძნა მისიონი და 1234 წელს უკან, რომში დაბრუნდა. მან პაპს მოახსენა რუსუდან მეფესთან შეხვედრისა და დიდებული მიღების თაობაზე და რომ რუსუდან მეფემ მათ სამოღვაწეოდ ფართო ასპარეზი გაუხსნა. ამ ცნობის საფუძველზე პაპმა რუსანო კვლავ საქართველოში გამოაგზავნა და წერილი გამოატანა მეფესთან, რომლითაც იგი რუსუდანს მოუწოდებდა, რომ მისიონერები მფარველობაში ჰყოლოდა. რუსუდანმა პაპს საპასუხო წერილი მისწერა და კვლავ რუსანოს გაატანა რომში. 1240 წელს გრიგოლ IX-მ რუსანო რვა მისიონერთან ერთად კვლავ საქართველოში გამოაგზავნა.

ამრიგად, რუსუდან მეფის „რომის ეკლესიასთან შეერთების" კონკრეტულ წინადადებას პაპი გრიგოლ IX-მ ასევე კონკრეტული ნაბიჯი შეაგება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: 1233 წელს საქართველოში დაარსდა ფრანცისკანელთა მისიონი, რომელსაც ხელმძღვანელობდა იაკობ დე რუსანო. იგი იყო რომის პაპის პირველი ლეგატი

საქართველოში, რომელმაც სრული წარმოდგენა შეუქმნა ვატიკანს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შესახებ. თუ რომის პაპ **ჰონორიუს III-ს** ქართული ეკლესია არ მიაჩნდა რომის ეკლესიისაგან განშორებულად, პაპ **გრიგოლ IX-სათვის** ეს უკვე რეალური ფაქტია. ამდენად, სწორია დიდი ქართველი მეცნიერის **მიხეილ თამარაშვილის** აზრი, რომ 1230 წლამდე „რომისა და საქართველოს სარწმუნოებრივი ერთობა მტკიცედ იყო დაცული, ხოლო ამ ხანების მერე მოხდა განცალკევება".

1240 წელს თბილისში **დომინიკანელებმა** თავიანთი რელიგიური მისიონი დააარსეს. მათ ფრანცისკანელ მისიონერებთან ერთად გაშალეს მუშაობა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისა და რომის ეკლესიასთან გაერთიანების მომზადებისათვის. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის მიუხედავად, ქართულ-ევროპული ურთიერთობანი რელიგიურ-კულტურული ფორმით გარკვეულწილად მაინც გრძელდებოდა. 1245 წლის 15 ივლისს პაპმა **ინოკენტი IV-მ** წერილი მისწერა „ქართველთა პატრიარქს", რათა იგი დაუბრუნდეს ერთიან ეკლესიას. ქართველთა პატრიარქი კი ამ დროს რომში ანგარიშგასაწევი პიროვნება ყოფილა, რომელიც მისიონერებს ყურადღებას არ აკლებდა. პაპი მას უშუალოდ მიმართავს: „ქრისტეს მიერ ღირსეულ ძმას, ჩვენს ქართველ პატრიარქს მოციქულებრივი ლოცვა-კურთხევა".

რომის პაპმა ნიკოლოზ IV-მ წერილები გამოუგზავნა საქართველოს მეფეს **დემეტრე II თავდადებულს** (1271-1289) და კათალიკოს **აბრაამ I-ს** (1280-1310) ეკლესიათა შეერთების წინადადებით. იგივე პაპი მოუწოდებდა დემეტრე II-ს

და დავით ნარინს ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა ეს ლაშქრობა ვერ განხორციელდა.

გიორგი V ბრწყინვალის დროს (1318-1346) საქართველომ შეძლო ძველი დიდების აღდგენა და დიდი ამბიციების გაცხადება. ამის გამოც იყო, რომ რომის პაპმა **იოანე XXII-მ** კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა სმირნიდან თბილისში გადმოიტანა. პაპმა წერილი გაუგზავნა გიორგი ბრწყინვალეს, სადაც იგი თხოვდა, დაუჩქარე შინა მუშაობა ეკლესიათა გაერთიანებისათვისო (აქ არ იდგა საკითხი ქართველი მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიისადმი დამორჩილებისა, არამედ ორივე ეკლესიის გაერთიანებისა). იმჟამად ეკლესიათა გაერთიანების საქმე ვერ მოხერხდა, თუმცა რომის პაპები მომდევნო პერიოდშიც ცდილობდნენ ეს საქმე ბოლომდე მიეყვანათ. ქართველები გარკვეულ პირობებში იყვნენ თანახმა ეკლესიათა გაერთიანებაზე, კერძოდ, თუ ვატიკანი რეალურ სამხედრო მხარდაჭერას აღმოუჩენდა საქართველოს (ეს კი მომდევნო საუკუნეებშიც ვერ მოხერხდა).

1370 წლის შემდეგ, გართულებული საერთაშორისო მდგომარეობის და 1453 წელს ბიზანტიის დაცემის გამო საქართველოში კათოლიკე მისიონერები აღარ ჩამოსულან.

რეფორმაციის შედეგად დასუსტებული კათოლიკური ეკლესიის გაძლიერებისა და კათოლიკური რწმენის გავრცელების მიზნით რომის პაპმა **გრიგოლ XV-მ** 1622 წლის 22 ივნისს შექმნა **„კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე“**.

კონგრეგაციის წევრებს სრული უფლება ჰქონდათ წარემართათ მისიონერთა საქმიანობა და ამ მიზნით არჩევდნენ მისიონერებს სხვა ქვეყნებში გასაგზავნად.

ამისათვის მომდევნო პაპმა **ურბან VIII-მ** შექმნა პროპაგანდის კოლეჯი, რომლის მთავარი დანიშნულება იყო მოემზადებინა მისიონის ქვეყნისათვის მღვდლები. კოლეჯი განკუთვნილი იყო ყველა ერისა და რასის სასულიერო პირისათვის (1662 წელს კოლეჯში 22 ეროვნების წარმომადგენლები სწავლობდნენ. კოლეჯში ორი ფაკულტეტი იყო – ფილოსოფიისა და თეოლოგიის. ქართველებს ამ კოლეჯში 2 ადგილი ეთმობოდათ). საჭირო გახდა საღმრთო წერილების თარგმნა სხვადასხვა ენებზე, ასევე უნდა დაბეჭდილიყო ლიტერატურული, დოგმატური, კატეხიზმოს ნაწარმოებები. ასევე საჭირო გახდა ხელახლა დაბეჭდილიყო და გამრავლებულიყო მრავალი საეკლესიო აქტი და ცირკულარი, რომლებშიც მსჯელობა იქნებოდა მსოფლიოს მრავალ ხალხთა ენებზე. ამიტომ 1626 წლიდან დაიწყო მრავალეროვანი სტამბის ორგანიზება.

წარმოუდგენლად მცირე დროში, დაახლოებით ერთ წელიწადში, შეიქმნა საბეჭდი დაზგა, რომელსაც 15 ენაზე შეეძლო ბეჭდვა, **მათ შორის ქართულად.**

1628 წლის ივნისში **წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ** გადაწყვიტა თავის სტამბაში მოემზადებინა ქართული ასოები, როგორც საეკლესიო, ისე საერო. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა კონგრეგაციამ 1628 წლის სექტემბერში. ასე შეიქმნა მსოფლიოში პირველი ქართული სტამბა, სადაც **ნიკიფორე ირბახმა** და **სტეფანე პაოლინიმ** პირველი ქართული წიგნი დაბეჭდეს.

კათოლიკე მისიონერებთან პირველად კავშირი დაამყარა კახეთის მეფემ **ალექსანდრე II-მ** (1574-1605), რომელმაც თავის სამეფოში მიიწვია ისინი. როგორც ცნობილია, ამ დროს ოსმალეთის წინააღმდეგ კათოლიკურ დასავლეთ-

თან მოკავშირის მაძიებელ **შაჰ აბას I-ს** (1587-1629) დიპ-ლომატიური მიზნით ქრისტიანთა დამცველად მოჰქონდა თავი. ამ პოლიტიკიდან გამომდინარე, იგი მის ქვეშევრდომ ქრისტიანულ საქართველოში ხალისით უწყობდა ხელს ევროპელი კათოლიკე მისიონერების საქმიანობას, ,რითაც კათოლიკურ დასავლეთს ქრისტიანთა დამცველად მოაჩვენებდა თავს. სწორედ ამ ნაბიჯით იყო ნაკარნახევი შაჰ აბას I-ის სიტყვები ქართველი ელჩისადმი: „უთხარით თქვენს მეფეს (ალექსანდრე II-ს – ვ. შ.), თუ ის ქრისტიანია, უნდა ემორჩილებოდეს რომის უწმინდეს პაპს, ვინაიდან მე კარგად ვიცი, რომ ის, ვინც ამას არ აკეთებს, არ არის კარგი ქრისტიანი". ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ალექსანდრე მეორემ და ალავერდელმა მიტროპოლიტმა **დუშ ანჟუშს** აღუთქვეს დახმარება კახეთში კათოლიკური ეკლესიის გასახსნელად.

ალექსანდრე მეორის პოლიტიკა გააგრძელა და განავითარა თეიმურაზ I-მა. ევროპისადმი ქართველთა აშკარა სიმპათია, პატივისცემა და სამოციქულო ტახტისადმი მუდმივი კონტაქტის დამყარების სურვილი გაითვალისწინეს კათოლიკე მესვეურებმა და 1616 წელს საქართველოში გამოგზავნეს ნახჭევანში დომინიკანელთა წინამძღვარი – ვიკარიუსი წმ. მამა **პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა.** იგი საქართველოში 1616 წლის ივნის-ივლისში იმყოფებოდა. მან საქართველოს შესახებ მოკლე „ცნობები" შეადგინა და რომის პაპ **პავლე V-ს** წარუდგინა, რომელიც 1621 წელს ცალკე ბროშურად დაიბეჭდა ნეაპოლში. **ეს იყო სტამბურად დაბეჭდილი პირველი ბროშურა, რომელიც შეიცავდა ცნობებს საქართველოს შესახებ.** ქართველ მღვდლებს მარია ჩიტადინისათვის განუცხადებიათ, რომ „ყველა თავს

ძალზე ბედნიერად ჩასთვლიდა, თუ რომის ქრისტიანები მათ ქვეყანაში ჩამოვიდოდნენ... ისინი დიდ წყალობად ჩასთვლიდნენ, რომ მათთვის გვესწავლებინა და მათი ყმაწვილები ჩვენს დისციპლინაზე აღგვეზარდა".

ჩიტადინიმ შეადგინა რომის ეკლესიასთან ქართული ეკლესიის გაერთიანების გეგმა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის უთხოვია საქართველოში ოთხი მისიონერის გაგზავნა.

შაჰ აბას I-ის ტყვეობაში (1613-1624) მყოფ **ქეთევან დედოფალს**, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ შეეცვალა ქრისტიანული სარწმუნოება, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა შირაზში მოღვაწე ავგუსტინელ მისიონერებთან. დედოფალი ეხმარებოდა მისიონერებს მატერიალურად შირაზში მონასტრის აგებისას. თავის მძიმე ხვედრს შეგუებული ქეთევან დედოფალი სულიერ სიმხნევესა და სიმტკიცეს პორტუგალიელ კათოლიკე მამებთან, განსაკუთრებით **დუშ ანჟუსთან** ურთიერთობაში ჰპოვებდა, დედოფალი და მისი თანმხლები პირები ესწრებოდნენ ლოცვებს ავგუსტინელ მისიონერთა ეკლესიაში. მოწამებრივი სიკვდილის წინ დედოფალმა სასწრაფოდ გაგზავნა კაცი ავგუსტინელი მამების თავშესაფარში, საიდანაც მასთან **მამა ამბროსიო** და **მამა ანტონიო** მივიდნენ. ქეთევანმა ამ უკანასკნელს უთხრა აღსარება და ზიარებაც მისგანვე მიიღო. დუშ ანჟუსმა პორტუგალიულ ენაზე აღწერა დედოფლის ტყვეობა და მისი მოწამებრივი სიკვდილი ირანში. ამ პორტუგალიელმა მისიონერებმა დიდი წვალება გაიარეს და სიკვდილის რისკის ფასად იპოვეს ქეთევან დედოფლის საფლავი და მისი წმინდა ნაწილები საქართველოში ჩამო-

ასვენეს. ბერები ბევრს ეცადნენ, რომ ქეთევან დედოფალი რომაული კათოლიკური ეკლესიის წამებულად ეცნოთ.

დუშ ანჟუსმა და **პედრო დუშ სანტოსმა** საქართველოში თეიმურაზ I-თან ჩამოიტანეს მისი წამებული დედის ნეშტის ნაწილები და მეფეს გადასცეს. მათვე გადაწყვიტეს საქართველოში მისიონის დაარსება. ეს ყოველივე 1628 წლის 11 მაისს, გორში მოხდა. მეფემ მისიონერებს გამოჰკითხა, თუ როგორ აწამეს დედამისი. როცა მამები მოუყვნენ, იგი ძლიერ ტიროდა. თეიმურაზ მეფემ გადაწყვიტა მისიონერების დატოვება საქართველოში და აქ მათი მონასტრის დაარსება. პორტუგალიელ **ავგუსტინელ** მისიონერებთან ერთად რვა თვის შემდეგ საქართველოში დაფუძნდა **თეატინელთა** მისიონიც. **დუშ ანჟუსმა პირველმა გააცნო ევროპას ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრული, იგი დედოფალს მსოფლიო ეკლესიის წმინდანად და წამებულად მიიჩნევდა.**

ვატიკანში საქართველოსა და ქართველების გაცნობის საქმეში ფასდაუდებელი როლი შეასრულა სახელგანთქმულმა მოგზაურმა **პიეტრო დელა ვალემ.** 1614-1626 წლებში ის მოგზაურობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ცხოვრობდა თეირანში, ისფაჰანში, შირაზსა და სპარსეთის სხვა ქალაქებში. შირაზში 2 თვის მანძილზე ყოფნის პერიოდში იგი ხშირად სტუმრობდა და ანუგეშებდა აქ ტყვედ მყოფ ქეთევან დედოფალს. ქართველებისადმი დიდმა სიყვარულმა და პატივისცემამ განაპირობა ის, რომ მან ცოლად შეირთო სპარსეთში დედასთან ერთად ტყვედ წაყვანილი, იქვე დაობლებული და მის მიერ ტყვეობიდან დახსნილი **თინათინ ძიბა,** რომელსაც დელა ვალემ სახელი შეუცვალა და **მარიუჩა** დაარქვა. ეს უკანასკნელი კი ძალზე უყვარდა

ქეთევან დედოფალს. პიეტრო დელა ვალეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა როგორც ქეთევან დედოფლის გარშემო, ისე ირანში მყოფ მრავალრიცხოვან ქართველებთან, რომლებისგანაც მან საქართველოს ისტორიული წარსულისა და მაშინდელი მდგომარეობის შესახებ ძვირფასი ცნობები შეაგროვა.

1626 წელს, 12-წლიანი მოგზაურობის შემდეგ პიეტრო დელა ვალე რომში დაბრუნდა. მან რომის პაპს, ურბან VIII-ს წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი ქართველი ხალხის მძიმე მატერიალური და სულიერი მდგომარეობის შესახებ. იგი პაპს ენერგიულად მოუწოდებდა „ქართველების სულის ხსნის მიზნით" დაუყოვნებლივ გაეგზავნა მისიონერები საქართველოში.

საქართველოსა და ქართველების შესახებ მეორე საინტერესო და ღრმაშინაარსიანი მოხსენებითი ბარათი ვატიკანში წარადგინა 1626 წლის დეკემბერში აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა დომინიკანელმა მისიონერმა **გრეგორიო ორსინიმ**, რომელმაც 1624 წელს მარია ჩიტადინი და ფაენცა შეცვალა ერევანში ვიკარიუსის პოსტზე.

1626 წლის 4 მაისს წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ სპეციალური დეკრეტით გადაწყვიტა, რომ საქართველოში დაეარსებინა თეატინელთა ორდენის მისიონი. 16 ივნისის დეკრეტით განისაზღვრა საქართველოში გასაგზავნი მისიონერების შემადგენლობა **დონ პიეტრო ავიტაბილეს** ხელმძღვანელობით.

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ 1628 წლის 14 დეკემბერს მისიონი გორში ჩავიდა. 5-კაციან შემადგენლობას დაემატა ფრანგი ბერი **კლავდიო**. ასე დაიწყო თეატინელი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში, რომელიც

დროში დაემთხვა ნიკიფორე ირბახის ელჩობას ევროპაში. გორში თეატინელ ბერებს თვენახევარი მასპინძლობდა ამბროსიო დუშ ანჟუში. მისიონერები დიდი პატივითა და კეთილგანწყობით მიიღეს თეიმურაზ მეფემ და კათალიკოსმა ზაქარიამ. ავიტაბილემ მათ გადასცა პაპის, ურბან VIII-ის წერილები. მეფემ და კათალიკოსმა მისიონერებს ნება დართეს, აეგოთ ეკლესია და ექადაგათ კათოლიკური სარწმუნოება ისე თავისუფლად, როგორც ამას იტალიაში აკეთებდნენ. მეფემ მისიონერებს ასევე მისცა საცხოვრებელი სახლი, გამოუყო მსახურები და სურსათი.

მიუხედავად შაჰ აბას I-ის ამაოხრებელი შემოსევების შედეგად შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციისა, მისიონერები გულმოდგინედ შეუდგნენ მოღვაწეობას, ოთხ თვეში მეტ-ნაკლებად ისწავლეს ქართული ენა, ქართული ლოცვები. 1632 წლისათვის მათ გორში ააგეს წმიდა პეტრეს სახელობის ეკლესია, შექმნეს სასულიერო სასწავლებელი, სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ ქართულ, ლათინურ და იტალიურ ენებს. ერთ-ერთმა მისიონერმა **დი სტეფანომ** შეადგინა იტალიურ-ქართული ლექსიკონი და ქართული ენის გრამატიკა, რომლითაც ასწავლიდნენ მოწაფეებს.

1631 წლის 12 მაისს გორში ჩავიდნენ თეატინელი მისიონერები დონ **არქანჯელო ლამბერტი** და **დონ ჯოზეფო ჯუდიჩე**. მათ მოჰქონდათ პაპის წერილები თეიმურაზ მეფესთან, კათალიკოს ზაქარიასა და ნიკიფორე ირბახთან, ასევე პიეტრო დელა ვალეს წერილები სამივე პიროვნებასთან.

1632 წლის 10 ივლისს გორში ახალ მისიონერებთან ერთად ჩამოვიდა თეიმურაზ მეფის მიერ რომის პაპთან გაგზავნილი დონ პიეტრო ავიტაბილე.

თეიმურაზ მეფემ ღირსეულად მიიღო ჩამოსული მისიონერები. ავიტაბილემ მას გადასცა რომის პაპის წერილი, რომლის პირველი სტრიქონები იწყებოდა: რომ „ევროპის ბევრ ქვეყანაში ვრცელდებოდა მისი დიდება და ბრწყინვალე გამარჯვება სპარსელებზე". ურბან VIII ხოტბას ასხამდა თეიმურაზის ძლევამოსილებას და ტაქტიანად მიმართავდა, ენერგიულად შეეწყო ხელი კათოლიკობის გავრცელებისათვის, მოუწოდებდა დაეძლია ყველა დაბრკოლება ეკლესიათა გაერთიანების გზაზე.

თეატინელი მისიონერების მხურვალე მოღვაწეობა ქართლში ძალზე შეაფერხა თეიმურაზის მარცხმა ირანთან. ირანის შაჰმა 1633 წლის დასაწყისში ქართლის მეფედ დანიშნა გამაჰმადიანებული **როსტომ ხანი** (ხოსრო მირზა). თეიმურაზი გაეცალა ქართლ-კახეთს და დიდი ამალით გადავიდა იმერეთში თავის სიძესთან, **ალექსანდრე მესამესთან.** ნიკიფორე ირბახმა კი მოღვაწეობა გააგრძელა სამეგრელოში. თავიდან თეატინელ მისიონერებს როსტომ მეფე არ ერჩოდა, მაგრამ მალე მათთვის აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობა ძალზე გაძნელდა და მისიონერებმა ძირითადად სამეგრელოს მთავარს, **ლევან II დადიანს** შეაფარეს თავი.

ლევან II დადიანმა (1611-1657) ძალზე კარგად მიიღო მისიონერები და ყველანაირი პირობა შეუქმნა ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. მისი რელიგიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა მისიონერების საშუალებით ევროპასთან კულტურულ, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას

და რეალიზაციას. მისი უმთავრესი ამოცანა იყო, სამთავროში მოეზიდა ვაჭრები დასავლეთ ევროპიდან და შავი ზღვის საშუალებით სამეგრელო ჩაება საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ ნიჭიერ მთავარს (როგორც მას უწოდებს ლამბერტი) კარგად ესმოდა, რომ „ევროპის ქვეყნების სიძლიერის მაცოცხლებელ არტერიას სწორედ დაწინაურებული ეკონომიკა წარმოადგენდა". ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირით გამოესწორებინა სამთავროს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა ევროპულ ყაიდაზე გაემართა. ლევან II დადიანმა ნიკიფორე ირბახთან ერთად შეიმუშავა ევროპასთან საქართველოს გზით ვაჭრობის განვითარების პროექტი, რომლის მიხედვით ირანის აბრეშუმი საქართველოზე გავლით უნდა გაეტანათ შავი ზღვით ევროპაში (ასეთი გეგმა ჰქონდა პიეტრო დელა ვალეს და ამ გეგმას ლევან დადიანი იცნობდა მისიონერების და ნიკიფორე ირბახის მეშვეობით). ეს პროექტი ლევან დადიანმა 1638 წელს გააცნო დონ პიეტრი ავიტაბილეს, რომელიც რომში მიდიოდა და სთხოვა კონსტანტინეპოლში ვენეციის ელჩისათვის ეჩვენებინა და ხელი შეეწყო მისი რეალიზაციისათვის, თუმცა, ამაოდ – იგი ვერ განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ ლევან დადიანმა წერილით რომის პაპსაც კი სთხოვა დახმარება.

1649 წლის 18 ოქტომბერს იტალიაში გაემგზავრა მისიონერი დონ **არქანჯელო ლამბერტი**. იგი დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში. 1654 წელს საქართველოში 22 წლის მანძილზე მოღვაწეობის შემდეგ ასევე სამშობლოში დაბრუნდა **დონ კრისტოფორო კასტელი**. **მიხეილ თამარაშვილის** თქმით, ამ ორმა მისიონერმა ქართველ

ერს დიდი სულიერი და ხორციელი სამსახური მიაგო. ქართველებისათვის ძვირფასი საგანძურია ის ორი წიგნი, რომელიც **ლამბერტიმ** დაგვიტოვა. ესაა **„ცნობები კოლხეთზე სამეგრელოდ წოდებულზე“** (1654) და **„წმიდა კოლხეთი“** (1657), რომელიც მან ნეაპოლში გამოაქვეყნა. მისი ნაშრომები უნდა ჩაითვალოს იმ პირველ გამოკვლევებად, რომლებიც მეტ-ნაკლები მეცნიერული დახვეწილობით წარმოდგენას უქმნიან საქართველოს ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე. მეორე მისიონერი კასტელი 14 წლის განმავლობაში ეწეოდა სამისიონერო მუშაობას სამეგრელოში. ფასდაუდებელი ღირებულებისაა მის მიერ შესრულებული 1000-ზე მეტი ნახატი, საიდანაც შემოგვცქერის მთელი გალერეა საერო თუ სასულიერო მოღვაწეებისა და მშვენიერი ქართველი ქალებისა. დიდი ისტორიული მნიშვნელობისაა მისი წერილები და ჩანაწერები საქართველოზე **(მურმან პაპაშვილი)**.

კასტელის ძალზე უყვარდა ჩვენი ქვეყანა. ამ სიყვარულის უტყუარი გამოხატულებაა მისი სიტყვები: **„საქართველო ჩემი სატრფო იყო 26 წლის განმავლობაში“**-ო.

თეატინელი მისიონერების საქმე XVII-XVIII საუკუნეებში გააგრძელეს **კაპუჩინელთა ორდენის** წარმომადგენლებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ფრანცისკანელთა ორდენის განშტოებას. მათ საქმიანი რელიგიურ-კულტურული ურთიერთობანი ჰქონდათ ქართლისა და იმერეთის მეფეებთან, თბილისში, ქუთაისში და გორში ჰქონდათ მისიონები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კათოლიკე მისიონერებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში. ისინი მხარს უჭერდნენ ქვეყნის მთლიანობის აღდგენას, სკოლების აგებას და განათლების და კულტურის

გავრცელებას, საქართველოს დაკავშირებას დასავლეთ ევროპასთან, ასრულებდნენ დიპლომატიურ დავალებებს, გმობდნენ ტყვეთა სყიდვას, წერდნენ წიგნებს, რომელშიც ქებას ასხამდნენ საქართველოს, დიდ დროს უთმობდნენ ქართული ენის და ადგილობრივი კულტურის შესწავლას, ევროპას აცნობდნენ ქართულ ისტორიას და კულტურას. მათთვის დაახასიათებელი თვისებები – გაჭირვებაში გამძლეობა, უანგარობა, ახლობლებთან ძმური ურთიერთობა, ქრისტიანულ მორალზე დამყარებული კეთილშობილური ჰუმანიზმი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა საქართველოს ცხოვრებაში. მათი შრომითა და გავლენით საქართველოში გაიფურჩქნა სასულიერო და კულტურული ცხოვრება.

კითხვები:

1. როდის დაიწყო კათოლიკე მისიონერების საქმიანობა საქართველოში?
2. რა იცით წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდას ფიდეს მოღვაწეობაზე საქართველოში?
3. რა როლი შეასრულეს კათოლიკე მისიონერებმა საქართველოს ისტორიაში?

§7 ერეკლე მეორე და ევროპა

როგორც წინა პარაგრაფებში აღინიშნა, ქართველი მეფეები ინტენსიურად ცდილობდნენ კონტაქტების დამყარებას ევროპის სახელმწიფოებთან. ამითაც იყო განპირობებული, რომ ევროპელი მწერლები და პოლიტიკური მოღვაწეები თავიანთ ნაწარმოებებში მოიხსენიებდნენ საქართველოსა და მის მეფეებს. ევროპაში აღტაცებასა და თანაგრძნობას იწვევდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა.

ერეკლე II ევროპაში ყველაზე ცნობილი ქართველი მეფე იყო. მის ნიჭზე და სიმამაცეზე ჯერ კიდევ 1738-1739 წლებში ალაპარაკდა აღმოსავლეთი და დასავლეთი. მან სახელი გაითქვა **ნადირ-შაჰის** სამხედრო ექსპედიციებში (1738-1739) ავღანეთსა და ინდოეთში. ევროპელი მკითხველისათვის საქართველოსა და ერეკლეს პიროვნების გაცნობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი ავტორის **შარლ დე პეისონელის** წიგნს „მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქართველოში", რომელიც პარიზში გამოქვეყნდა 1754 წელს. შარლ დე პეისონელი აღტაცებით გადმოსცემს „დიდი პრინცის" ერეკლეს მოღვაწეობას, აძლევს რა მას მაღალ შეფასებას, მიუთითებს მის არაჩვეულებრივ ჭკუა-გონებაზე, გამოცდილებაზე, მხნეობასა და სამართლიანობაზე. ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1755 წელს წიგნი ითარგმნა და გამოიცა გერმანულ ენაზე მაინის ფრანკფურტში.

ირანისა და აღმოსავლეთის საქმეებში აქტიურმა ჩარევამ ერეკლე II-ს დიდად გაუთქვა სახელი ევროპაში. ამის

დასტურია **პრუსიის მეფის ფრიდრიხ II დიდის** სიტყვები: „ევროპაში პირველი მე ვარ, ხოლო აზიაში – ერეკლე“.

ცნობილი გერმანელი მწერლის **ლესინგის** პიესის – კომედია „მინა ფონ ბარჰელმი ანუ ჯარისკაცის ბედნიერება“ – მიხედვით, სახელის მოხვეჭაზე მეოცნებე გერმანელი ჯარისკაცები ცდილობდნენ გერმანიიდან გაპარვას, რათა პრინც ერეკლეს სარდლობით ერთი-ორჯერ მაინც ელაშქრათ თურქების წინააღმდეგ.

ერეკლე II-ის მამა, **თეიმურაზ II** 1744-1762 წლებში ქართლის მეფე იყო, ხოლო თავად ერეკლე ჯერ კახეთის (1744-1762), მერე კი, მამის გარდაცვალების შემდეგ – 1762 წლიდან 1798 წლამდე – ქართლ-კახეთის მბრძანებელი.

ერეკლე II-ის დასავლური ორიენტაციის გაღვივების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს კათალიკოსმა **ანტონ I დიდმა** (1744-1755, 1764-1788).

ფილოსოფოსმა და მეცნიერმა ანტონმა კათალიკოსის ტახტი ქართლში თეიმურაზ II-ის გამეფების დროს დაიკავა – 1744 წელს. დიდი განათლების ანტონი უმალვე ენერგიულად შეუდგა კრიზისულ მდგომარეობაში მისული ეკლესიის აღორძინება-განმტკიცებას, მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, საქართველოში ურჩ და განდგომილ მღვდელმთავართა დამორჩილებას, დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას, სასწავლებლების დაარსებას, საქართველოში სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას (სომეხი მონოფიზიტები და მათი მღვდელმთავრები ებრძოდნენ როგორც ქართულ ეკლესიას, ასევე აქ ჩამოსულ კათოლიკე-მისიონერებს, ქართველ კათოლიკეებს. ქართლის კათალიკოსი **ნიკოლოზ VII ხერხეულიძე** რომის პაპს, **ბენედიქტე XIV-ს** 1742 წელს წერდა, რომ „ჩემი დიდი ხნის წადილის შესრულება სომხებმა არ დამაცადეს,

რადგან ისინი ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთ ნებისამებრ ბატონობენ"). თავისი მიზნების განსახორციელებლად მან ორიენტაცია აიღო დასავლეთ ევროპაზე, დაუახლოვდა საქართველოში მყოფ მისიონერებს (**პატრი ნიკოლა, ფრანჩესკო, ბონავენტურა პადუელი**) და ბასილიანელთა უნიატური ორდენის მოწესე გახდა, მფარველობდა დევნის ჟამს კაპუჩინელ მისიონერებს.

მისი გაკათოლიკება (1755) უნდა განვიხილოთ, როგორც დასავლური ორიენტაციის გამარჯვება თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროინდელ საქართველოში. მისი გაკათოლიკება, როგორც ნიკიფორე ირბახის და სულხან-საბა ორბელიანისა, არ ნიშნავდა მართლმადიდებლობის ღალატს, წინაპართა ტრადიციების უგულებელყოფას.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ქართლის მეფე თეიმურაზ II იმ პერიოდში ანტიკათოლიკური განწყობის იყო. ამისკენ იგი წააქეზეს საქართველოში მყოფმა პროირანულმა ძალებმა, ანტონ კათალიკოსის პირადმა მტრებმა, კათოლიკეთა მოწინააღმდეგე სომხებმა და ბერძნებმა, კონსტანტინეპოლის მართლამდიდებელმა პატრიარქმა. ამ ანტიკათოლიკურ მოძრაობას სათავეში ედგა ნინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი და თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი, ცნობილი პოეტის, ბესიკის მამა, **ზაქარია გაბაშვილი**.

მისი მეთაურობით 1755 წლის ბოლოს სამღვდელოების ნაწილმა მცხეთაში მოიწვია კრება და ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენა და დააპატიმრა (შემდეგ იგი 1756 წელს რუსეთში წავიდა). მკაცრად მოექცნენ ასევე კათოლიკე პატრებს – ჩამოართვეს ეკლესია, გორში კი კათოლიკეთა საავადმყოფო, წამალხანა და სასწავლებელი, პატრები კი ახალციხეში განდევნეს.

თეიმურაზ II-ს ანტიკათოლიკური განწყობა ბოლომდე არ გაჰყოლია. ერეკლე II-ის რჩევით იგი მიხვდა, რომ პროგრესის მოწინააღმდეგე ძალების სურვილს ასრულებდა და 1760 წლის 23 იანვარს წერილი მისწერა ახალციხის კაპუჩინთა ხელმძღვანელს **პატრ ლეონარდოს**, რათა ერთი მღვდელი გამოეგზავნა თბილისში უმწყემსოდ დარჩენილი მრევლის მოსავლელად.

თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-მ 1763 წელს რუსეთიდან გამოიხმო ანტონ I (აქ იგი ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი იყო) და კვლავ კათოლიკოსობის რანგში აღადგინა 1764 წელს.

ამ ფაქტს შეეძლო გარკვეული როლი შეესრულებინა კათოლიკეებისადმი ფარული სიმპათიით განწყობილ ერეკლეზე ევროპული ორიენტაციის სასარგებლოდ. ამ დროისათვის ერეკლეს გამოუმჟღავნებელი სიმპათია კათოლიკეებისადმი უდავოა. ეს გამოვლინდა იმაშიც, რომ მან კათოლიკობის მიღებისათვის განდევნილი **ივანე ორბელიანი** ექსორიიდან დააბრუნა და მდივანბეგად დანიშნა, ხოლო მისიონერ პატრებს იგი ყოველნაირად ეხმარებოდა და მფარველობდა ერთხანს, სანამ თბილისში სომეხ გრიგორიანელთა შფოთი არ ატყდა ამის გამო.

თბილისში და გორში ერეკლეს ფარული მხარდაჭერით ისევ აღსდგა კაპუჩინელთა მოღვაწეობა. ამით გახარებულმა რომის პაპმა კლიმენტ XIV-მ 1769 წლის 23 აგვისტოს მეორედ მოსწერა წერილი (პირველად 1763 წელს) ქართველ მეფეს და მადლობა გადაუხადა მისიონერებისადმი გაწეული მფარველობის გამო. აქვე პაპი მეფეებს აუწყებდა, რომ მან მთელ ევროპაში მოიხვეჭა სახელი თავისი სიბრძნით, გულადობით, მტერზე გამარჯვებით, კათოლიკე მისიონერებისადმი კარგი მოპყრობით და მათზე

მზრუნველობით. ერთი სიტყვით, რომის პაპი ერეკლე II-ის მფარველობას კათოლიკეებისადმი საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდა და ამით მისი პიროვნების მასშტაბებს ზრდიდა.

1780-იანი წლებიდან რუსეთზე გარკვეულად გულაცრუებულმა ერეკლე II (იგულისხმება **გენერალ ტოტლებენის** და რუსთა ღალატი 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში) გადაწყვიტა კონტაქტი დაემყარებინა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, სადაც მას უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ. ერეკლეს ეს ნაბიჯი განპირობებული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე მდგარი ფინანსური დახმარების ძიებით. ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768-1774) ქართლ-კახეთის სამეფომ გასწია დიდი ხარჯი – 430 ათასი მანეთი. ერეკლემ რუსეთს სესხად სთხოვა ფული, მაგრამ რუსეთიდან პასუხი დააგვიანეს. ამიტომ ერეკლემ გადაწყვიტა სესხად ფული ეთხოვა ევროპის სახელმწიფოებისათვის. ამ მიზნით მან კათოლიკე მისიონერები დაიახლოვა, შეპირდა მათ ეფექტურ დახმარებას. ამასთან სთხოვა დახმარება-შუამდგომლობა ევროპის სახელმწიფოებთან.

1781 წლის გაზაფხულზე ერეკლემ ევროპაში თავის პირად წარმომადგენლად გააგზავნა მასთან 19 წლის ნაცნობობის მქონე გამოცდილი პატრი **დომინიკე ტრიესტელი.** იმავე წლის 20 ივლისს იგი კონსტანტინეპოლში ჩავიდა, მაგრამ 3 ივლისს პერაში მოულოდნელად გარდაიცვალა და რომის პაპამდე ვერ ჩააღწია.

ერთი წლის ლოდინის შემდეგ, 1782 წლის ოქტომბერში ერეკლემ ხელახლა გააგზავნა ელჩად პატრი **მაურო ვერონელი,** რომელიც 6 წელი იმყოფებოდა საქართველოში. ერეკლემ მაურო ვერონელს პასპორტი უბოძა ქართულ,

თურქულ და ლათინურ ენებზე და ევროპაში გაუშვა. მაუროს მიჰქონდა ქართულ ენაზე დაწერილი წერილები რომის პაპის, საფრანგეთის, სარდინიის, ნეაპოლიტანიის, პრუსიის მეფეებისათვის, ავსტრიის იმპერატორისა და ვენეციის რესპუბლიკის სახელზე. ადრესატებს ერეკლე II სთხოვდა ფულად სესხს თავისი ჯარის ევროპულ ყაიდაზე გარდასაქმნელად. ევროპაში მიმავალ მაუროს თან მიჰქონდა უფროსი პატრის – **ანდრეასის** სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც ანდრეასი სთხოვდა ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ს, რომ მიეღო მაურო და მოესმინა მისთვის. ანდრეასმა მსგავსი შინაარსის წერილი გაუგზავნა რომში პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციას და სთხოვა მხარდაჭერა აღნიშნულ საქმეში.

ამრიგად, კათოლიკე პატრები ხელს უწყობდნენ ერეკლე მეფის ევროპაზე აღებულ ორიენტაციას და უნარს და ენერგიას არ აკლებდნენ, რათა მაურო ვერონელის ელჩობა წარმატებით დაგვირგვინებულიყო. ასეთ შემთხვევაში ერეკლე II კათოლიკეებს არა მარტო მფარველობას აღუთქვამდა, არამედ 1755 წელს ჩამორთმეული ეკლესიების, სახლებისა და სხვა ქონების უკან დაბრუნებასაც, ასევე თბილისში თავის ხარჯზე ექვსი პატრის შენახვას. ერეკლემ ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა – 1781 წლის 20 ნოემბერს მისი ბრძანებით თბილისისა და გორის პატრები და მათი ძმები გათავისუფლდნენ ყოველგვარი გამოსაღებისა და ხარჯებისაგან.

სამწუხაროდ, არც ამ ელჩობას ეწერა წარმატება. 1783 წლის მაისში პატრი მაურო ვერონელი პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში გარდაიცვალა. ამ ამბით შეწუხებულმა პოლონეთის პროვინციის კაპუჩინთა უფროსმა **პატრმა პაჩიფიკუსმა** ერეკლეს წერილების წაღება ვენაში დაავალა კაპუ-

ჩინელ პატრებს – **ვოლფგანგსა** და **ჰილარიუმს** თავის სარეკომენდაციო წერილთან ერთად.

ვოლფგანგმა და ჰილარიუმმა ერეკლეს წერილები ვენაში იმპერატორის კარს ჩააბარეს, მაგრამ აქ ქართული არავინ იცოდა და გადაწყვიტეს რომში პროპაგანდა ფიდესათვის გადაეგზავნათ სათარგმნად. ავსტრიის კანცლერმა **კაუნიტციმ** 1783 წლის ივნისის ბოლოს ერეკლეს წერილები რომში გადაუგზავნა რომის პაპის კარზე ავსტრიის სრულუფლებიან მინისტრს, კარდინალ **ქსავერს**, რომელმაც წერილების თარგმანის საქმე დაავალა პროპაგანდა ფიდეს კარდინალს ანტონელის. კარდინალი ყურადღებით მოეკიდა ამ საქმეს, მაგრამ წერილების თარგმნა დიდხანს შეყოვნდა. პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში იმ დროს ორი ქართველი ყმაწვილი იყო, რომლებიც ქართულ ენას ფლობდნენ. 1783 წლის სექტემბერში ნათარგმნი წერილებიდან ერთი რომში, პაპთან დატოვეს, მეორე კი ვენაში გამოაგზავნეს.

როცა ვენაში გაიგეს წერილების შინაარსი და საქმის ვითარება, იმპერატორი იოსებ II-ის (1780-1790) ბრძანებით ავსტრიის ელჩს პეტერბურგში **კობენცლის** შეეკითხნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოში შექმნილი და რა მდგომარეობაში იყო ერეკლე II. ამ დროს კი საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო. 1783 წლის 24 ივლისს დაიდო **გეორგიევსკის ტრაქტატი**, რომლითაც ქართლ-კახეთი მოექცა რუსეთის გავლენის ქვეშ.

ავსტრიის ელჩმა პეტერბურგში ყველაფერი ეს შეატყობინა ვენას და თან დაურთო გეორგიევსკის ტრაქტატი გერმანულ ენაზე. რუსებმა თავისი გაიტანეს.

ამრიგად, ერეკლე II-ის ცდა, რომ მიეღო ევროპიდან დახმარება, კვლავ ჩაიშალა. შორს მყოფი ევროპა ისევ არ

დაინტერესდა პატარა ქვეყნით. ამის მიუხედავად, ერეკლე II კვლავ აგრძელებდა კათოლიკე მისიონერთა მფარველობას, ისევე როგორც დედოფალი **დარეჯან დადიანი** და მისი ოჯახის წევრები. დარეჯან დედოფალმა კათოლიკე პატრებს გორში აჩუქა სასახლკარე ადგილი, სადაც მისიონერებმა გლახაკთა თავსესაფარი სახლები ააშენეს.

აღა-მაჰმად ხანის დამანგრეველ შემოსევას 1795 წელს ვერც კათოლიკე პატრები გადაურჩნენ – დაინგრა და გადაიწვა მათი ეკლესია-მონასტრები.

ერეკლეს მემკვიდრის, **გიორგი XII-ს** (1798-1800) გარდაცვალებამდე რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, ბატონიშვილები და დედოფალი რუსეთში ძალით გადაასახლა, რათა ქართველებს საქართველოს სამეფოს აღდგენის იმედი აღარ ჰქონოდათ და ევროპისკენ აღარ გაეხედათ.

კითხვები:

1. საიდან გაიცნეს ევროპელებმა ერეკლე II?
2. რაში გამოიხატებოდა ერეკლეს ევროპული ორიენტაცია?
3. რით დამთავრდა ერეკლე II-ს ევროპული მცდელობანი?

§8 ილია ჭავჭავაძე
საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მწერლობა და კულტურა მხოლოდ ევროპის მენაპირე ქვეყნის კულტურა კი არაა, არამედ ევროპეიზმის შინაარსის განსაზღვრების მონაწილეც არის.

ისტორიამ ქართული კულტურა ბევრჯერ დააყენა აღმოსავლურსა და დასავლურს შორის არჩევანის წინაშე და არჩევანი ყოველთვის ევროპის სასარგებლოდ კეთდებოდა. ამას მოწმობს ქართული მწერლობის 1500-წლიანი ისტორია – აგიოგრაფიულიდან დღემდე.

ქართული კულტურა და მწერლობა ევროპულს მთლიანად ვერც ორსაუკუნოვანმა – ჯერ რუსულმა იმპერიულმა, მერე კი კომუნისტურმა რეჟიმმა ვერ მოწყვიტა.

ამის საუკეთესო დადასტურებაა თერგდალეულთა მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის (1837-1907) მეთაურობით. ქართველმა თერგდალეულებმა იმპერიის რუსიფიკატორულ პოლიტიკას ქვეყნის ევროპეიზაციის სტრატეგია დაუპირისპირეს. თერგდალეულთა საერთო თვალსაზრისს გამოხატავდა **სერგეი მესხი,** როცა ასკვნიდა, რომ „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერჯერობით დასავლეთ ევროპა არის. ყველა ხალხი და, მათ შორის რუსეთიც, ამ წყაროს ეწაფებიან... თავისი თავისა და თავისი ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგად და ჭეშმარიტად გაუცვნია“.

ევროპული ფასეულობანი დამყარებულია აქ მცხოვრები ხალხების ეროვნულ ფასეულობებზე, ამიტომ ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგ-

რამა გულისხმობდა ენის, მამულის, სარწმუნოების შენარ-
ჩუნებას ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისა და ქარ-
თველი ხალხის მომზადების გზით იმ დროისათვის, როცა
შეიქმნებოდა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება და-
მოუკიდებლობისათვის. მანამდე კი ქართველი ხალხის გან-
ვითარება ევროპეიზაციის გზით უნდა წარმართულიყო,
უნდა მომხდარიყო მოწინავე ევროპული პოლიტიკური, სო-
ციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფასეულობების
დამკვიდრება ეროვნულ საწყისებზე.

ილიას მსოფლმხედველობას საფუძვლად უდევს „ქარ-
თული დვრიტა" (მისივე სიტყვებია), თუმცა, ილიაზე დიდი
გავლენა მოახდინა (ისევე როგორც სხვა თერგდალეუ-
ლებზე) ფრანგ განმანათლებელთა და ევროპელ პროგრე-
სულ მოღვაწეთა ნააზრევებმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე
მცხოვრები ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფ-
ლებელი მოძრაობის განსაკუთრებული აღმავლობა, მათ
მიერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში გამო-
მუშავებული ხერხები და გამოცდილება სანიმუშო მაგალი-
თად იქცა ილიას მეთაურობით შემუშავებული დიდი ეროვ-
ნული პროგრამის განხორციელების საქმეში: „აი, საგანი
და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი, რისთვის უნდა მომზად-
დეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერე-
ბით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი, რა
მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისი მოქმედებისათვის და
რა გზა უნდა ამოირჩიოს... ყმაწვილკაცობა უნდა მომზად-
დეს ბეჯითის და ზედმიწევნის ცოდნითა, უნდა, რამდენა-
დაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნ-

ნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს".

ქართველობის მთავარ მიზნად და ორიენტირად კი ილია თვლიდა „ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენას, ფეხზე დაყენებას და დაცვას ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან... რათა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ამ მიზნიდან გამომდინარეობდა მისი მისწრაფება, საფუძვლიანად შეესწავლა უცხოეთის ჩაგრული ხალხების ისტორია, მათი სამართლიანი ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და ყოველივე სასარგებლო საქართველოს სინამდვილეში გამოეყენებინა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ქართველ სამოციანელებს ევროპის გამოცდილება ბრმად არ გადმოჰქონდათ და მას „კრიტიკის ცეცხლში აფოლადებდნენ"** (ილია).

მის მიერ დაარსებულ გაზეთ „ივერიის" ერთ-ერთ საპროგრამო სტატიაში ილია წერდა, რომ „საზოგადოებამ ჰსცნო აუცილებელი საჭიროება უცხო ხალხთა ცხოვრების გაცნობისა, დაინახა, რომ თავისი ბედი და უბედობა ბევრად დამოკიდებულია უცხო ხალხთა ბედსა და უბედობაზედ; დაინახა, რომ ხალხთაშორისი მისვლა-მოსვლა, ურთიერთის გაცნობა, ძლიერი საშუალებაა ხალხის წინ ფეხის წადგომისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. რომ ყველა გაზეთმა ანუ ჟურნალმა უნდა შესაბამისი ადგილი მისცეს და ღირსეული ყურადღება მიაქციოს უცხო ხალხთა ცხოვრებას და მდგომარეობას, თუ სურს სხვის მაგალითით თვით-ცნობა გაუადვილოს საზოგადოებას, ბედნიერების გზა აპოვნინოს, უბედურების მიზეზი მოასპობინოს, იმიტომ, რომ ყოველ ამისათვის მაგალითი და ცნობანი სხვათა ცხოვრებაში აუარებელია ამ სახით სამაგალითო და ღირ-

საცნობ საგნად წარმოგვიდგება სხვათა შორის უცხო ხალხთა საპოლიტიკო ცხოვრებაცა“.

ილია ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ევროპაში. მას აღაფრთოვანებდა ირლანდიელი ხალხის გმირული ბრძოლა ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ, ასევე იტალიელთა დიდი მოძრაობა სამშობლოს გაერთიანებისა და ავსტრიელ დამპყრობთა განსადევნად. როდესაც 1860 წელს **გარიბალდიმ** აიღო მესინა და გადმოვიდა იტალიაში, ილიამ ამ მოვლენას უძღვნა უმშვენიერესი ლექსი: „მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“.

ილია იმდენად იყო შთაგონებული და გატაცებული იტალიელი ხალხის პატრიოტული ბრძოლით, რომ იგი ერთხანს ფიქრობდა ვოლონტერად წასვლას გარიბალდისთან იტალიელი ხალხის დასახმარებლად. იგი ბოლომდე დარჩა გარიბალდის თაყვანისმცემლად და მისი პორტრეტი ამშვენებდა ილიას სამუშაო ოთახს სიცოცხლის ბოლომდე. ილია გატაცებით კითხულობდა და ეუფლებოდა შექსპირს, დიკენსს, გოეთეს, შილერს, დეკარტს, ბეკონს, „ათენის რესპუბლიკის ისტორიასა“ და „მსოფლიო მექანიკურ თეორიას“, ფრანგი განმანათლებლების, გერმანელი ფილოსოფოსების (მაგ.: **ჰეგელის**) ნაშრომებს, ხშირი მკითხველი იყო ილიადასი, ასევე ლუკრეციუსის, ვირგილიუსის, ჰორაციუსის.

ილია ქება-დიდებით იხსენებს რომანტიზმის წინამორბედთა და რომანტიკული ლიტერატურის კორიფეთა მემკვიდრეობას – **რუსოს** „ახალ ელიოზას“, **გოეთეს** „ვერთერს“, **ბერნანდეს დე-სენ-პიერის** „პოლ და ვირჟინის“, **ბაირონის** პოემებს, მათთან ერთად **ალექსანდრე ჭავჭავაძეს**,

გრიგოლ ორბელიანს და განსაკუთრებით **ნიკოლოზ ბარათაშვილს.** მათ მიერ დანერგილ მხატვრულ გეზს ილია ნათლავს სპეციფიკური სახელწოდებით **„ევროპეიზმი“** და ამ თვალსაზრისით მათ უახლოეს წინამორბედად **დავით გურამიშვილს** აცხადებს.

„ევროპეიზმი“ ილიას, პირველ რიგში, ესმის, როგორც მხატვრული სიახლე („ევროპიული გამოთქმა“), რომელიც ძველ სპარსულ-აღმოსავლურ ფორმას უპირისპირდება.

ევროპული წესის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება – როცა თავად წყვეტ საკუთარ პრობლემებს და სხვისი ხელის შემყურე არა ხარ. ილიას აზრით, ერის სულიერი და ხორციელი აღორძინება უპირველესად შინაგანი ძალებით არის შესაძლებელი და არა მხოლოდ „უცხოური დახმარებებით“: „გვეყო, ბატონებო, ჩვენი აწმყოს და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენი გაჭირვების, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ, მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგული გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყანაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა, სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარაგზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ ვიგდოთ“. ამასთან, ილია თვლიდა, რომ უცხოური, დროში გამოცდილი და გასინჯული იდეების შეჯვარებაც არ იქნებოდა ურიგო ადგილობრივ ხერხთან და მცდელობასთან: „ყოველი ცვლილება, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური, მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა ცვლილების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია და შუქმოფენილი, ამისათვის, რასაკვირველია, ყველაზე უწინარეს, კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგან ყო-

ველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზევე აქვს სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა. მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას".

ილია ჭავჭავაძემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა სწორედ ევროპისათვის დამახასიათებელ **„საერთო ნიადაგის"** თეორიას (ილია ამას წოდებათა შერიგებას უწოდებდა), რომელიც შემდეგ განავითარა და გააღრმავა **არჩილ ჯორჯაძემ**. ამ თეორიის ქვაკუთხედი ასე ჩამოაყალიბა ილიამ: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ **ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად, საყოველთაოდ**".

ილიას მიაჩნდა, რომ სანამ ერი მთლიანი და ერთიანია, იგი უძლეველია; როცა ერში იწყება „განთვითეულობა", იგი გარდაუვალი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდება: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის, თითოში – ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თითოეულისათვის, საცა „მე" ხშირია, „ჩვენ" – იშვიათი... ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე".

ილია ჭავჭავაძე დიდი ევროპელი მოაზროვნეების მსგავსად სახელმწიფოს და საზოგადოების წყობის საფუძვლად სამართლიანად თვლიდა **კერძო საკუთრებას** და მისი დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდა ქართველობას: „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფიურს და საზოგადოებრივ წყობას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებული ქვეყნიერებისას მთელ დედამიწის ზურგზე... კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“.

ძალზე საინტერესო და ტევადია ერის და მისი ნიშნების ილიასეული თვალთახედვა. ი. ჭავჭავაძის აზრით, ერი ესაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობის ერთობისა და ერთიანი ბუნებით განსაზღვრული სულისა და ხორცის (ფსიქიკური წყობა, კულტურა და ა.შ) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი. ხალხის ერებად ჩამოყალიბება და არსებობა წარმოუდგენელია ერთიანი ენის არსებობის გარეშე: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“, – წერდა ილია. ესაა ასევე „ისტორიის ერთობით“ განმტკიცებული ადამიანთა გვარტომობითი კავშირი, ანუ „ერი როგორც კრებული ისტორიით შედუღაბებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა“ ერთობაა. ილია ამ ნიშანს (ისტორიულ ერთობას) გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისის ყოფილ ცხოვრებისა“. ასეთი

ერი უბედურია, რადგან მას „რა იყო – ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის – არც ის იცის... შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა“.

ილიას აზრით, ევროპეიზაციის გზაზე დასადგომად სულიერებაზე უფრო მეტი ზრუნვაა საჭირო („ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა“), ქართველობა უნდა გათავისუფლდეს დამპყრობელთაგან გადმოღებული ბევრი უღირსი ჩვეულებისაგან: „ჩვენ საწყალ ქართველებს, – წერდა იგი, – ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა, გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამამდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი, ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდან თაფლის დენა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის, – ესენი ერთად შტოები არის დამპალ ყიზილბაშობისა“.

ასევე ევროპული ტრადიციით ილია სარწმუნოებრივი თავისუფლების პატივისმცემელი იყო და თვლიდა, რომ „სარწმუნოება სინდისის, სასოების საქმეა, აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი“. ილია ასევე წინააღმდეგი იყო დიქტატორული მმართველობის, რომელიც სპობს ყოველგვარ თვითმმართველობას და ადგილობრივი საქმეების გამგებლობასაც ცენტრს უმორჩილებს, იმონებს ადამიანებს.

ერის გაძღოლის და დარაზმვის, მისი გაევროპელების საქმეში ილია დიდ როლს ანიჭებდა ქვეყნის ხელისუფლებას, მთავრობას, მის ზნეობას და კომპეტენტურობას, ხალხისადმი პასუხისმგებლობას: „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად

სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც შეადგენს სახელმწიფოს ძალას და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით გულგამთბარ ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის; საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღურია, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმის გადამსხვრევა ერთია".

ილიას ისიც კარგად ესმოდა, რომ ამ საქმეში მარტო მთავრობის და მის მოხელეთა იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა; იგი ასევე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ქვეყნის ინტელექტუალურ ელიტას, რომელიც პასიურობას იჩენდა: „ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ წაუძღვეს თავის საკუთარი ქვეყნის ცხოვრებას, განზედა დგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით უფრო ბევრ სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა – ცდომაა".

როცა ილია იკვლევდა, თუ რამ გააძლებინა ჩვენისთანა პატარა ქვეყანას დიდ იმპერიებთან და უთანასწორო ძალებთან ჭიდილში, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **ჩვენი გადარჩენის მიზეზი იყო დროთა შესაფერისი ხერხისა და ცოდნის ფლობა**: „ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა ნაჭედნი... უეჭველია ჩვე-

ნი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის გონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაივაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში".

სწორედ დროთა შესაფერისი ცოდნის დაუფლების აუცილებლობიდან გამომდინარე მოუწოდებდა ილია ქართველობას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის იმ პრინციპების დანერგვისაკენ, რომლის სამშობლოც ევროპაა: „**ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ახლა იმისაა, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს.** დღეს მძლეთამძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა, ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრის კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი – ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე". ილიას თქმით, ამ საკითხის არგათვალისწინება დაღუპვას უქადდა ქვეყანას (და უქადის ახლაც): „**ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა... ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველთა ამოიკვეთება და**

ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვები დაეპატრონებიან“.

1889 წლის 25 თებერვლის სტატიაში („ივერია“) **„ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“** ილიამ იწინასწარმეტყველა აშშ-ის მომავალი მსოფლიო ლიდერობა, რის საფუძველს იგი სახელმწიფოთა (შტატების) ძმურ კავშირში ხედავდა: „რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა (რასაც ორი მსოფლიო ომი მოგყვა კიდეც ევროპაში – ვ. შ.) და მძულვარება... ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვთ სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისთვისაც ქ. ნიუიორკში კონგრესი შეიკრიბა, სადაც ლაპარაკი იქნება, თუ რა პირობებითა და საშუალებებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი, ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს“.

კითხვები:

1. რა დაედო საფუძვლად ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას?
2. რას გულისხმობდა ილია „ევროპეიზაციაში“?
3. როგორი ევროპული ფასეულობები უნდა დანერგილიყო საქართველოში ილიას თვალთახედვით?

§9 ნიკო ნიკოლაძე ევროპული ფასეულობების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგდალეულთა ახალმა თაობამ (**ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე** და სხვ.) შეძლო ქართველი ერის ისტორიაში ახალი ბილიკების გაკვალვა: „ამ ახალი თაობის საქებრად უნდა ვთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს, ეს გზა – დასავლეთ ევროპის გზა არის" (ს. მესხი).

უდიდესი ქართველი მოაზროვნე **ნიკო ნიკოლაძე** (1843-1928) ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დასავლური, ევროპული შეხედულებანი ჯერ კიდევ 1870-იან წლებში არა მარტო იქადაგა, არამედ მათი პრაქტიკულად განხორციელებაც დაიწყო. **ის იყო ევროპული პრაგმატიზმისა და საქმიანობის, პოლიტიკური რეალიზმის, ევროპული განათლებისა და ტექნიკის, კულტურისა და ნოვაციის უპირველესი დამნერგავი საქართველოში.**

ევროპამოვლილი და საკაცობრიო კულტურას ნაზიარები ნიკო ნიკოლაძე თავისი ბუნებით იყო ჭეშმარიტი ქართველი მოაზროვნე და პატრიოტი. ფართო განათლებისა და რუსულ-ევროპული ენების საუცხოო ცოდნის წყალობით ნიკო ნიკოლაძე რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების არა მარტო მეთვალყურე, არამედ აქტიური მონაწილე იყო, თუმცა მთელი ცხოვრება საქართველოს ემსახურა.

დასავლეთ ევროპის პროგრესულ აზროვნებას მან ქართული ნიადაგი შეუფარდა და შექმნა ღრმად ეროვნული სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია: „არც ერთ მაშინდელ ჩვენს მოღვაწეს არ უგრძვნია ეპოქის სული ისე, როგორც ნ. ნიკოლაძე, იგრძნო, – წერდა **სიმონ ხუნდაძე**, –

არავის არ მოუტანია ჩვენში იმდენი პროგრესული და ევროპული აზრი (ამ სიტყვის კულტურული მნიშვნელობით), რამდენიც შემოიტანა ნ. ნიკოლაძემ.

გერონტი ქიქოძეს ნიკო ნიკოლაძე მიაჩნდა ევროპული აზროვნების პირველ წარმომადგენლად საქართველოში. ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც ევროპაში (ციურიხში) დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიიღო ფილოსოფიის დოქტორის წოდება აქტუალური თემისათვის „**განიარაღება და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები**", რომელიც შემდეგ ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ჟენევაში (ჯერ კიდევ როდის განჭვრიტა განიარაღების აქტუალობა. დღეს, როცა ქვეყნები მთლიანობაში ტრილიონობით დოლარს ხარჯავენ შეიარაღებაზე, ყოველწლიურად იარაღის ბიზნესს 800 მილიარდი მოგება მოაქვს. ამ დროს კი შიმშილით ყოველწლიურად 8 მილიონი ადამიანი იღუპება – 4 კაცი 1 წამში).

1860-1870-იან წლებში ნიკო ნიკოლაძემ რამდენიმე წელი დაჰყო ევროპაში. იგი პირველი იყო, ვინც ქართველი ქალები ევროპაში წაიყვანა განათლების მისაღებად და ახალი იდეების გასაცნობად. ნიკოლაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ ევროპის გამოჩენილ მწერლებთან და მოღვაწეეობთან, მეცნიერებთან.

ნიკო ნიკოლაძე კარგად იცნობდა **ლუი ბლანს**. იგი გაბედულად აკრიტიკებდა ლუი ბლანის შემრიგებლურ პოლიტიკას და გამოხატავდა სიმპათიას პარიზის კომუნის იდეებისადმი. ნიკოლაძეს მიმოწერა ჰქონდა ცნობილ ფრანგ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწესთან, მწერალ **ანრი როშფორთან.**

პარიზში ყოფნისას ნიკო ნიკოლაძემ დაწერა გამოკვლევა „დეკადენტური პრესა“ (1875 წ. ფრანგულ ენაზე), რომელსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოხმაურება მოჰყვა საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში. წიგნი ძლიერი მოსწონებია ცნობილ ფრანგ პუბლიცისტს **ემილ ჟირარდენს**, რომელმაც თავისი შთაბეჭდილებანი პოპულარულ გაზეთში გამოაქვეყნა. ამ წიგნის გამო მას წერილები გაუგზავნეს ლუი ბლანმა და ცნობილმა პუბლიცისტმა და ეკონომისტმა **ივ გიომ**. ეს უკანასკნელი ნიკოლაძეს ქება-დიდებას ასხამდა და ეთანხმებოდა საფრანგეთის პრესის შეფასებაში. ივ გიო წერდა ნ. ნიკოლაძეს: „ძვირფასო ბატონო თანამოძმევ! ძალიან მადლობელი ვარ თქვენი უაღრესად საინტერესო ბროშურის „დეკადენტური პრესის“ გამოგზავნისათვის. არასგზით არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ იგი დაწერილია „უცხოელი ჟურნალისტის მიერ“. ძალიან ცოტა ფრანგი ჟურნალისტი შესძლებდა მის დაწერას ასეთი ენით, ასეთი სიძლიერით და სისწორით. თქვენი საყვედურების უმეტესობა ფრანგული პრესის მიმართ მართებულია“... ნიკო ნიკოლაძე თავის წიგნში იცავდა პრესის თავისუფლების პრინციპს და ილაშქრებდა მოსყიდვისა და ძალადობის წინააღმდეგ, რაც ასე აქტუალურია კვლავ თანამედროვე მსოფლიოში. სხვადასხვა დროს ნიკო ნიკოლაძე თანამშრომლობდა ქართულ, რუსულ და ევროპულ 17 ჟურნალსა და 19 გაზეთში, წერდა რამდენიმე ენაზე.

ნიკო ნიკოლაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა **ვიქტორ ჰიუგოსთან, ემილ ზოლასთან, ჟან ჟორესთან, ალფონს დოდესთან, ერკმანსა და შატრიანთან, პოლ ლაფარგთან** და მის სიმამრთან, მსოფლიოში ცნობილ **კარლ მარქსთან** (როცა მარქსმა პოლ ლაფარგისა და ნ. უტინის საშუალებით

მიმართა ნიკოლაძეს, რომ ყოფილიყო ამიერკავკასიის წარმომადგენელი I ინტერნაციონალში, მან ეს წინადადება უარყო იმ მოტივით, რომ კავკასიაში მარქსის მოძღვრების გავრცელება ნაადრევიაო და უარყო ზოგიერთ ქვეყანაში მარქსის მოძღვრების გამოყენების შესაძლებლობა).

ნიკო ნიკოლაძემ თავისი მეგობრის **ლევ მეჩნიკოვის** საშუალებით ახლო კონტაქტი დაამყარა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთან **გარიბალდისთან.**

ნიკო ნიკოლაძე საქართველოში ეწეოდა ევროპული, დემოკრატიული იდეების პროპაგანდას. **იგი გადაჭრით მოითხოვდა საარჩევნო ცენზის გაუქმებას და მცხოვრებთა მთელი მასის (კაცები, ქალები) მონაწილეობას თვითმმართველობასა და არჩევნებში და საქალაქო თვითმმართველობის სათავეში მოწინავე ინტელიგენციის დაყენებას, შეკრებებისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლებას. ერთა თანასწორუფლებიანობას, ებრძოდა უკიდურეს ნაციონალიზმსა და შოვინიზმს.** იგი იმავე დროს მტკიცედ იცავდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, იერიში მიჰქონდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურდა საქართველო დასავლეთ ევროპის ან რუსეთის პოლიტიკური ამ ეკონომიკური ჩაგვრის ობიექტად გადაექცია. **იგი ევროპაში ბევრ მისაბაძთან ერთად მრავალ ნაკლოვანებას ხედავდა, რასაც დაურიდებლად აკრიტიკებდა:** „ევროპიელი ხალხი, – წერდა იგი, – ჩვენთვის ერთობ საჭიროა გავიგოთ გონებაში ჩავიბეჭდოთ და ნიადაგ გვახსოვდეს ეს გარემოება, – ევროპიელი ხალხი-მეთქი სწორედ იმ თვალით უყურებს ყოველ სხვა უკან-ჩამორჩენილს, უძლურს და უმეცარ ხალხს, როგორითაც ჩვენ თვითონ ცხვრის ფარას დავცქე-

რით. როდი ჰგონია, რომ ეს აზიელი, გინდ აფრიკელი ადამიანი ღვთისაგან დანაბადია, გრძნობების პატრონია, ტვინის მქონეა“.

ნიკო ნიკოლაძე ევროპული ტრადიციით განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს უცხოური აპრობირებული, დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით და თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო უცხოელს, ქართული სპეციფიკისა და რეალობის არმცოდნეს, ქვეყნისათვის ზუსტად მისადაგებელი განვითარების რეცეპტი მოენახა – ის, რაც ქართველის გასაკეთებელი იყო, მას უცხოელი თავს ვერ მოაბამდა და ვერ გააკეთებდა: **„ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის, – წერდა იგი, – დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყო, შენს დედა-ენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“.**

ევროპაში ნაცხოვრები ნიკო ნიკოლაძე კარგად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ევროპული ქვეყნების ძლიერი მხარეები მათი სათანადო შინაგანი განვითარებიდან მიდიოდა. ამიტომ ანიჭებდა იგი პრიორიტეტს ქვეყნის შინაგანი საქმეების გონივრულად მოგვარებას: „მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელი საშიშროების განეიტრალებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს

მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს".

ზემოთ აღნიშნული დებულების ქართული საზოგადოებისათვის დასამტკიცებლად ნიკო ნიკოლაძემ კარგად შეისწავლა და გააანალიზა XIX საუკუნის მეორე ნახევრის იაპონიის ე.წ. „მეიძის რევოლუციის" პერიოდი (სტატიაში „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან"), რომლის დროს ქვეყანამ დაიწყო და სწრაფად შეძლო უზარმაზარი თვისობრივი ნახტომის გაკეთება ცხოვრების ყველა სფეროში. კარგად გააცნობიერა რა თავისი პასუხისმგებლობა საკუთარი ერის წინაშე, იაპონიის გონიერმა მთავრობამ და მმართველმა ელიტამ დასახა ქვეყნის მომავალი პოლიტიკური და სოციალური მოწყობის მეცნიერული გეგმა, რომლითაც ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისად და ბალავრად დადებული იყო საკუთარი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, იაპონური ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი. ნიკო ნიკოლაძეს სამაგალითოდ მიაჩნდა მოკლე დროში ქვეყნის ასეთი აღორძინება და ილიასავით გონიერი მთავრობის აუცილებლობაზე და პასუხისმგებლობაზე მიანიშნებდა ქართველობას: „იაპონია ერთობ დიდ და ნათელ მაგალითს წარმოადგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან ჩამორჩენილი ხალხისათვის სწავლითა და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შეძენა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერსა და

სამეფოებს შუა". ნედლეულითა და სხვა სახის სტრატეგიული რესურსების სიმწირის მიუხედავად, იაპონიის ასე გაძლიერება, ნიკოლაძის სამართლიანი მოსაზრებით, შრომის ჭკვიანურმა ორგანიზაციამ და საშემსრულებლო დისციპლინის მაღალმა დონემ განაპირობა, რაც მას ასევე საინიმუშოდ მიაჩნდა. ნიკო ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამდა, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი ჰქონდა ქვეყნის სიდიდესა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას, არამედ თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფ დანერგვას: „ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას" – წერდა იგი (და დღეს, მართლაც უზარმაზარ და ნედლეულით უმდიდრეს რუსეთზე წინ არიან პატარა ქვეყნები – შვეიცარია, ბელგია, დანია და სხვ., რომლებმაც განავითარეს საწარმოო ძალები, ტექნიკა, ცოდნა და დისციპლინა).

ამრიგად, საქართველოს რომ რეალური დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, აუცილებელი იყო ის ევროპელი ქვეყნებივით ჯერ ეკონომიკურად აღორძინებულიყო, რის მთავარ პირობად, ნიკოლაძეს ილია ჭავჭავაძის დარად თავჩაუხრელი შრომა, თვითგანვითარება და სწავლა მიაჩნდა, ამასთან იგი თვლიდა, რომ „სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება".

ნიკო ნიკოლაძე აქცენტს აკეთებდა უმთავრესად საკუთარი რესურსებით და შრომით ქვეყნის განვითარების

აუცილებლობაზე და არა მხოლოდ უცხოელთა ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებაზე, რაც არასოდეს უანგაროდ არ ხდება: „ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს და არც მთელ საზოგადოებას. კაცისა და ქვეყნისათვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლისღვრითა და შრომით შეუძენია“.

ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და აღმშენებლობის პროცესში ნიკო ნიკოლაძეს ასევე აუცილებლად მიაჩნდა სხვისი მოიმედეობისა და აზიური ინერტულობის, იოლი გამდიდრების განწყობილების დაძლევა და მოითხოვდა ამგვარი ილუზიებისაგან დროულად გათავისუფლებას: „ჩვენს საზოგადოებაში, – წერდა იგი, – ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ერთ მშვენიერ დილას ჩამოფრინდება, ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის“.

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ ქართველობა მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტრებით გარშემორტყმული, ეული და მცირერიცხოვანი ერია და შესაბამის დასკვნას აკეთებდა: „ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ. მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიმუშაოთ, მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც“; ხოლო თუ ჩვენ კვლავ სხვის იმედსა და დახმარებაზე დავამყარებთ მომავალს და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, მაშინ კაპიტალიზმის ულ-

მობელი კანონების საფუძველზე ჩვენი მომავალი პერსპექტივა ძალზე არასახარბიელო იქნება – მიაჩნდა ნ. ნიკოლაძეს და წერდა კიდეც მოურიდებლად: „ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალეირივით (ე.ი. მკვიდრთათვის უფლება მიუნიჭებლად) დაიმონებენ ან ინდოჩინეთივით ძარცვას დაუწყებენ“.

ნიკო ნიკოლაძე ეროვნული საქმეების გადაწყვეტის პროცესში გადაჭრით უარყოფდა ყოველგვარ რედიკალიზმს და თვლიდა, რომ „ქართველობის მიზნები მხოლოდ ზომიერების გზით მიიწევნება (მიიღწევა)“. მას ქართველთათვის მისაბაძად მიაჩნდა ევროპაში არსებულ თაობათა მემკვიდრეობითობის ის ოქროს წესი, რომლის თანახმად, ყოველი ახალი თაობა განძად თვლის წინათაგან დატოვებულ მემკვიდრეობას და ზედ თვითონაც ართავს და ამატებს რასმე, რასაც მაშინდელ საქართველოში (და, სამწუხაროდ, არც დღეს) ადგილი არ ჰქონია.

ნიკო ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა ქართველ მოღვაწეთაგან (დიმიტრი ყიფიანთან და ილიასთან ერთად) წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია, რაც მთლიანად შეესაბამებოდა ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს. აი, როგორ აფასებდა მის მოღვაწეობას ჟურნალი „კლდე“: **„ნიკოლაძე და რუსეთში ნასწავლი ინტელიგენცია ორი ანტიპოდია, სულ სხვა ტიპი. ნ. ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტექნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკული და საქმიანი. ჩვენი ინტელიგენცია კი უმთავრესად აღზრდილია რუსეთის სკოლაში, ამ მონური სულით, ჩინოვნიკური რუტინით და სოციალისტიკით გაჟღენთილი. ამიტომ ჩვენი**

ინტელიგენტები უმთავრესად არიან თეორეტიკოსები, მეოცნებე, აკადემიური მსჯელობის ხალხი. ამათი სფეროა თბილი კაბინეტი, რბილი სავარძელი, უნიადაგო თეორიული მსჯელობა, მეტაფიზიკური მორალი და სხვადასხვა პარტიულ-პოლიტიკური ოცნება, ფანტაზიები. ნიკოლაძე კი, უწინარეს ყოვლისა, მუშაკია დაკაპიწებული ხელებით, ცხოვრების ტექნიკი და ლაბორანტი. იგი რეალისტია, რეალური პოლიტის მწარმოებელი, ცხოვრების მცოდნე, მის ქარტეხილში ჩავარდნილი".

ნიკო ნიკოლაძე მარტო სიტყვით როდი არწმუნებდა ვინმეს, არამედ მისთვის უმთავრესი იყო პრაქტიკული საქმე და ამადაც უწოდა არჩილ ჯორჯაძემ მას „ულმობელი საქმის კაცი".

აი, რას წერდა თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ნ. ნიკოლაძე: „საჭიროდ ვთვლიდი შემეძრა ის ცხოველმყოფელი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს, შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწისმფლობელობას და თვითმმართველობას... რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა... ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებინა. თბილისის ქალაქის თავად სომხებს **დიმ. ყიფიანი** ავარჩევინეთ. ქუთაისს გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ თვითმმართველობა შემოვაღებინეთ. ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობად გავაფართოვეთ".

ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის მსგავსად საქართველოს მომავალ ბედს ჯერ რუსეთს უკავშირებდა, შემდეგ კი

დამოუკიდებლობის აღსადგენად (1918 წელის 26 მაისი) და მის შესანარჩუნებლად ყველაფერი გააკეთა. იგი სწორად შთააგონებდა ხელისუფლებაში მყოფ გამოუცდელ სოციალ-დემოკრატებს, რომ **„როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა. უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსაზიდი (იმპორტი) მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი (ექსპორტი), მონობას ვერ ავცილდებით“.**

ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველი იყო ქართველ მოაზროვნეებში, ვინც ვაჭრობის, აღებ-მიცემობისა და კომერციის პროპაგანდა დაიწყო ევროპული, ცივილიზებული წესით და მისი ფასი კარგად იცოდა – ვაჭრობა ხომ წესრიგია, ანგარიშიანობა, აწყობილი საქმე, რელიგიასთან ერთად იგი ქვეყნის ერთიანობის მთავარი საძირკველია: „ვიდრე ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას სისხლსა და ხორცში ის რწმენა არ გაუჯდება, რომ საზიზღარი, სამარცხვინო, სათაკილო ქვეყანაზე მარტო უსაქმურობა და მუქთა ჭამაა, მანამდე ნუ გწამთ ვითომ განათლების ანუ წარმატების მირონი მოგვეცხოს. ვაჭრობა შრომაა და ისევე პატივსაცემი, როგორც ყოველგვარი შრომა“ – წერდა იგი.

ნიკო ნიკოლაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ფოთის აღმშენებლობაში, პორტის ელექტროფიკაციასა და მექანიზაციაში (მან მოიარა ევროპის და აფრიკის დიდი პორტები და მიიღო შესაბამისი გამოცდილება). 1894 წლიდან იგი 4-ჯერ ზედიზედ აირჩიეს ფოთის ქალაქის თავად. ამ 20 წლის მანძილზე ფოთის ბიუჯეტი 10-ჯერ გაიზარდა. **მან ფოთის**

პორტის ამოქმედებით ფანჯარა გაჭრა ევროპაში საქართველოსთვის.

უდიდესი შრომა გასწია მან ტყიბულის ქვანახშირის საბადოსა და ჭიათურის მანგანუმის წარმოების გასაფართოებლად. მან მოახერხა დიდი ბრიტანეთის სამეფო ბანკიდან კრედიტის აღება, გაიყვანა შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო ხაზი, რითაც მანგანუმის გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და გააიაფა კიდეც.

ნიკო ნიკოლაძე აქტიურად მონაწილეობდა თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირაბის გაყვანაში, ფოთი-თბილისისა და ტრანსციმბირის რკინიგზის მშენებლობაშიც კი. მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ევროპელ ბიზნესმენებთან – ფრანგ ებრაელთან **როტშილდთან** და შვედ **ძმებ ნობელებთან.**

ნიკო ნიკოლაძემ ფოთის ქალაქის თავად ყოფნის პერიოდში დააარსა თანამედროვე ბანკი. ქართულ სინამდვილეში პირველმა ნიკოლაძემ დაბეჭდა ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ქალაქის კეთილმოწყობას მოახმარა, რაც დიდად ნოვატორული და პრაქტიკული ნაბიჯი იყო მაშინდელ საქართველოში.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921) ნიკო ნიკოლაძემ გერმანელ დიპლომატებთან ოფიციალურ საუბარში ბერლინში წამოაყენა შესანიშნავი იდეა – ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობის უმოკლეს გზაზე – ფოთზე გატარების თაობაზე (ბერლინი – ფოთი – პეკინი), რაც დღეს, XXI საუკუნის დამოუკიდებელ საქართველოში პრაქტიკულად ხორცს ისხამს ევრაზიული დერეფნის (აბრეშუმის გზის) სახელით.

ევროპულ, დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ნიკო ნიკოლაძე კატეგორიული წინააღმდეგი იყო დესპოტური მმართველობის და ავტოკრატიული ლიდერების: „იქ, სადაც ყველაფერი ერთ კაცზე ტრიალებს და არა დაწესებულებაზე, – წერდა იგი, – ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ მე ვარ, სხვა არავინო, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეყანასო. ქვეყნის, ერის, იდეალის ხსენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. დესპოტის სამსახური, ქვეყნის და იდეალის სამსახური, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“.

ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს, რომ „ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ როლს, ჩვეულებრივ, ორი ტიპის მოღვაწენი ასრულებენ ხოლმე – ფანატიკოსები და მოანგარეები... რას ვხედავთ ამ მხრივ ჩვენში? საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისათვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას“.

ნიკოლაძე თვლიდა, რომ პოლიტიკა ახალმოდური შლიაპკა კი არ არის, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება“. შესაბამისად, პოლიტიკა მეცნიერებაა და ის შესწავლას მოითხოვს. ნიკო ნიკოლაძეს აქ მოჰყავს განვითარებული ქვეყნების მაგალითი: „საზღვარგარეთ კი ყველა პოლიტიკური პარტიის კადრი და შტაბი სხვადასხვა სპეციალისტების საჩინო მოღვაწეებისაგან არის შემდგარი; პარტიებს იქ მეტად რთული

სასიცოცხლო საქმეები მორიგად უდგათ წინ, რომლის მართვა ერთობ მარჯვე ღონისა და ცოდნის მოხმარებას თხოულობს: ამიტომაც მეთაურებს გავლენის შერჩენა რო-დიღა შეუძლიათ მარტო ფრაზების რახა-რუხით ან მიუწვ-დომელი სიმაღლისაკენ ფრთების ფართხალით".

შეიძლება ითქვას, რომ ევროპული მასშტაბის ასეთი გრანდი, როგორიც იყო ნიკო ნიკოლაძე, პოლიტიკურ მოღ-ვაწეებს შორის საქართველოს ჯერ არ ჰყოლია.

კითხვები:

1. რამ განაპირობა ნიკო ნიკოლაძის შეხედულებათა ასე-თი ფართო თვალსაწიერი?
2. რატომ უწოდეს ნიკოლაძეს „ულმობელი საქმის კაცი"?
3. ნიკოლაძის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურუ-ლი ნააზრევიდან რა შეიძლება გამოადგეს დღევანდელ ქართულ სახელმწიფოს და ახალგაზრდა თაობას?

§10 არჩილ ჯორჯაძე საქართველოს გაევროპელების გზების შესახებ

არჩილ ჯორჯაძემ (1872-1913) სულ 41 წელი იცოცხლა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართულ საზოგადოებას – იყო დიდი პატრიოტი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და ორგანიზატორი, მწერალი, ფილოსოფოსი და სოციოლოგი, რომელიც ღრმად ჩაწვდა ქართულ სინამდვილეს და ხასიათს („თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველი ქართველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ექნება თანამედროვე საზოგადოებას" – წერდა მას დიდი ივანე ჯავახიშვილი).

არჩილ ჯორჯაძემ თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ პეტერბურში, შემდეგ ვარშავის უნივერსიტეტებში. ტუბერკულოზით დაავადებული ნიჭიერი ახალგაზრდა ექიმების რჩევით სამკურნალოდ და საკუთარი სურვილით სასწავლებლად ჯერ ლონდონში გაემგზავრა, მერე კი პარიზსა და ჟენევაში. სწავლასთან და მკურნალობასთან ერთად იგი პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი წინადადებით საფრანგეთში გამოდიოდა გაზეთი „საქართველო" ქართულ და ფრანგულ ენებზე („ლა ჟეორჟი").

1903-1905 წლებში ამ გაზეთს არჩილ ჯორჯაძე რედაქტორობდა **გიორგი დეკანოზიშვილთან** ერთად. გაზეთმა და მისმა ფრანგულმა დამატებამ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ევროპაში ბევრი თანამგრძნობი და გავლენიანი სახე შესძინა.

ევროპაში განათლებამიღებული არჩილ ჯორჯაძე 1905 წელს სამშობლოში დაბრუნდა და ილიას სიკვდილის მერე ეროვნული მოძრაობის იდეოლოგად და ქართული ცხოვრების ევროპულად გარდაქმნის მომხრედ მოგვევლინა. მან საფუძვლიანად გააანალიზა საქართველოს ისტორია, ჩვენი მეობა, ძლიერი და სუსტი მხარეები და ახალი მიმართულებანი დასახა სამომავლოდ.

ევროპიდან დაბრუნებულმა არჩილ ჯორჯაძემ სხვა თვალით შეხედა ქართულ რეალობას: „ის, რითაც გვიცხოვრია, დაძველდა, გაცვდა და ახალი გზის, ახალი იდეალის ძიებაში ვართ... ჩვენ დუღილის ხანაში ვართ. ეს ჩვენი სინორჩე, გამოურკვევლობა, „დუღილი" უნდა გვახარებდეს" გვამხნევებდეს, რადგან ყოველივე ეს სიცოცხლის მომასწავებელია; რადგან სიცოცხლე მოლოდინია, მოლოდინი და რწმენა კი დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მარტო მოლოდინით ვერ დავკმაყოფილდებით, ვითარება და ჩვენი მოლოდინი საქმეს გვავალებს, ეს საქმე უნდა იყოს ცოცხალი, ცხოვრებისეული, მსჯელობას მოქმედება უნდა მოჰყვეს, რა უნდა იყოს ჩვენი პირველი საქმე? ამის გადაწყვეტა ძნელია, რადგან ჩვენში ბევრი რამაა გასაკეთებელი". ჯორჯაძე აუცილებლად მიიჩნევდა არა მარტო თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შეთავსებას, არამედ აზროვნებისა და მოქმედების ახალი, ევროპული სტილის დანერგვას. იგი ილიასავით მოყვარეს პირში უძრახე"-ს პრინციპით წერდა, რომ ქართველები „ზარმაცები ხართ, არამუყაითნი, დაუდევარნი, არამტკიცე, აპილპილდებით მოკლე ხნით და გამუდმებული შრომა კი გეზარებათ. გატაცებით მოკიდებთ საქმეს ხელს, ხოლო მალე დატოვებთ დაუმთავრებელს. ოცნებობთ, განყენებულის თეორიებით ცხოვრობთ და გა-

ვიწყდებათ, რომ ოცნება, თეორია და პრაქტიკული ცხოვრება ერთი არაა, გიყვართ პოლიტიკაზე ბაასი, მაღალი, დიდი საქმეები და არ ფიქრობთ, რომ სინამდვილე უფრო პატარა საქმეებისგან შედგება და **დიდი საქმე იმსხვრევა, როცა ნიადაგი არა აქვს მომზადებული პატარა, ყოველდღიური მუშაობით. ყველას მაღალი თანამდებობა, დიპლომი, ჩინი, სამსახური გინდათ მაშინ, როცა საჭიროა პატიოსანი, ბეჯითი, მხნე, უბრალო მუშაკი, შემოქმედი ქვეყნის სიმდიდრისა, ახალი კულტურის გამავრცელებელი, ცხოვრების გამაუმჯობესებელი**".

არჩილ ჯორჯაძე მხარს უჭერდა საზოგადოების თანდათანობითი ევოლუციის და სრულყოფის გზას. ქართული ეროვნული ახალი იდეალების შემუშავების და განხორციელების საქმეში ცენტრალურ როლს აკისრებდა ინტელიგენციას. ერისადმი თავის სამსახურში ინტელიგენტი „სინდისიერი, სამართლიანი ცოდნით უნდა ეცადოს მის გაგონიერებას შესათვისებლად ცხოვრების „ევროპული ფორმებისა". ასევე ინტელიენციას აკისრებდა მთავარ როლს ჯორჯაძე მის მიერ შემუშავებულ **„საერთო მოქმედების ნიადაგის"** თეორიის განხორციელების საქმეში (1901).

არჩილ ჯორჯაძის აზრით, „უდავოა, რომ ევროპაში მოკამათე დასები სხვადასხვა ქვეყანაში დგანან საერთო მოქმედების ნიადაგზე. დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნისათვის საჭიროა ყველა პროგრესული პარტიის შეერთებული ძალა და ამ მიზნით საჭიროა კლასთა ბრძოლის სიმწვავის შესუსტება". ჯორჯაძე აკონკრეტებს, რომ საერთო ნიადაგზე დგომა არ ნიშნავს პარტიათა და სოციალურ ჯგუფთა შორის ყოველგვარი წინააღმდეგობათა მოხსნას. იგი გამოყოფს „სამ უმთავრეს საკითხს ჩვენი ცხოვრებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის გარკვევაში ჩვენს მოპირისპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიათ:

ა) ქართული ენის დაცვა;

ბ) ქართული ვაჭრობა-მწერველობის შექმნა;

გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში დარჩენა.

მოგვიანებით, მან ამ პირობებს კიდე ორი დაამატა:

1. ქართველი ინტელიგენცია უნდა განაგებდეს და აწარმოებდეს სახალხო-კულტურულ მოღვაწეობას. მან უნდა შეძლოს დააარსოს საკვირაო სკოლები, სახალხო ბიბლიოთეკები, თეატრები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, უხელმძღვანელოს შესაბამის ღონისძიებებს;
2. ქართული ინტელიგენცია აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქალაქის თვითმმართველობაში.

ჩამოთვლილი საპროგრამო მოთხოვნებიდან კარგად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძის ცნობილი საპროგრამო დებულების – „ენა, მამული, სარწმუნოება“ – განვითარების ახალი პერსპექტივები დაისახა და ახალი კონკრეტული და შინაარსობრივი დატვირთვაც მიიღო თანადროულობის შესაბამისად.

„საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიის მოთხოვნა შეეხო ასევე საქართველოს, მთლიანად ამიერკავკასიის ადმინისტრაციაში და თბილისის თვითმმართველობაში არჩევისას ეკონომიკური სიმდიდრის, ცენზის საკითხს. მმართველობის და ბიზნესის სათავეში არაქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლები (ძირითადად სომხები და რუსები) იყვნენ, ამიტომ ამ წარმომადგენლობებში ქართველთა როლი უნდა გაზრდილიყო.

გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოს ქართველთა განათლების საერთო დაბალი დონის მიზეზი მათი სოციალური სიდუხჭირეაო, არჩილ ჯორჯაძემ საწინააღმდეფო პოზიციიდან ახსნა: „ხალხთა გაუნათლებლობაა მიზეზი მათი სოციალური სიღატაკისა და სიმწირისა“ – ამიტომაც სახალხო განათლების განვითარება მთელი ქართველი ხალხის საერთო მოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად გამოაცხადა, რომლის ხორცშეხსმისათვის ყველა ქართველს პოლიტიკური შუღლი უნდა დაევიწყებინა, ქართველი ხალხის ინტერესები კი ყველაზე მაღლა დაეყენებინა.

არჩილ ჯორჯაძეს „საერთო მოქმედების“ თეორია საქართველოს კაპიტალიზმის ევროპულ გზაზე დაყენების მანიშნებელ გზად მიაჩნდა. იგი ვარაუდობდა კულტურული განვითარებისა და ეკონომიკური აღმავლობის ცივილიზებულ ფორმებში ურთიერთშერწყმას.

ჯორჯაძის აზრით, ევროპაში მიმდინარეობს როგორც კაპიტალის კონცენტრაცია, ასევე თანაბრად დეცენტრალიზაციის პროცესიც და საერთოდ კაპიტალიზმის ეს თავისებურება, მისი განმარტებით, სრულიადაც არ იყო საშიში საქართველოსათვის, რადგან იგი წვრილი, კერძო მესაკუთრული ქვეყანა იყო.

არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებს, ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნას, ფედერალური მოწყობის საკითხების დამუშავებას რუსეთის იმპერიის მასშტაბებში. მან, როგორც პოლიტიკოსმა, თავისი დროისათვის საკმაოდ პროგრესული, ევროპული იდეები წამოაყენა, მაგრამ მას ყო-

ველთვის მაინც ერთი სახელმძღვანელო პრინციპი ამოძრავებდა – მოენახა გზა საზოგადოებაში წარმოქმნილი დაპირისპირების გადასალახავად, ერთის მხრივ, ცალმხრივი დემოკრატიზმის მოქადაგე მხარეს (ჟურნალ „კვალის“ ჯგუფი) და, მეორეს მხრივ, ცალმხრივი პატრიოტიზმის მქადაგებელი („ივერიელები“), ერთ მთლიანობად უნდა შეკრულიყვნენ, რადგან მას არ შეეძლო ქართველი ერის სასარგებლოდ არ მიეჩნია ხალხის თავისუფლებისაკენ მისწრაფების და ეროვნულობის გრძნობის გამთლიანება, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის ერთმანეთთან შერწყმა. როგორ შეიძლება ერთმანეთთან ჰარმონიაში მოვიდეს წოდებრივ-კლასობრივი წინააღმდეგობა და ეროვნული თანხმობა? როგორი მიმართება უნდა დამყარდეს მათ შორის? ჯორჯაძის აზრით, აქ უკიდურესობათა გზა გამორიცხულია, – საერთოდ ამ კითხვაზე სამი შესაძლებელი პასუხია: პირველი – ეროვნული ერთობის გამო კლასთა ბრძოლის უარყოფა, მეორე – კლასთა ბრძოლის გამო ეროვნული ერთობის უარყოფა, მესამე – ეროვნული ერთობა შესაძლებელია კლასთა იმ წარმომადგენლებისათვის, რომელთათვისაც ერთიანობა ხალხის განვითარების საშუალებაა. პირველი მოსაზრება უნიადაგო ეროვნებას იცავს, რადგან უარყოფს მშომელთა კლასობრივ ჩაგვრას და მას ხალხი არ მიიღებს, მეორეს ლოგიკურად ეროვნების უარყოფამდე მივყავართ, მესამე პასუხი კი შესაძლებლობას იძლევა დავიცვათ ეროვნული პრინციპი და ხალხის კეთილდღეობა.

არჩილ ჯორჯაძე თავს იცავდა სოციალ-დემოკრატების ბრალდებისაგან, რომლის მიხედვით „საერთო ნიადაგის“ თეორია უარყოფს კლასთა ბრძოლას და კლასობრივი ზავი სჭირდება ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დასაცა-

ვადო. ის არ უარყოფს, რომ ესწრაფვის ეროვნული ბურ-ჟუაზიის ზრდა-განვითარებას (ევროპული ტრადიციებისა-მებრ). მას მიაჩნია, რომ ამ გზით უცხოელთა ჩაგვრის ულელი შესუსტდება, რომ „თავადს და ბურჟუას ვერ წავართ-მევთ საერთო საქმისათვის სამსახურის სურვილს, პირი-ქით, ხელი უნდა შევუწყოთ ამ სურვილის გაძლიერებას, მაგრამ მას ეროვნული ბურჟუაზიისათვის ხელის შეწყობა მომენტის ამოცანად მიაჩნდა კონკრეტულ სიტუაციაში და არა საბოლოო მიზნად.

ერის კონსოლიდაციის და გადარჩენის საქმეში ინტე-ლიგენციასთან ერთად ჯორჯაძე უდიდეს როლს აკისრებ-და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას „რომელიც, – მისი თქმით, – ისტორიულად იყო ძალა, რომელსაც შეეძ-ლო ერი ეხსნა გადაგვარებისაგან და რომელიც მუდამ ჟამს მისი ინტერესების დაცვის სადარაჯოზე იდგა“.

არჩილ ჯორჯაძე ძალზე უფრთხილდებოდა თაობათა მემკვიდრეობის პრინციპებს და ობიექტური იყო მათი შე-ფასების საქმეში. როცა ილია ჭავჭავაძეს მწვავედ აკრიტი-კებდნენ სოციალ-დემოკრატები, არჩილ ჯორჯაძის დამო-კიდებულება ილიასადმი იყო მისაბაძი. იგი ილიას ეროვნუ-ლი მოძრაობის მეთაურად თვლიდა. როდესაც მას რაიმე საკითხში არ ეთანხმებოდა, ამას დიდი პატივისცემის ფორ-მით გამოთქვამდა.

ჯორჯაძე მკაცრად ამხელდა და გმობდა თვალსაზისს, რომელიც ამართლებდა პატარა ერების დიდ ერებში ბუ-ნებრივ შერწყმას. ისინი, ვინც ამ იდეას ეთანხმებოდნენ, მათ იგი მიიჩნევდა პატარა ერებზე ბატონობის მომხრედ და ადამიანებად, რომლებიც არ ცნობდნენ ეროვნულ ხა-სიათს და სულისკვეთებას.

არჩილ ჯორჯაძის აზრით, ეროვნული ფსიქიკა არ შეიძლება იყოს არც ფეოდალური, არც ბურჟუაზიული. ასეთი „სქემები“ აუქმებენ ერის არსებით ნიშნებს, შლიან ზღვარს სხვადასხვა ერის სულიერ თავისებურებებს შორის. ხალხის ეროვნულ გონს მან სხვანაირად „მამულიშვილობაც“ უწოდა. მამულიშვილობის „შინაარსი სოლიდარობაა ადამიანთა განსაზღვრულ ერთეულობათა შორის“. იგი არ იშლება „სოციალურ ინტერესთა ანტაგონიზმის“ გამო, ეს „ერთიანი ფსიქიკური ფაქტი“ ყოველთვის ერთნაირი რჩება ეროვნულ შეგნებაში. ეს ეროვნული გონი ადრე „ხელს უწყობდა უსამართლო წყობილების დამკვიდრებას“, მაგრამ დადგა დრო, როცა იგი უნდა წარიმართოს უსამართლო წყობილების წინააღმდეგ, დადგა ხანა „სოციალური სამართლიანობის შეგნებისა, კულტურის აყვავებისა და ამასთან ეს არის ხანა სხვა კულტურულ ერთეულებთან დაახლოებისაც“.

არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ქართველის ეროვნული გრძნობა არასოდეს უპირისპირდება სხვა ერთა პატივის, უფლების უზრუნველყოფას, მის შეზღუდვას ან დამცირებას.

ამრიგად, ქართველი ხალხის ერთი ეროვნული ინტერესით შედუღაბებაში, ერის სულიერ გამთლიანებაში ხედავდა არჩილ ჯორჯაძე ქართველი ერის გადარჩენისა და მისი მომავალი აღორძინების საფუძველს. იგი მიუთითებს, რომ ეროვნული ხასიათი თუ სული, არ არის რაღაც მეტაფიზიკური რამ, იგი ყალიბდება, ვითარდება, იცვლება, მაგრამ ერის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ცვალებადობით მაინც რჩება რაღაც ზოგადეროვნული, სპეციფიკური ქართული ხასიათი, განსხვავებულ ფორმებში გამოვ-

ლენილი ერის ისტორიის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე.

ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ ძირითად მოთხოვნებს კრიტიკულად შეხვდა მაშინდელი ქართული საზოგადოება. მათ ამ თეორიაში ვერ შეამჩნიეს ეროვნული ერთიანობის უდიდესი ღირებულებითი მნიშვნელობა.

არჩილ ჯორჯაძეს „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია მიაჩნდა ქართული ეროვნული გონის მრავალმხრივი გაშლისა და განვითარების პროგრამად, რუსული იმპერიული უღლიდან თავდახსნისა და ერისათვის მომავალი აღორძინების გზად, მაგრამ მან თავის სიცოცხლეშივე აღიარა, რომ შექმნილი ობიექტური მიზეზების გამო (1905 წლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვითარება, სოციალ-დემოკრატიისა და მარქსისტული პროპაგანდის წარმატებები) ნაადრევი იყო დამოუკიდებლობის მიღწევისათვის სამოქმედოდ გაეხადა აღნიშნული ეროვნული მოწყობის პროგრამა.

ამან მასში გამოიწვია პესიმიზმი და მომავლის რწმენის შერყევა. მისი აზრით, ქართველ ერს თავისი თავი დიდი იდეალების განსახორციელებლად ჰქონდა წარმოდგენილი, საქართველი კი – დიდ მოვლენათა ასპარეზად. სინამდვილეში იდეალები ჩაკვდა და შეგვრჩა გაძარცვული, უსაზრისოდ გარინდებული ქართული სინამდვილე: „საქართველო სოციოლოგიური და სოციალისტური პრობლემების გასარკვევი ლაბორატორია გვეგონა. გამოირკვა, რომ ჩვენ პატარა ხალხი ვართ, შემდგარი მეცხვარეების, მევენახეებისა და მიწათმოქმედთაგან. აღმოჩნდა, რომ ქართველ ხალხს არც საძოვარი აქვს ცხვრისათვის და არც სახნავსათესები. ყველაფერი დაიკარგა, სხვა ერებმა მიითვისეს...

დაღონებული და დასევდიანებული ვგრძნობთ, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, ნამდვილი საქმე არაა და ის, რითაც ვცხოვრობთ, აზრს და მიზანს მოკლებულია... რომ საქართველო გახდა ოსების, სომხების და რუსების მიგრაციის სფერო, რის შედეგად განახევრდა ქართველი მოსახლეობა, რომ საქართველომ ვერაფერი დაუპირისპირა სომეხ ბურჟუაზიას, რომ ქართულ ენას აბუჩად იგდებენ თვით ქართველები და ცდილობენ თავიანთ შვილებს რუსულ გიმნაზიაში ასწავლონ... ქართველი ერი დაავადებულია, ქართველი საზოგადოების სახით საქმე გვაქვს „ავადმყოფ საზოგადოებასთან". წერილებში „ჩვენი სატკივარი", „გარდამავალი ხანა" არჩილ ჯორჯაძე მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოება მომხმარებლური გახდა. მათ არაფერი აინტერესებთ პირადი ცხოვრების მოწყობისა და სენსაციების გარდა. ქვეყნის სატკივარზე ფიქრისათვის არ სცალიათ. სამაგიეროდ, თვალი „ველო, იპო და აეროდრომებისაკენ" უჭირავთ. ქართველები მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ – როგორ გაზარდონ საკუთარი შვილები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყვნენ კარგი ცხოვრებით, მთავრობის სამსახურით და ჯილდოებით... ეროვნული საქმე მივიწყებულია, მისდამი ინტერესი დაკარგულია... ყველას უნდა ცხოვრების სუფრაზე უდარდელად წამოსკუპება... როდესაც ერის განადგურების მოწმე ხდები, პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში თავისი ვინაობის დასაცავად და შესანარჩუნებლად, არის საერთო აღორძინებისა და საერთო მოქმედების იდეა".

კითხვები:

1. ქართველობის რა ნაკლოვან მხარეებზე ამახვილებდა ყურადღებას არჩილ ჯორჯაძე?
2. რაში მდგომარეობს მისი „საერთო მოქმედების თეორია“?
3. ვის აკისრებდა არჩილ ჯორჯაძე მთავარ როლს ამ თეორიის განხორციელებაში?

§11 დავით სარაჯიშვილი – ევროპული ტიპის პირველი ბიზნესმენი საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით სარაჯიშვილმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში მოიხვეჭა დიდი სახელი და სიყვარული. ის იყო ევროპული მასშტაბის ქართველი მეწარმე და თანამედროვე მარკეტინგული აზროვნების მატარებელი ბიზნეს-ორგანიზატორი. მისი სანიმუშო სამეწარმეო მოღვაწეობა არა თუ იმ ეპოქის დონეზე 'იდგა, არამედ 20-30 წლით უსწრებდა XX საუკუნის ევროპა-ამერიკის ბიზნესის წარმოების ფილოსოფიას, რომელიც საბოლოო სახით 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა და მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში შევიდა როგორც „მარკეტინგის ეპოქა" (ილია ფერაძე).

დღეს საყოველთაოდ ცნობილია მარკეტინგული ნარევის ცნება, რომელიც „4P"-ს თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი, მისი შემადგენელი კომპონენტების ინგლისური დასახელების პირველი ასოებიდან გამომდინარე (Product – პროდუქტი, Price – ფასი, Place – ადგილი და Promotion – წარმოჩენა). დავით სარაჯიშვილის საქმიანობაში შეიმჩნევა ამ ოთხივე ელემენტისადმი ღრმად გააზრებული, მეცნიერული მიდგომა, ბევრი დიდი ბიზნესმენისაგან განსხვავებით, ამ ოთხ P-სთან ერთად მის მოღვაწეობაში იკვეთება მისეული, დიდი მრეწველისა და ამავდროულად ქვეყნის პატრიოტისათვის განუყოფელი, უმთავრესი ელემენტი, მეხუთე P – ეს არის „PATRIA" ანუ სამშობლო, მამული, თავისი ხალხი, რომელთა სამსახურში გალია მან თავისი სიცოცხლე.

საინტერესო შეფასება მისცა დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობას დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ **ნოე ჟორდანიამ:**

„ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპული ტიპისა. ერთხელ მან მითხრა: „ძნელია ჩვენში ეკონომიურად წინწაწევა. როგორც კი ერთი ცოტაოდენ ქონებას შეიძენს, ასი მშიერი უკან დასდევს და სანამ არ გახრავენ, თავს არ დაანებებენ“-ო. ასეთ პირობებში მართლაც დიდი პრაქტიკული ნიჭია საჭირო, რომ ამ შემოსეულ ხროვას გაუძლო და შეძლება გონიერად მოიხმარო. დავითი რომ წმინდა ქართველი მრეწველი ყოფილიყო, კაი ხანია ქართველურად დაამთავრებდა – მისი შეძლებისგან არაფერი დარჩებოდა. მხოლოდ ევროპიელ კაცს შეეძლო ყველა მადლიერი ჰყოლოდა და თანაც შეძლება არ გაეფლანგა. **შეაერთეთ ქართული გულკეთილობა და პურ-მარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა. და მე მგონია ქართველის გაევროპიელება სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს. როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპიულ მუშაობას, ევროპიულ საქმიანობას და ნაციონალურ ხასიათს არ დავკარგავთ – ჩვენი გაევროპიელება ფაქტი იქნება. დ. სარაჯიშვილი ქართველი ევროპიელი იყო“.**

დავით სარაჯიშვილის წინაპრები ცნობილი კომერსანტები იყვნენ და როგორც ისტორიული წყაროები იუწყებიან, ისე „გაწაფულან აღებ-მიცემობაში, რომ მეფე **ვახტანგ მეექვსემ**, რომელმაც **1710** წელს შემოიღო შთამომავლობით გარდამავალი „თბილისის საპატიო მოქალაქეობის“ წოდება, იგი ერთ-ერთი პირველი დავით სარაჯიშვილის დიდ ბაბუას უბოძა“. მისმა წინაპრებმა პირველებმა დაიწყეს რუსეთთან ვაჭრობა, ისინი სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ რუსეთის ჯარს.

მამის, ცნობილი კომერსანტისა და ქველმოქმედის, ზაქარია სარაჯიშვილის მეშვეობით დავით სარაჯიშვილმა

ბრწყინვალე განათლება მიიღო – ჯერ თბილისში – „ჰაკეს“ პანსიონსა და თბილისის ვაჟთა პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, საიდანაც ის გადადის ჯერ მიუნჰენის, მერე კი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს ქიმიის დოქტორის ხარისხით. იმავე წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით.

სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა ამითაც არ კმაყოფილდება და 1872-1878 წლებში ჰოპენჰეიმისა და ჰალეს უნივერისტეტებში ეუფლება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას. ოჯახის ხელშეწყობით იგი 1878 წელს მიემგზავრება საფრანგეთში და შეუდგა მევენახეობისა და მეღვინეობის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შესწავლას.

საფრანგეთში ყოფნისას დავით სარაჯიშვილი დაინტერესდა კონიაკის წარმოებით (რომლის წარმოების პიონერი საქართველოში იყო ქუთაისელი მეწარმე – პარიზის ეროვნული აკადემიის და ბრიუსელის საერთაშორისო აკადემიის საპატიო წევრი **გიორგი ბოლქვაძე**, რომელმაც 1865 წელს ქუთაისში დააარსა არყის ქარხანა თავისი ლაბორატორიით), რომელიც შედარებით ახალი დარგი იყო მეღვინეობაში.

საფრანგეთში ყოფნისას სარაჯიშვილმა შეისწავლა კონიაკის წარმოების საქმე, გააანალიზა, რომ კონიაკის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის შემადგენლობა, კლიმატური პირობები, საკონიაკე ყურძნის ჯიშები, შეადარა ისინი საქართველოს შესაბამის პირობებს და მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოში ყველა პირობა იყო ხარისხიანი კონიაკის მისაღებად და საწარმოებლად.

მაშინ კონიაკის სამრეწველო გამოშვებას დიდი კაპიტალისა და ცოდნის გარდა დიდი გამბედაობაც უნდოდა.

საქმე იმაში იყო, რომ ამ საქმეს კაპიტალის დიდი ხნით დაბანდება სჭირდებოდა, რაც ერთობ სარისკო საქმე იყო. იმ დროს ევროპის და რუსეთის ბაზარზეც დომინირებდა ფრანგული კონიაკები, რომლებიც არისტოკრატიულ წრეებში დიდი მოწონებით სარგებლობდა.

რუსეთში კონიაკის წარმოების ყველა აქამდელი მცდელობა მარცხით დასრულდა.

საკონიაკე ვენახების სპეციალურ მოშენებას 4 წელი მაინც სჭირდებოდა. ამასთან საჭირო იყო ღვინის სპირტად გამოხდა და შემდეგ მისი მუხის კასრებში დაძველება – მინიმუმ 4 წელი. ამგვარად, საქმის დაწყებიდან მხოლოდ 8 წლის შემდეგ იყო შესაძლებელი პირველი შედეგის მიღება და თან არანაირი წინასწარი გარანტია არ არსებობდა მიღებული სასმელის ხარისხზე. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კონიაკის წარმოება დაკავშირებულია დიდ დანაკარგებთანაც. ერთი ლიტრი სპირტის მისაღებად საჭიროა 8 ლიტრი დაბალგრადუსიანი ღვინო, ხოლო შემდეგ გამოხდილი მასალის 20% ქროლდება და იკარგება, რომელსაც ფრანგები „ანგელოზების წილს“ უწოდებენ. ეს დანაკარგები შემდგომ აისახება კონიაკის ხარისხზეც და ფასზეც.

სარაჯიშვილის დიდი ნიჭი და ალღო იმაშიც გამოიხატა, რომ ზუსტად გათვალა ყველაფერი. მან ღრმად შეისწავლა ყურძნის ჯიშები საქართველოსა და რუსეთის იმპერიის ცალკეულ ადგილებში, ასევე – ნიადაგი და კლიმატური პირობები, მოთხოვნილება კონიაკზე, მიზნობრივი მომხმარებელი, ბაზარი, რომელიც ფრანგულ კონიაკებს ჰქონდათ დაპყრობილი და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება ხელი მოეკიდა ქართული კონიაკის წარმოებისათვის მზარდ რუსულ და უცხოურ ბაზარზე გასატანად.

საქმისადმი ასეთი მარკეტინგული მიდგომა და აზროვნება მაშინ მსოფლიოში თითებზე ჩამოსათვლელ ბიზნესმენებს თუ გააჩნდათ. იმ დროს, როცა დავით სარაჯიშვილმა სამრეწველო მოღვაწეობა დაიწყო, დღესდღეობით ცნობილი ბევრი მსოფლიო ფირმა არ არსებობდა და ის ფირმებიც, რომლებიც წარმატებით იპყრობდნენ ბაზრებს, არსებობდნენ ტრადიციული ოჯახური ბიზნესის მეშვეობით.

საფუძვლიანი შემზადების შემდეგ უშუალო საწარმოო საქმიანობა მან 1884 წელს დაიწყო თბილისში ოლღას ქუჩაზე (ამჟამად კოსტავას ქუჩა, ცეკას გამომცემლობის შენობის ადგილას), სადაც გახსნა სპირტის სახდელი ქარხანა, რომელშიც თავიდან ყოველწლიურად აწარმოებდა 12 ათას ვედრო სპირტს. ამ სარექტიფიკაციო ქარხნის ბაზაზე დაიწყო მუშაობა სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანამ. ამავე წელს ამუშავდა შვეიცარიიდან მიღებული ახალი აპარატი, რომელიც მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტს ხდიდა.

1889 წელს დ. სარაჯიშვილმა სპირტით სავსე 200 მუხის კასრი ჩამოიტანა საფრანგეთიდან. იგი თავიდან უშვებდა 1, 2, 3, 4. 5 ვარსკვლავიან კონიაკებს „კავკასიის ნატურალური კონიაკის სახელწოდებით" და გაჰქონდა მოსკოვში, პეტერბურგში,. ვარშავაში და სხვ. დაძველებული სპირტების მიღების შემდეგ მან გამოუშვა სამარკო კონიაკები „ფინშამპანი", „გრანშამპანი" და ბოლოს „ძალიან ძველი" („ОЧ"), რომელიც მზადდებოდა 1888-დან დაძველებული 14-წლიანი საკონიაკე სპირტის ბაზაზე.

სარაჯიშვილის ფირმა მოიცავდა ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა სახის წარმოებას. იგი კონიაკის წარმოების დიდი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო, მაგრამ თანამშრომლობდა ევროპელებთან და 1887 წელს საფრანგეთიდან მაინც მოიწვია ლიქიორის წარმოების სპეციალისტი **ბურდონი** და კონიაკის ტექნოლოგი **ანტონ**

ურდი, რომლებიც თავისი ქარხნის ტერიტორიაზე ბინებში დაასახლა. ასევე ჩამოიყვანა ევროპელი სპეციალისტები სხვა საწარმოებისთვისაც.

დავით სარაჯიშვილი, როგორც ალღოიანი მეწარმე და წინდახედული პიროვნება, მუდმივად ცდილობდა წარმოების განვითარებას და განახლებას, ასორტიმენტისა და გასაღების ბაზრების გაფართოებას. 1885-1899 წლებში მისი წარმოება 40-ჯერ გაიზარდა და 60-მდე დასახელების სხვადასხვა სახის სასმელს უშვებდა.

1885 წელს ვლადიკავკაზში, 1887 წელს კი ერევანში დავით სარაჯიშვილმა დააარსა სპირტსახდელი და სარექტიფიკაციო ქარხნები, რომლებიც ნედლეულის ბაზებთან ახლოს იყო.

თბილისის ხარხანა მან გადააკეთა კონიაკის ცენტრალურ საწყობად და ახალი ქარხნები გახსნა კვლავ ერევანში (1894), კალარაშში (ბესარაბია, 1895), ბარგუშეთსა და გოგჩაში (ბაქოს გუბერნია, 1901), კარუმოვკაში (თერგის ოლქში, 1908) და ელისავეტპოლში (1915).

მართლაც დიდი ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ იმდროინდელი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების პირობებში, ასე წარმატებით ემართა ასე ერთმანეთისგან დაშორებული საწარმოები, სათანადო დროს ეცვალა ქარხნების მანქანა-დანადგარები, ან დაენერგა ახალი ტექნოლოგიები.

დავით სარაჯიშვილის ფირმაში კონიაკის წარმოება ფრანგული წესით ხდებოდა. სხვადასხვა ადგილიდან სხვადასხვა დროს შემოსული სპირტი ცალცალკე ისხმებოდა 40-50 ვედროს ტევადობის მუხის კასრებში, რომელსაც სპეციალური მაღალმთიანი მუხის ჯიშისგან ამზადებდნენ. კასრში დაძველებული სპირტისგან კუპაჟით მზადდებოდა კონიაკი და ისხმებოდა 500-600 ვედროიან კასრებში. დას-

ვენების შემდეგ მზა კონიაკი (ბოთლით, კასრით) იგზავნებოდა სარეალიზაციოდ.

იმის მიხედვით, თუ როგორ ააწყო დავით სარაჯიშვილმა პროდუქციის გასაღების სადისტრიბუციო ქსელი, ვხედავთ სარაჯიშვილის გენიალური კომერციული ნიჭის მაგალითებს. ერთია აწარმოო პროდუქცია, რომელიც მომხმარებელს სჭირდება, აწარმოო იმ რაოდენობით, რასაც აითვისებს ბაზარი და მეორეა – ამ პროდუქციის შეუფერხებელი მიწოდების ორგანიზება საჭირო გეოგრაფიულ წერტილებამდე, რომლებიც ხშირად ათასობით კილომეტრითაა დაშორებული ერთმანეთისაგან. ამ მიზნით სარაჯიშვილმა შექმნა მთელი სტრუქტურა: საწყობების, მაღაზიების, სავაჭრო წარმომადგენლობების, სავაჭრო აგენტების, რომლებიც ადგილზე სწავლობდნენ ყოველგვარ მოთხოვნილებას, ახდენდნენ ხელშეკრულებების დადებას, საქონლის მიღებას ქარხნებიდან და მის რეალიზაციას. მის მიერ დიდ ქალაქებში გახსნილი სავაჭრო წარმომადგენლობები სწავლობდნენ მოთხოვნილებას რეგიონში, უზრუნველყოფდნენ სავაჭრო ქსელის უწყვეტ მომარაგებას და ტელეგრამით ინფორმაციის გადაცემას ცენტრალური ოფისისათვის. ამ ინფორმაციის საფუძველზე სარაჯიშვილი ოპერატიულად ახდენდა პროდუქციის გადანაწილებას.

დ. სარაჯიშვილს გახსნილი ჰქონდა მაღაზიები პეტერბურგში, რიგაში, ნოვგოროდში, მოსკოვში, ვარშავაში, ხარკოვში, კალარაშში, როსტოვში, ყიზლარში, პეტროვსკში, ვლადიკავკაზში, ერევანში, ბაქოში, თბილისში რამდენიმე ადგილას.

ამას გარდა, მას სასმელები გაჰქონდა მთელი ევროპის ბიზნეს-ცენტრებში: ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ვენაში, ჟენევაში, კონსტანტინეპოლში.

დავით სარაჯიშვილის ყველა სავაჭრო წარმომადგენლობის, მაღაზიის და საწყობის თანამშრომლები წინასწარ გადიოდნენ სათანადო მომზადებას და კარგად იყვნენ ინფორმირებულნი.

ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ დავით სარაჯიშვილის პროდუქციის გასაღება უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. იმ დროს მსოფლიოს ბევრ სერიოზულ კომპანიას არ გააჩნდა საკუთარი პროდუქციის ასეთი განვითარებული, გეოგრაფიულად და ფიზიკურად დიდი მასშტაბების სადისტრიბუციო ქსელი, როგორიც შექმნა დავით სარაჯიშვილმა. მან იმდენად გონივრულად მოაწყო წარმოება და დისტრიბუცია, რომ შეძლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და გაიაფებაც. ამ ქსელის, მოქნილი ფასების მეშვეობით, პროდუქციის მრავალფეროვნებითა და უმაღლესი ხარისხით დავით სარაჯიშვილის პროდუქციამ ნელ-ნელა გამოდევნა ფრანგული კონიაკები რუსეთის იმპერიის ბაზრიდან. მისი პროდუქციის რეალიზაციის მასშტაბები და ახალი ბაზრების ათვისების არეალი სწრაფად იზრდებოდა. 1904 წლის მონაცემებით საქართველოდან გატანილი მთელი სპირტიანი პროდუქციის 74%-ის ექსპორტი მხოლოდ დავით სარაჯიშვილის ფირმაზე მოდიოდა. იგი იყო არა მარტო დიდი ბიზნესმენი, რომელმაც შექმნა საოცარი დონის და არომატის კონიაკები, რასაც შემოქმედის ხელი სჭირდებოდა, არამედ თავად ფლობდა კონიაკის რაფინირებულ ხელოვნებას. იგი იყო ასევე არაჩვეულებრივი ორგანიზატორი, რომელმაც საქართველოსა და რუსეთის უკიდეგანო იმპერიაში შექმნა მანამდე არარსებული მრეწველობის დარგი განვითარებული სტრუქტურით.

საინტერესოა, როგორ ახდენდა დავით სარაჯიშვილი თავისი პროდუქციის წარმოჩენას (პრომოუშენს), რომე-

ლიც შედგება რეკლამის, პიარის (PR) – საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებების და ვაჭრობის სტიმულირებისაგან.

ამ კომპონენტებიდან რეკლამა მაშინ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო დანარჩენ ორზე, მათ შორის (PR) პიარზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მეწარმეებს.

დავით სარაჯიშვილის ალღო თავისი ფირმის და პროდუქციის წარმოჩენაში გამოჩნდა მაშინ, როდესაც მან თავიდანვე შემოიღო ფირმის სავაჭრო ნიშანი – კლდის ქარაფზე გადმომდგარი ჯიხვი, რომელიც ჰქონდა ყველა საწარმოს, მაღაზიას, ვიტრინას. მისი საწარმოების ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმების უცილობელი ატრიბუტიკაც ეს ჯიხვი იყო. ამ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების თვალში მისი ფირმის ცნობადობის ამაღლების და იმიჯის ჩამოყალიბებაში.

დღეს ეს რეკლამის ანაბანაა, მაგრამ მაშინ, XIX საუკუნის 80-იან წლებში, მთელს მსოფლიოში ჯერ არ იყო დამკვიდრებული სავაჭრო ნიშანი (ემბლემა), როგორც ფირმის განმსახვავებელი ატრიბუტი. საწარმოებს მხოლოდ მათი მეპატრონის გვარი ეწერათ და არ ესმოდათ საფირმო ნიშნისა და ლოგოს მნიშვნელობა.

სარაჯიშვილის ბეჭედზე, ბლანკზე და წერილების კონვერტებზე დატანილი იყო მისი საფირმო ატრიბუტიკა და გამოირჩეოდა დახვეწილი გაფორმებით. პირველ რიგში, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ბოთლის ფორმას და ეტიკეტებს. ამასთან დავით სარაჯიშვილმა კარგად იცოდა რეკლამის ფასი და დანიშნულება, რაც ევროპაში ყოფნისას კარგად გააცნობიერა. მიუხედავად იმისა, რომ მის პროდუქციას საქართველოში კონკურენტი არ ჰყავდა, პრო-

დუქციის რეკლამისათვის იგი ქმნიდა მხატვრულ სარეკ-
ლამო პლაკატებს. მან მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა
1895 წელს, კონიაკის ბოთლზე გამოსახა იმდროინდელ სა-
ქართველოში ცნობილი დიდგვაროვანი, ულამაზესი მანდი-
ლოსანი **მაია ბაგრატიონ-დავითაშვილის** ფერწერული გა-
მოსახულება, რაც მნიშვნელოვანი სიახლე იყო იმდროინ-
დელ რეკლამაში.

ცნობილი პიროვნებების (Selebrity) რეკლამაზე გამო-
ჩენა XX საუკუნის დასაწყისიდან აღინიშნება. მაგ.: აშშ-ის
ყველაზე რეკლამირებული პროდუქტის „კოკა-კოლა"-ს
რეკლამაზე ცნობილი მსახიობი ქალი **ჰილდა კლარკი** 1904
წელს გამოჩნდა: (ე.ი. 9 წლის შემდეგ, რაც ეს გააკეთა და-
ვით სარაჯიშვილმა). ამ მხრივაც დავით სარაჯიშვილმა გა-
დაუსწრო დასავლურ ფირმებს და ნოვატორის სახელიც
დაიმკვიდრა. გარდა ამისა, მისი ეს სარეკლამო პლაკატი,
განსხვავებით „კოკა-კოლა"-ს რეკლამისაგან, გაცილებით
მაღალმხატვრულ დონეზე იყო შესრულებული. ასევე
უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე იყო შესრულებული მი-
სი სარეკლამო პოსტერიც.

დავით სარაჯიშვილის პროდუქცია აქტიურად მონაწი-
ლეობდა მაშინდელ გამოფენებზე, საერთაშორისო ბაზრო-
ბებსა და კონკურსებზე.

დავით სარაჯიშვილის სიცოცხლეში შექმნილი კონია-
კის პირველი ნიმუშებიც თამამად უტოლდებოდა ევროპა-
ში წარმოებულ საუკეთესო კონიაკებს. 1889-1913 წლებში
მის მიერ გამოშვებულმა კონიაკებმა, ლიქიორმა და სპირ-
ტიანმა სასმელებმა სულ 14 ჯილდო მოიპოვეს, რომელთა-
გან 9 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი იყო.

XXI საუკუნეში კომპანიებისათვის უდიდესი მნიშვნე-
ლობა ენიჭება პიარის (PR) ანუ საზოგადოებასთან ურთი-
ერთობის ელემენტებს და ღონისძიებებს. სარაჯიშვილის

დროს ეს ცნება ფაქტიურად არ არსებობდა. დავით სარაჯიშვილი, თავისი პიროვნული თვისებების გამო, თავად იყო მეწარმეც და პიარ-მენეჯერიც. მის გარშემო შემოკრებილნი იყვნენ საქართველოს ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც პირდაპირ აღმერთებდნენ დავით სარაჯიშვილს და უშუალო, პირდაპირი, ზეპირი რეკლამის მეშვეობით, კიდევ უფრო შორს გაჰქონდათ პირადად მისი და მისი ფირმისა და პროდუქციის სახელი. იგი შეუბღალავი რეპუტაციით სარგებლობდა როგორც ჩვენში, ასევე – საზღვარგარეთ. მასზე ბევრს წერდა ქართული და რუსული პრესა.

მისმა ყოფილმა პედაგოგმა, გერმანელმა პროფესორმა **ვაგნერმა** თავისი ერთ-ერთი წიგნი მიუძღვნა ნიჭიერ მოწაფეს დავით სარაჯიშვილს.

ამასთან დავით სარაჯიშვილმა საკუთარი ცხოვრებით და გარდაცვალებითაც დაუმტკიცა ყველას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნის ცხოვრებაში, როგორიც საქართველოა, არა მარტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას, არამედ სიკეთის თესვას და მოყვასზე ზრუნვას.

დავით სარაჯიშვილი უდიდეს ფინანსებს ახმარდა ქველმოქმედებას, მაგრამ საბოლოო ჯამში გაჭირვებულთათვის და ქვეყნისათვის გაღებული თანხები ხელს უწყობდა მისი პიროვნების და მთლიანად ფირმის პრესტიჟის ამაღლებას საზოგადოების თვალში. დღეს ცნობილი ფირმები ამ მიზნით მილიარდებს ხარჯავენ სტიმულირებისა და წარმოჩენის სხვადასხვა აქციაზე, რასაც პიარი ეწოდება.

თავად დავით სარაჯიშვლი პიროვნულად ისეთი ადამიანი იყო, რომლის თითოეული ნაბიჯი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო და ყოველივე მისი ქველმოქმედე-

ბა ისევ მისი და მისი ფირმის საკეთილდღეოდ ბრუნდებოდა.

დავით სარაჯიშვილი მეგობრობდა ილიასთან და აკაკისთან, ეხმარებოდა მათ ფინანსურად ყველა ეროვნული მნიშვნელობის პროექტის განხორციელებაში.

დავით სარაჯიშვილმა დააარსა სპეციალური კომიტეტი, რომელიც ავლენდა ნიჭიერ ახალგაზრდობას და ფინანსურად ეხმარებოდა მათ რუსეთსა თუ უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად. მისი სტიპენდიანტები იყვნენ: კომპოზიტორები **ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი; მხატვრები: მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხი; მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი; პროფესორები: ფილიპე გოგიჩაიშვილი, სოლომონ ჩოლოყაშვილი,** საქართველოს მომავალი პატრიარქი **კირიონ მეორე** და სხვ.

იგი დიდად ზრუნავდა თავისი მუშების სწავლა-განვითარებაზე – წერა-კითხვის მცოდნე მუშებს ხელფასს უმატებდა, გახსნა სამკითხველოები და საკვირაო სკოლები მათთვის, მას გამოარჩევდა მუშებისადმი ჰუმანური მოპყრობა, დაუწესა მათ 8 საათიანი სამუშაო დღე, აძლევდა მათ 14-დღიან შვებულებას, აზღვევდა მათ სიცოცხლეს და ამაში სერიოზულ თანხებს იხდიდა, დიდ დღესასწაულებზე მუშებს სამ ბოთლ კონიაკს ჩუქნიდა.

სიკვდილის შემდეგ მან მთელი ქონება ანდერძით დაუტოვა ქართველ ხალხს, მათ შორის 250 ათასი მანეთი მუშებს და მომსახურე პერსონალს. 300 ათასი მანეთი მან დაუტოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. თითქმის მთლიანად მისი თანხებით აშენდა თბილისის უნივერსიტეტის მომავალი შენობა (I კორპუსი), ქაშუეთის ეკლესია, ეხმარებოდა თეატრებს,

გაზეთებს, საისტორიო საზოგადოებას, შემოქმედებს და ა.შ.

ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დავით სარაჯიშვილი ნამდვილად იყო ნოვატორი და შემოქმედი, იმდროინდელი ევროპის ბიზნეს-ელიტის ღირსეული წევრი და ქველმოქმედი.

კითხვები:

1. რა სიახლეები დაამკვიდრა დავით სარაჯიშვილმა ქართულ და მსოფლიო ბიზნესში?
2. როგორი იყო მისი ბიზნესის ფილოსოფია?
3. რით დაიმსახურა მან ქართველი ერის დიდი პატივისცემა და სიყვარული?

§12 ნოე ჟორდანიას და ეროვნული მთავრობის ევროპეიზაციის კონცეფცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი პოლიტიკოსებიდან **ნოე ჟორდანია (1868-1953)** ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც განათლება ევროპაში მიიღო და საბოლოოდ ემიგრაციაში ყოფნა სიკვდილამდე მოუწია დამოუკიდებელი საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსიის გამო. იგი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ევროპული სოციალ-დემოკრატიული იდეები შემოიტანა საქართველოში. ფაქტიურად იგია პირველი ქართული პოლიტიკური პარტიის შემქნელი და თეორეტიკოსი. თავის მოხსენებაში („რა ვაკეთოთ", შემდეგ დაიბეჭდა სხვა სათაურით „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება") რომელიც შეიძლება ჩაითვალოს პირველ ქართულ პოლიტიკურ პროგრამად, მან სამი ფუნდამენტური საკითხი წამოსწია წინ (1893):

1. **„ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა;**
2. **თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა,** როგორც ხელშემწყობი პირობა უმთავრესი მიზნის მისაღწევად და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა: აქედან:
3. **ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი,** კაცური ღირსებანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნას ეკონომიკურ ნიადაგზე".

ეს იყო იმ დროისათვის ძალზე პროგრესული და აქტუალური მოთხოვნა და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსათვის: თანამედროვეობის სამი

უმთავრესი იდეალი – ერისა და პიროვნების თავისუფლება და ადამიანის უფლებები – ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს აქცია პირველი ქართული პოლიტიკური ჯგუფის (მესამე დასი) მოქმედების ქვაკუთხედად და ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი – უცხო ქვეყნის კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლების იდეა, რომელიც აშშ-ის დამოუკიდებლობის აქტშია (1776 წლის 4 ივლისი) აღიარებული და ადამიანის, პიროვნების თავისუფლების იდეა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამ დიდ საკაცობრიო ღირებულებად აქცია (1789 წლის 14 ივლისი) ერთმანეთთან დააკავშირა და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონედ აქცია. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის უფლებებზეც, რომლის სრულყოფა 1948 წელს დაიწყო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით" და დღემდე გრძელდება. ამ ყველაფერთან ერთად ნოე ჟორდანიამ ერისა და პიროვნების თავისუფლებანი პიროვნების ნივთიერი ანუ სოციალური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს იდეასთან დააკავშირა (რაც დღეს ყველა ცივილიზებული ქვეყნის და მთავრობის უმთავრესი საზრუნავი და სამოქმედო გეგმაა. ამით ნოე ჟორდანიამ გადალახა არა მარტო მარქსიზმის კლასობრივი ბრძოლის საზღვრები, არამედ გააფართოვა დემოკრატიის ცნების საზღვარიც.

შემდგომ პერიოდში (1893-1898), ევროპაში ყოფნის დროს, ნოე ჟორდანიამ კიდევ უფრო დახვეწა მის მიერ შედგენილი პროგრამა, **წამოაყენა გაევროპელების იდეა** და ახალი სამოქმედო პროგრამა საქართველოსათვის: „ჩვენ ქართველებს, – წერდა იგი, – რომლებმაც ერთი ევროპული ხანა – ფეოდალური, უკვე გამოვიარეთ, ევროპა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის

არის სისხლი სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი – ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენითვე ვევროპელდებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენითვე უნდა ვიცხოვროთ (შენიშვნა: ვერც ერთი ხალხი ვერ ევროპელდება გონებით, პოლიტიკურად, თუ ის ვერ ევროპელდება ცხოვრებით, ეკონომიკურად). **ქართველობამ თვითონვე უნდა განავითაროს ძალა, აღიძრას ენერგია, გაანაყოფიეროს შრომა. თვითმოქმედება, თვითმოძრაობა, თვითაზროვნება – აი, რა უნდა ეწეროს მის დროშაზე.** ყველა ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძაობას გვიწევს, ასპარეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს – აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავლის ორმოს ამომთხრელია".

ამ დასკვნაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნოე ჟორდანიას გაევროპელება (კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით) შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე, ქართული ცხოვრების წესზე დაყრდნობით და არა ყოველივე ევროპულის ბრმად და ხელოვნურად გადმონერგვის გზით: **„გაევროპელება წარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპელობა – აი, რა წერია ახალ დროშაზე"**. ეს ეხებოდა მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიის ევროპულ იდეასაც, რომელიც ნოე ჟორდანიამ და მისმა მიმდევრებმა ეროვნულ ნიადგაზე დაამყნეს, თუმცა ცალკეული შეცდომები თავიდან ვერ აიცილეს.

ზემოდასახელებულ ნაშრომში ნოე ჟორდანია ერთმანეთს უდარებს სომხურ და ევროპულ კაპიტალს საქართველოში და ასეთ დასკვნას აკეთებს: „სომხები წარმოადგენენ მევახშე, საჩარჩო კაპიტალს. ფული ფულს იგებს არა წარ-

მოებით, საქმეში დაბანდებით, არამედ ვექსილის ქალალ-
დით, „ნეუსტროიკით", მოტყუებით, კანონიერი უკანონობით,
ამისათვის მათი მოქმედება კონსერვატიულია. ევროპელნი
კი მრეწველობას მისდევენ, ვაჭრობაში პატიოსნება შე-
აქვთ, ქვეყანა ევროპულ გზაზე გამოყავთ და მით პროგრე-
სულ როლს თამაშობენ".

ამრიგად, ნოე ჟორდანიასათვის პოლიტიკური მოღვა-
წეობის დასაწყისიდან სამაგალითო იყო პოლიტიკური,
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესის
ის გზა, რომელიც გაიარა ევროპამ და არა რუსეთმა. მისი
თეზისები და პროგრამაც სოციალიზირებულია ევროპული
სოციალ-დემოკრატიის ყაიდაზე და არ ქადაგებს ძალმომ-
რეობას, დიდ სოციალურ კონფლიქტებს, რითაც ნოე ჟორ-
დანია მკვეთრად გაემიჯნა რუსულ მარქსიზმს.

დავით სარაჯიშვილის მაგალითზე, რომელსაც ნოე
ჟორდანია თვლიდა პირველ ქართველ ევროპული ტიპის
მრეწველად, **მან წამოაყენა ქართველთა გაევროპელების
თავისებური ფორმულა (საქები ევროპელობა + საქები ქარ-
თველობა)**: „როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევრო-
პულ მუშაობას, ევროპულ საქმიანობას და თან ნაციონა-
ლურ ხასიათს არ დავკარგავთ – ჩვენი გაევროპელება ფაქ-
ტი იქნება".

ევროპაში იძულებით ემიგრაციასა და მრავალი წლის
განმავლობაში იქ ცხოვრების დროს ნოე ჟორდანია კიდევ
უფრო ცხადად დარწმუნდა, რომ **„ევროპის გზა მსოფლიო
გზაა, ახლა ისტორიას სხვა გზა არ გამოუგონია და თავის-
თავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა"**. ევროპულ გზა-
ზე ქართველთა დაგვიანებით შედგომა, ჟორდანიას აზრით,
ჩვენთვის შეიძლება დიდად სასარგებლო გამოდგეს, თუ მას

სწორი შეხედულებით მივუდგებით და ევროპელთა შეცდომებს ამ გზაზე არ გავიმეორებთ: „რაკი ჩავდექით ევროპის ფერხულში, ვიცით რას ვაკეთებთ, საითკენ მივემართებით, მაგალითი გადაშლილია. ჩვენი მოვალეობაა, წმინდა მოვალეობაა მხოლოდ ერთი: ვიყოთ თვალხილული, გავარჩიოთ ავი და კარგი, მივიღოთ მისაღები და უარვყოთ უარსაყოფი. **უეჭველად მისაღებია ევროპის შრომის საშუალებანი, მისი ტექნიკა, მისი მეცნიერება, მისი ნივთიერი და სულიერი კულტურა. არაა მისაღები მთელი ამ განძის ცალმხრივი, ეგოისტური ხელმძღვანელობა, მისი კერძო ინტერესების იარაღად გადაქცევა, ერთი ჯგუფის ხელში დატოვება და მის გასამდიდრებლად და ხალხის გასაძარცვავად გამოყენება... ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროპიელი, მაგრამ არა ერთიმეორის მტერი და მჩაგვრელი, არა დაბრმავებული და უტიფარი“.**

ამავე დიალექტიკით უდგება ნოე ჟორდანია გენდერულ საკითხს ევროპასა და საქართველოში, რასაც იგი გადმოსცემს თავის წიგნში **„წიგნი ოჯახში საკითხავი“** (პარიზი, 1936).

ჟორდანიას აზრით, ფეოდალურ ხანას ამ საკითხში ერთი დიდი დამსახურება მიუძღვის: მან რაინდული წესებით ასწია ქალის მნიშვნელობა, შექმნა მისი კულტი – შეხედულება, რაც წინათ კაცობრიობას არ ჰქონებია: ქალის პატივისცემა, მის წინაშე ფეხზე დგომა, მის ხელზე მთხვევა, მისთვის მოწიწებით მოპყრობა და მისთვის სამსახურის გაწევა მოდიოდა შუა საუკუნეებიდან. XIX საუკუნის ბოლოდან ეს მკვეთრად შეიცვალა და სქესთა თანასწორობის (ემანსიპაციის) ლოზუნგით რეალურად ქალს პატივისცემა მოაკლდა: „ამ ბოლო წლებში, – წერს იგი, – სამრეწველო

ცივილიზაციის ნიადაგზე ოჯახის გამოკვებისა და თავის რჩენის საქმეში ჩაება ქალიც. ისიც იძულებული გახდა მამაკაცივით იმუშაოს ფაბრიკა-ქარხნებში და იმსახუროს. ე.ი. მის ერთ ბუნებრივ მოვალეობას დაემატა მეორე, რომელიც ებრძვის პირველს. მისი მდგომარეობა, მაშასადამე, გაუარესდა და ამით დაზარალდა მთელი საზოგადოება.

ამით ქალმა ვერ მოიპოვა ვერც უპირატესობა, ვერც პატივისცემა, ვერც თანასწორობა. ძველად, როცა ქალი ჩაბმული არ იყო საკვების მოპოვების საქმეში, გაცილებით მეტი პატივისცემა ჰქონდა და დაფასება, ვიდრე ახლა, მისი „ემანსიპაციის" ხანაში... საზოგადოებას დღეს გაცილებით უფრო აინტერესებს საღი შინაური პირუტყვი, ვიდრე – საღი თაობა. გამოიგონეს სპორტი და გიმნასტიკა, ვითომ ეს იძლეოდეს საღ ახალგაზრობას. ეს უბრალო თავის შექცევაა, დაფარვა ნამდვილი წამლის. **საღ თაობას იძლევა მხოლოდ საღი დედა, ჩაყენებული მისი ბუნების შესაფერის პირობებში. დედა აფორიაქებული გაჭირვებით, მძებნელი სამუშაოსი, გამოგდებული ქუჩაზე ალალბედზე, მოუსვენარი, უმწეო, მუდმივ შიშში ლუკმაპურისათვის – რა იქნება მისი შვილი, თუ არა სულიერად მახინჯი, ფიზიკურად სუსტი".**

ნოე ჟორდანია აქვე მიუთითებს იმასაც, რომ „ყველა ერებს შორის, რომელთაც კი ვიცნობ, ქალი ნაკლებ დამონებულია, მეტად პატივცემულია ქართველებში. ყველგან ის ეწევა მძიმე ფიზიკურ მუშაობასაც მამაკაცის გვერდით, ჩვენში კი ქალი მხოლოდ საოჯახო საქმეებს ხედავს (თუმცა, ჩვენში ბოლო ოცწლეულში მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა – ვ. შ.).

ნოე ჟორდანია აღნიშნავს, რომ ქართველი ქალი ულამაზესი ქალია, მაგრამ ამ რასის დაცვა მოხდა დედის დაცვით. ჩვენში თავიდანვე ქალს ჰქონდა უპირატესობა კაცის წინაშე. თვით ქართული ენა ამოწმებს ამ თვისებას, როცა ორივე სქესია დახასიათებულია, პირველად სახელდება უეჭველად ქალი. იტყვიან: ქალ-ვაჟი, დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და-ძმა – არასოდეს პირუკულმა. ყველა სხვა ხალხებში ეს პირიქითაა. ქალი ჩვენთან მუდამ იყო ოჯახის გამგე, მას ეკითხებოდა მთელი შინაური დაწყობილება, ბავშვების მოვლა-პატრონობა, თავისუფალი იყო ფიზიკური შრომისაგან. პირველს ქალს ადღეგრძელებდნენ წვეულებაში – რა დიდი პიროვნებაც უნდა ყოფილიყო წვეულ მამაკაცებს შორის.

საფრანგეთის ყველა კუთხე დავლილი მაქვს და მხოლოდ ერთხელ შევხვდი გლეხის ქალს თვალტანადს, ხოლო მისი მსგავსი ჩვენში ყოველ ფეხის ნაბიჯზეა".

ნოე ჟორდანიას აზრით, „ქალთა გენდერული თანასწორობა თავის მოტყუებაა. არავითარი იურიდიული ნორმით მისი გადაწყვეტა არ შეიძლება. არ შეიძლება ქალის და კაცის გათანასწორება. მიეცით ქალს ყველა უფლება – აქედან მისი ძირითადი მდგომარეობა არ შეიცვლება. არ შეიცვლება ის, რომ იგი, პირველ ყოვლისა, დედაა და მას მორჩილებს მთელი მისი ცხოვრება. მრავალ ქვეყანაში სქესთა სრული თანასწორობაა. მერმე რამდენი პოლიტიკური მოღვაწე გამოჩნდა ქალებიდან? რამდენი გამოჩენილი მეცნიერი გამოვიდა ქალებიდან? ვინ უშლის ხელს? უშლის ის, რომ **ქალს უფრო დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი, ვინემ პოლიტიკა და მეცნიერებაა, ის აჩენს და უვლის სიცოცხლეს, ე.ი. იმ საფუძველს, რასაც პოლიტიკა და**

მეცნიერება უნდა ემსახუროს. აი, ეს უბრალო ამბავი ვერ გაიგო მამაკაცმა დღემდე. მას თავი მოაქვს თავისი პოლიტიკით, მეცნიერებით, მხედრობით და ვერ ამჩნევს მის გვერდით თუ რა დიდი, უდიდესი საქმე კეთდება და რის შედეგიც თვითონაა".

ნოე ჟორდანიას გონივრული მოსაზრებით, ქალის პატივი მომდინარეობს შვილის პატივისაგან, ე.ი. იქ, სადაც შვილის და კარგი შვილის ყოლას დიდად აფასებენ, მას ნატრულობენ, მას შეტრფიან – იქ ქალი პატივშია, იქ მისი ავტორიტეტი დიდია. ახლა ლამაზ ქალს ეძებენ არა ლამაზი შვილისათვის, არამედ სიამოვნებისათვის. პატარა ერისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. **ასეთი გაევროპელება ქართველ ერს დიდ საშიშროებას უქადის:** ჩვენთან ქალს პატივს სცემდნენ არა მარტო მამაკაცები. მთავარია ის, რომ ის თავის თავს სცემდა პატივს – მას თავი ამაყად ეჭირა, ახირებულად ვერავინ შებედავდა. მან თავისი ფასი და ღირებულება იცოდა, თავმომწონეობა არ აკლდა. მაგრამ ამავე დროს არ იყო ეგოისტი, თავმოყვარეობით შეპყრობილი. ის ითხოვდა პატივისცემას როგორც ქალი, დედა, შთამომავლობის სათავე".

ჟორდანიას აზრით, ქალის მუშაობა ყანაში და ფაბრიკაში სავსებით ანტიბუნებრივია, არღვევს გამრავლებისა და შენახვის საფუძველს. ასეთ ევროპულ ემანსიპაციას ნოე ჟორდანია ქალის ახლებურად დამონებას და უკან გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს, ხოლო ქალის უფლების ნამდვილად დაცვად მიიჩნევს ოჯახის დაცვას, მისი მთავარი ასპარეზის შენახვას.

ნოე ჟორდანია წერს, რომ „ოჯახური წყობა სხვადასხვა საფუძველზე სხვადასხვა სახის და ძალისაა. ქართველებში

ის გაცილებით ძლიერია, ვიდრე საფრანგეთში (და ევროპელებში). ჩვენ კიდევ არ გამოვსულვართ გვარის რკალიდან, საერთო შთამომავლობის ურთიერთობისაგან. ეს ამაგრებდა და ამაგრებს დღეს ჩვენს ერს მიუხედავად მასზე მოწოლილი მუდმივი დამარღვეველი ელემენტებისა, მასზე გრიგალივით გადაივლიდა მრავალნაირი ურდოები, წალეკავდა ყოველივეს, მაგრამ ვერ წალეკავდა ძირითად ასოციაციას – ოჯახს და გვარს და ესენი ერთიმეორეს დახმარებით ისევ ფეხზე დგებოდნენ – ერი არ კვდებოდა".

ნოე ჟორდანია ასევე მწვავედ აკრიტიკებს ევროპაში (და მსოფლიოში) დამკვიდრებულ ქალ-ვაჟის ერთად ცხოვრებას მათ ოფიციალურ ქორწინებამდე. თუ შეეწყვნენ ზნეხასიათით, შემდეგ ჯვარს იწერენ. მისი აზრით, ეს არის ყველაზე უარესი გამოსავალი, ვინაიდან შეუღლების მთავარი მიზანი და სახეობა წინდაწინვე უარყოფილია: აქ არც ოჯახია, არც შვილები, ის უფრო წააგავს პროსტიტუციას; **ასევე ნათესაური ქორწინებანი (რასაც დღეს სერიალებით გვაჩეჩებენ – ვ. შ.), ხელ უწყობს ხალხის, ერის გადაგვარებას"** – დაასკვნის იგი. ჟორდანიას აზრით, არასოდეს ქალი ისე ჩქარა არ ბერდებოდა, როგორც ახლა. ის ხაზს უსვამს იმას, რომ ქალი იძულებული არ უნდა იყოს ლუკმა-პური ეძიოს. მისი აზრით, „განათლებულ" ქვეყნებში თანდათან იკარგება ბუნებრიობა, ბუნების კანონებისადმი ერთგულება, საღი გონების ბატონობა და ფეხს იკიდებს ხელოვნური კომბინაციები, გამოგონილი არაბუნებრივი შეხედულებები, მოდები, დიეტები და ფანტასტიკური კომბინაციები: წამოყენებულია, პირველ რიგში, პირადი „მე", მისი სიამოვნება და დროსტარება. ყველა სხვა მხარე ცხოვრებისა უკანაა დაყენებული, ამათ შორის მოვალეობა ოჯახის,

შთამომავლობის მიმართ. საზოგადოდ, ყველა უფლებას ეძებს, მოვალეობას კი – უკუაგდებს. **ჩვენს პატრიარქ ქართველ ერს არ მართებს აყვეს ავში ამ ხალხებს, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც ისტორიის ასპარეზზე გამოჩდნენ და მოქროლავენ ცის ქვეშ, საითკენ – თვითონაც არ იციან“.**

ნოე ჟორდანიას დასკვნით, საქართველო ევროპაში უნდა შევიდეს არა რუსეთთან ერთად, არამედ როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა. მისი აზრით, რუსეთმა ორჯერ აქცია ზურგი ევროპას (პეტრე I-სა შემდგომ და ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის დღიდან), **„საქართველო კი მუდამ ევროპისაკენ ისწრაფოდა... საქართველო თავისი ისტორიული, სოციალური ძირითადი შენობით ნაჭერია ევროპის, დასავლეთის კულტურის და მისი შუა გზაზე ძალით, უცხო ხიშტებით გაჩერება, მისთვის არაევროპული ურთიერთობის (რუსული ბოლშევიზმი – ვ. შ.) თავზე მოხვევა იქნება ხალხის სიკვდილი, ერის გადაშენება.** რუსეთს არ მოელის ასეთი გადაშენება, ვინაიდან ის თავის ისტორიულ საფუძველზე დგას – აზიელობა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გათავდეს ევროპიელობით, ეს ბუნებრივი მსვლელობაა. **მაგრამ ევროპული ერის – საქართველოს გააზიელება ძალმომრეობით – ეს სრული არევაა ბუნებრივი მსვლელობის, ეს სასიკვდილო ნასტომია. ჩვენი მომავლის რუსეთის მომავალთან გადაბმა ნიშნავს ჩვენს სავსებით განადგურებას არა მარტო პოლიტიკურად და ნაციონალურად, არამედ ფიზიკურადაც...** ბოლშევიზმის ხიდან დემოკრატიზმი ვერ ჩამოვარდება. ეს შორეული ეტაპია. ამიტომაც გვინდა, რომ საქართველო ჩამოშორდეს დროულად ამ რუსულ ექსპერიმენტებს, აღადგინოს თავისი

სუვერენობა და წინ გასწიოს საკუთარი გზით ქართველი ერი უნდა შევიდეს საბოლოოდ ევროპის ოჯახში".

საბჭოთა რუსეთის მიერ ძალით დაპყრობილი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დამფუძნებელი კრების დადგენილებით მიდის ემიგრაციაში არა ირან-თურქეთში, სადაც მიდიოდნენ ადრე ჩვენი იძულებით გაქცეული ხელისუფალნი, არამედ ევროპაში. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მათ უარყვეს რუსული მარქსიზმის ყველა ძირითადი დებულება, პრაქტიკული საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს ევროპულ ორიენტაციას და ევროპული ფასეულობების დამკვიდრებას, თანამედროვე ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ იდეებსა და მიმართულებას.

ემიგრაციაში (საფრანგეთში) ყოფნის დროს ნოე ჟორდანიამ თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის დაუღალავმა მებრძოლმა. მისმა სოვეტოლოგიურმა და პოლიტოლოგიურმა ნაშრომებმა, ანალიზმა და დასკვნებმა დიდი აღიარება მოიპოვა ევროპაში. მან ჯერ კიდევ 1920-იანი წლების შუახანებში თითქმის წინასწარმეტყველურად, ზუსტად დაასაბუთა საბჭოთა და კომუნისტური სისტემის კრახის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური მიზეზები და წანამძღვრები, რაც 30 წლის შემდეგ გააკეთეს პაიპსმა და ბჟეზინსკიმ (აშშ).

ნოე ჟორდანიამ ასევე თავისებურად დაასაბუთა თანამედროვე გლობალური ერის დადგომის აუცილებლობა, როცა დაწერა, რომ **„კაცობრიობა საშინელი სისწრაფით მიისწრაფვის ერთობისკენ. ის შემოზღუდულია ერთი გალავნით, რომლის საფუძველი ღრმად არის ჩაფლული და**

ფესვებგადმგმული ნივთიერ ურთიერთობაში“. ყოველივე ამას დღეს გლობალიზაციას ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვები:

1. რა იდეალები წამოსწია თავის პირველ საპროგრამო დოკუმენტში ნოე ჟორდანიამ?
2. როგორია საქართველოს გაევროპელების ჟორდანიასეული ფორმულა?
3. როგორია ჟორდანიას მოსაზრებები ქართულ-ევროპული გენდერული პარალელების შესახებ?
4. როგორ უნდა შევიდეს საქართველო ევროპაში ჟორდანიას თვალსაზრისით?

§13 ევროინტეგრაციასა და ევროპოლოგიაში შეტანილი ქართული წვლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ევროინტეგრაციის იდეის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში (II მსოფლიო ომის შემდეგ) ცნობილ ევროპელ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა შორის საპატიო ადგილი უკავია ორ ქართველ ემიგრანტ-მკვლევარს, პროფესორებს **მიხეილ მუსხელიშვილსა** (1903-1964) და **ალექსანდრე ნიკურაძეს** (1901-1981).

პროფესორმა **ილია ტაბაღუამ** მიხეილ მუსხელიშვილს (ევროპაში მას იცნობდნენ როგორც **მიხეილ მუსხელს**) „ერთიანი ევროპის" სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი უწოდა. მიხეილი დაიბადა 1903 წელს თბილისში, ცნობილი თვალის ექიმის ვახტანგ მუსხელიშვილის ოჯახში. მიხეილმა და მისმა სამმა ძმამ (ლევანი, გიორგი, სოლომონი) თბილისში დაამთავრეს ლევანდოვსკის გიმნაზია და ოთხივემ საზღვარგარეთ მიიღო უმაღლესი განათლება.

1932-1933 წლებში იგი უკვე ლექციებს კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოკვლევათა უმაღლეს ინსტიტუტში. 1935-1948 წლებში მიხეილი მუშაობდა ქაიროს სამართლის ფრანგული სკოლისა და ქაიროს უნივერსიტეტის პროფესორად. ამის შემდეგ იგი კვლავ ბრუნდება საფრანგეთში, ქ. სტრასბურგში და 1948-1964 წლებში, სიცოცხლის ბოლომდე იყო სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წამყვანი პროფესორი.

მიხეილ მუსხელიშვილი ევროპაში ეწეოდა ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1948 წელს იგი გახდა საუნივერსიტეტთაშორისო ფედერაციის პრეზი-

დენტ-დამაარსებელი, ხოლო 1954 წლიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი.

ევროპის ამჟამინდელ პოლიტიკურ ცენტრში – სტრასბურგში მიხეილმა შექმნა ძალიან ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულება **„მუსხელის ცენტრი“**, რომელიც იკვლევდა ევროინტეგრაციის საკითხებს, სწავლობდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებს საერთაშორისო სამართლის კუთხით. ამ ცენტრში მან დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები **ჟორჟ კედელი, რობბერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი** და სხვები. პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა გარდაცვალებამდე მოასწრო ამ ცენტრის კრებულის 2 დიდი ტომის მომზადება და გამოცემა, რომლებსაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა. ორივე ტომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საერთაშორისო იურიდიულ მეცნიერებათა სამყაროში, ასევე პრესაში („ფიგარო“, 2.03.1965). მიხეილ მუსხელიშვილის სტატიები იბეჭდებოდა ცნობილ ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. მისი სტატიები ქვეყნდებოდა ასევე პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (მაგ.: „საქართველო და ევროპა“, №15, 1953, გვ. 1-3; „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“, №18, 1954, გვ. 15-16 (საინტერესოა, რომ მან ფრანგულ ჟურნალში „მონდ ნუვო“, №89-90, 1955, დაბეჭდა სტატია სათაურით „საბჭოთა კავშირი და ევროპა“, სადაც ამტკიცებს, რომ რუსეთი არ არის ევროპა).

სახელმოხვეჭილ ქართველ მეცნიერს ლექციების წასაკითხად ხშირად იწვევდნენ აშშ-ში, ნორვეგიაში, იტალია-

ში. ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ს №17-ში ვკითხულობთ, რომ მიხეილ მუსხელიშვილმა 1954 წელს მოხსენება წაიკითხა ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში: უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, რელიგიურ საზოგადოებებში. მის ლექციებს ყველგან დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ვაშინგტონში მის მოხსენებაზე მთელი დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წევრები მივიდნენ. ამერიკიდან დაბრუნებისთანავე პროფესორი მუსხელიშვილი სკანდინავიაში გაემგზავრა ოსლოსა და უპსალას უნივერსიტეტების მიწვევით, სადაც მოხსენება წაიკითხა ევროპის ცივილიზაციის კრიზისზე და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობაზე.

მიხეილ მუსხელი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ომის შემდგომი ევროპის გაერთიანების, მისი ფედერაციის იდეა წამოაყენა და დაიცვა (რომელმაც დღეისათვის ევროკავშირის სახე მიიღო). მისი აზრით, ევროპული ფედერალიზმი – ეს არის არა მარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია (იხ.: მისი ნაშრომი **„ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“**).

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპის ხალხთა კონგრესის, ერთიანი ევროპის შექმნის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და პირველი პრეზიდენტი, „ფედერალური ევროპის მოძრაობის“ კომიტეტის წევრი, ევროპის ერთიანობის საერთაშორისო ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი. იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში „ერთიანი ევროპის“ წამომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალ „ევროპის ფორმირება“ რედაქციის კომიტეტის წევრი. **1953 წლის 10**

აგვისტოს ოფიციალურად დაარსდა „ევროპული ქართული მოძრაობა“ (საპატიო თავმჯდომარე პროფესორი მიხაკო წერეთელი), რომლის სულისჩამდგმელი ასევე მიხეილ მუსხელიშვილი იყო.

მკვლევარი არ კმაყოფილდებოდა წმინდა იურიდიული მეცნიერებით და აქტიურად ჩაერთო ცოცხალ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, იყო ადამიანისა და ერის უფლებების მგზნებარე დამცველი, საქართველოს ქომაგი. ასეთი დიდი ენერგიისა და გაქანების კაცს გაგიუებით იტაცებდა ალპინისტობა, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა ბოლოს. 1964 წელს იტალიაში, აოსტას ხეობაში იგი კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა (5 წლის მერე იტალიაში იგივე ბედი ეწია ლეგენდარულ მთასვლელს, 37 წლის მიხეილ ხერგიანს). მის დაკრძალვას მთელი სტრასბურგის უნივერსიტეტი დაესწრო. სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა ა. ვიელმა, დეკანმა რაუერმა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლ მოდინმა. დიდი მეცნიერი დაკრძალულია სტრასბურგის სასაფლაოზე და დღემდე უყურადღებოდაა მიტოვებული თანამემამულეებისაგან.

სტატიაში „საქართველო და ევროპა“, 1953 წელს მიხეილ მუსხელიშვილი წერს, რომ „საჭიროა დღესვე ვიფიქროთ იმ ადგილზე, რომელსაც თავისუფალი საქართველო დაიკავებს ხვალინდელ მსოფლიოში... მეორე მსოფლიო ომმა საბოლოოდ დაასრულა ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ეპოქა (ამას მივუმატოთ დღევანდელი გლობალიზაციის მიერ შექმილი პრობლემებიც – ვ. შ.). მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ მოხდენილმა გრანდიოზულმა პროგრესმა შექმნა ისეთი ვითარება, რომელშიც

მხოლოდ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებებს შეუძლიათ არსებობა... რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შექმნის შემდეგ საქართველოს ჰყავს საშიში მეზობელი, რომლისთვისაც საქართველო ყოველთვის მაცდუნებელი ნადავლი იქნება. როგორ შეუძლია მას გარანტირებული იყოს რუსეთის იმპერიალიზმის საშიშროებისაგან? ამის შემდეგ ქართველი ხალხი იძულებული არჩევანის წინაშეა: ან იგი იძულებული იქნება რუსეთს შეუერთდეს, ან კიდევ კავშირები ეძებოს. სიმართლე რომ ვთქვა, მას არა აქვს არჩევანი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო ახლოსაა ევროპასთან და უცხოა რუსეთისათვის. შეგნებული აქვს რა ეს ფაქტი, საქართველო არასოდეს არ დათანხმდება რუსეთთან შეერთებაზე.

საქართველო, რუსეთისაგან განსხვავებით ევროპულია. ცნობილი არქეოლოგების აზრით, სწორედ აქ იწყება ევროპა. სინამდვილეში – ეს საქართველოდანაა, გვეუბნება ბატონი ვარანიაკი, – რომ დაიძრა ემიგრაციის პირველი ტალღა ევროპისაკენ. მოგვიანებით მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა საქართველოს და საბერძნეთს შორის. პომპეუსმა საქართველოში რომი შემოიყვანა და უკვე I საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა შემოიჭრა, რომელმაც III საუკუნის დასაწყისიდან მთელი საქართველო მოიცვა. ამრიგად, დასავლეთის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე საქართველო მასში მონაწილეობდა. და დღეს შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოს მზერა ყოველთვის მიმართული იყო დასავლეთისაკენ, სანამ იგი რუსეთმა არ დაიპყრო.**

იყო პერიოდი, როცა ქართველებმა შეიგნეს, რომ ისინი ევროპას მიეკუთვნებიან.

ევროპა ახლა აკეთებს ამ დასკვნას. ასევე აუცილებელია, რომ ქართველებმა დაამტკიცონ თავიანთი არსებობა ევროპაში და მიაღებინონ საქართველო ევროპულ ოჯახში... **მხოლოდ ევროპის თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა ასოციაციაში გაწევრიანების შემდეგ შესძლებს ქართველი ერი დაიცვას თავისი ინდივიდუალობა, თავისი კულტურა და თავისი ტრადიციები და თავი დააღწიოს გიგანტურ რუსულ-აზიურ იმპერიაში შთანთქმის საშიშროებას".**

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის, ქართულ-ევროპული პარალელების ძიების და „ევროპოლოგიის", როგორც სამეცნიერო ინტერ-დისციპლინარული დარგის, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ქართველმა ემიგრანტმა-მეცნიერმა, პროფესორმა **ალექსანდრე ნიკურაძემ.**

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ნიკურაძე თავის უფროს ძმასთან, ივანესთან (შემდეგში გერმანიაში მოღვაწე მსოფლიოში ცნობილი ჰიდრავლიკოსი, თეორიული მექანიკის პროფესორი) ერთად ჩაირიცხა ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მალე ნიჭიერი ძმები **ივანე ჯავახიშვილისა** და **პეტრე მელიქიშვილის** რეკომენდაციით სასწავლებლად გაგზავნეს გერმანიაში, სადაც მათ დიდი სახელი მოიხვეჭეს.

1930 წლიდან ალექსანდრე ნიკურაძე მუშაობდა მიუნჰენისა და ბერლინის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში. 1934 წელს ბერლინში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მისი გახმაურებული მონოგრაფია „თხევადი დიელექტრიკები", რომლის რუსული თარგმანი 1936 წელს გამოიცა მოსკოვში (მანამდე ასეთი წიგნი რუსებს არ ჰქონდათ).

თავისი ძირითადი სპეციალობის გარდა (მუშაობდა მყარი სხეულების ფიზიკაში და ენერგეტიკაში, ბოლოს განაგებდა საკუთარ ინსტიტუტს მიუნჰენში ამ სფეროში). ალექსანდრე ნიკურაძე გატაცებული იყო პოლიტიკით და ჰუმანიტარული მეცნიერების დარგებით, კერძოდ, გეოპოლიტიკით, ისტორიით, არქეოლოგიით, ლიტერატურით და ა.შ.

სამშობლოს მძიმე მდგომარეობით ღრმად შეწუხებულმა ალექსანდრემ გადაწყვიტა თანამშრომლობა დაეწყო გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან, რათა გერმანიის დახმარებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. მას ახლო კავშირი ჰქონდა ალფრედ როზენბერგთან, რომლის შეხედულებები კავკასიის მოვლენების მიმართ ემყარებოდა ალექსანდრე ნიკურაძის გავლენას. როზენბერგი ლობირებდა დამოუკიდებელ საქართველოს და ანტისაბჭოთა შეხედულებებით გამსჭვალულ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს გერმანიის მხარდაჭერას ჰპირდებოდა. ცნობილი გეოპოლიტიკოსის **კარლ ჰაუსჰოფერის** „ფართო სივრცეების" თეორიის გავლენის ქვეშ მყოფი ნიკურაძე მუშაობდა ჩანაფიქრზე, რომელიც მიზნად ისახავდა, ქართველებს წამყვანი როლი ეთამაშათ ერთიან კავკასიურ კონფედერაციაში. **როზენბერგმა ალექსანდრე ნიკურაძეს კონტინენტალური ევროპის კვლევის ინსტიტუტი შეუქმნა**, სადაც ამ თემის კვლევას აწარმოებდნენ ჰაუსფოფერის თეორიის ჭრილში (ამ ინსტიტუტში მუშაობდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **ზურაბ ავალიშვილი**, რომელიც 1944 წელს გარდაიცვალა).

ალექსანდრე ნიკურაძე ფსევდონიმით **„ა. ზანდერსი"** რამდენიმე გეოპოლიტიკური შინაარსის წიგნის ავტორია,

მათ შორისაა „კავკასია“ (გამოიცა სამჯერ – 1938, 1942, 1944, მიუნჰენში), რომელშიც ის წარმოაჩენს საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიისათვის. მისი აზრით, საქართველოს, როგორც ცენტრალურსა და პოლიტიკურად ყველაზე უნარიან ქვეყანას კავკასიაში, იგივე როლი ენიჭებოდა, როგორც გერმანიას – ევროპაში. სწორედ ნიკურაძის გავლენას უნდა მივაწეროთ როზენბერგის პროქართული შეხედულებები – იგი ჯერ კიდევ 1927 წელს ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფას, ხოლო 1941 წლის აპრილში წერდა, რომ „კავკასიის ხალხებს შორის ქართველები ისტორიულად უთუოდ წამყვანები იყვნენ და ამიტომ ქართველები, შეიძლება ითქვას, მასპინძელი ხალხი უნდა გახდეს კავკასიური სახელმწიფოების კონფედერაციისა, რომლებმაც შესაძლებელია გერმანიას სთხოვონ მათი კულტურული და ეროვნული არსებობის დაცვა“.

1943 წელს გამოვიდა ალექსანდრე ნიკურაძის წიგნი „გადაწყვეტილებათა მიღების ჟამი“, შემდეგ კი მისი ნაშრომები „ევროპის ფორმირებისათვის“, დიდი ბრიტანეთის მემკვიდრეობის შესახებ“, „აღმოსავლეთ ევროპა“, „ოცნებითგან ვიდრე საქმემდე“ და სხვ. ყველა ზემოჩამოთვლილი წიგნი ეძღვნება კონტინენტალური ევროპის კვლევას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს და არის გეოპოლიტიკური შინაარსის. მისი ნაშრომი „აღმოსავლეთ ევროპა“ არის ორნაწილიანი. პირველი ნაწილი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მონღოლთა გამოჩენამდე. სწორედ ამ ნაწილშია შესული საკითხები კავკასიის შესახებ, რომელიც გადმოტანილია მისი წიგნიდან „კავკასია“ („კავკასიაში“ კონცეპტუალურად პირველად კავკასია წარმოდგენილია

ერთიან გეოგრაფიულ, ისტორიულ და პოლიტიკურ ერთეულად). ალექსანდრე ნიკურაძის თანამოაზრე იყო მისი ძმა **ივანე (იოჰან) ნიკურაძე** – მსოფლიოში აღიარებული ჰიდრავლიკოსი. იგი იმავდროულად მუშაობდა საბრძოლო თვითმფრინავებისა და ატომური ბომბის აეროდინამიკაზე. მან თავისი კვალი სამოქალაქო ინდუსტრიაშიც დატოვა, რადგან ივანე ნიკურაძის მოდელი **პორშეს ფირმამ** მიიღო, ასევე ცნობილი მოდელი 911 მისი ნახაზებითაა გაკეთებული, 70-იან წლებში ევროპაში ცალლიანდაგიანი მატარებელი გამოვიდა, რომლის აეროდინამიკური თვალსაზრისი ივანე ნიკურაძის შემუშავებული გახლდათ. სავარაუდოა, ძმები ნიკურაძეების ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისადმი მინდობილი საქართველოს ეროვნული განძის გადარჩენის საქმეშიც. ექვთიმე იხსენებდა გერმანელი ოფიცრის ფორმაში გადაცმულ ორ ქართველს, რომლებიც პარიზში გერმანელი ფაშისტების შესვლისთანავე გამოეცხადდნენ და მას განძის დამალვაში მიეხმარნენ (დავით პაიჭაძე).

ალექსანდრე ნიკურაძის წიგნში „ოცნებიდგან ვიდრე საქმემდე“ (1951) მოცემულია ნათელი დებულებანი ევროინტეგრაციის იდეისათვის და ევროპის მომავლისათვის, ასევე საქართველოს ისტორიისათვის. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, სადაც გამოთქმული იყო ორიგინალური იდეები.

1952 წლის 22-24 სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით „ლა ბრეეიერის“ სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა კონგრესი,

რომელსაც დაესწრნენ მეცნიერები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, შვეციიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. კონგრესის საგანი იყო ევროპული საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიება. სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის აზრი **ცნება „ევროპოლოგიის“** შემოღების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ევროპულ სხვადასხვა მეცნიერული დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას (კონგრესის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილიც).

სახელგანთქმულ მეცნიერს ალექსანდრე ნიკურაძეს ლექციების წასაკითხად იწვევდნენ პარიზის, ვაშინგტონის, ბერლინისა და მიუნჰენის უნივერისტეტებში, ოქსფორდში გამართულ მეცნიერთა მსოფლიო კონგრესზე. 1956 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „არგონავტების მითი“. მაღალი დონით გამოირჩევა მისი ნაშრომები: „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“, „სკანდინავიელები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე“, „დოქტორი ოტო ფონ ვეზენდოკი – როგორც ქართველოლოგი“, „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა“, „დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით“, „სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის (კავკასია შესაძლოა პირველსამშობლოა სუმერთა ლითონის)“ და სხვ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის განვითარებაში შეტანილია ქართული წვლილიც, რითაც შეგვიძლია დღეს ვიამაყოთ.

კითხვები:

1. დაახასიათეთ მიხეილ მუსხელიშვილის პიროვნება და მისი ღვაწლი ევროინტეგრაციის დაწყების საქმეში.
2. რა როლი მიუძღვით ძმებ ნიკურაძეებს ევროპაში ქართული პრობლემის დასმის და ევროპოლოგიის განვითარების საქმეში?

§14-15. ქართულ-ევროპული თანამედროვე ურთიერთობანი – სწრაფვა ევროკავშირისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921) ევროპის ქვეყნებთან თვისებრივად ახალი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. გამოაცხადა რა საქართველოს დამოუკიდებლობა (1918 წლის 26 მაისი), ნოე ჟორდანიას მთავრობამ პროევროპული ორიენტაცია აირჩია და უარყო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის გზა.

მთავრობამ მიზნად დაისახა საქართველოს მიღება ერთა ლიგაში, რაც უმნიშვნელოვანესი ბერკეტი გახდებოდა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. სამწუხაროდ, ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხის განხილვა გადაიდო (მიღებას მხარი დაუჭირა 23-დან 10-მა ქვეყანამ), რაც გახდა ბოლშევიკური რუსეთისთვის მინიშნება საქართველოს ოკუპაციისათვის. 1921 წლის თებერვალ-მარტში რუს ბოლშევიკთა არმიამ, რომელსაც ქართველები მოუძღოდნენ წინ (სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე და სხვები) მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია, რამაც თითქმის 70 წელი გასტანა.

ქართველი ხალხი შინაგანად არასოდეს შეგუებია დამოუკიდებლობის დაკარგვას. 1985 წლიდან, „პერესტროიკის" დაწყების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელიც საქართველოში 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღგენით, მისი ოფიციალური გამოცხადებით დაგვირგვინდა. ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების მიუხედავად (1991-1993), საქარ-

თველომ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება (1992 წლის 31 ივლისს იგი გაერო-ს წევრი გახდა) და კვლავ დაიწყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელი ხიდის როლის შესრულება.

1999 წლის 27 იანვარს ევროსაბჭოში გაწევრიანებით დაიწყო საქართველოს ნელ-ნელა ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში. მანამდე კი, 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელი მოეწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ ევროკავშირსა და საქართველოს შორის, რომლითაც დაიწყო ახალი ურთიერთობები ევროპული ინტეგრაციის გზაზე. ევროპული ინტეგრაცია კი ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

ა) ადამიანის უფლებათა დაცვა;

ბ) კანონის უზენაესობა;

გ) პლურალისტური დემოკრატია;

დ) ევროპული კულტურა და ევროპული კულტურული იდენტობის ძიება.

საქართველოს ევროკავშირის წევრად გახდომამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ეკონომიკური და ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის და პლურალისტური დემოკრატიის განვითარების კუთხით.

საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს და ერთმანეთთან აკავშირებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეგიონებს და ქვეყნებს – ევროკავშირს, კავკასიას, აზიის რეგიონებს და თურქეთს. საქართველოზე გადის დასავლეთ ევროპას, კასპიის ზღვის აუზსა და შუა აზიას შორის ნავთობის, გაზის და ტვირთის ტრანსპორტირების უმოკლესი ტრანზიტული მარშრუტები, სამხედრო გზები.

აქ უკვე გადის ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები, შაჰ-დენიზის გაზსადენი და სხვ. 2013 წელს დამთავრდება ბაქო-თბილისი-ყარსის 105 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც საქართველოს რკინიგზას უშუალოდ დააკავშირებს ევროპასთან. თბილისის, ბათუმის და ქუთაისის, ფოთის ახალი საერთაშორისო აეროპორტების გახსნამ საქართველოში მნიშვნელოვნად გაზარდა ტურისტთა რაოდენობა და საქმიანი აქტივობა.

2004 წლის ივლისიდან საქართველო ჩართულია ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში (ENP). 2006 წელს ერთობლივად მიღებულ იქნა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP).

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ არსებული ხელშეკრულება შეიცვალა ახალი იურიდიული ფორმატით, რომელიც უკეთ ასახავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ამჟამინდელ დონეს.

2006 წლის ნოემბრიდან, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიღებიდან მოყოლებული, საქართველო წარმატებით აგრძელებს სამოქმედო გეგმის განხორციელებას, რომლის მიმდინარეობა ევროკომისიის მიერ ძირითადად დადებითად შეფასდა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტები ეფუძნება კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის მხარდაჭერას, რომელიც მოიცავს:

- კანონის გაძლიერებას და მის უზენაესობას (განსაკუთრებით სასამართლო და პენიტენციალური სისტემის ჩათვლით);
- სახელმწიფო ინსტიტუტების აღმშენებლობას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და ადამია-

ნის უფლებათა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემას საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად;

- ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს განვითარებას, რომელიც მოიცავს გამჭვირვალე პრივატიზაციის პროცესს და კორუფციის წინააღმდეგ უწყვეტ ბრძოლას, ეკონომიკური განვითარების წახალისებას და სიღარიბის დაძლევისათვის ზომების მიღებას;
- სოციალური განვითარების წახალისებას, რომელიც მოიცავს ასევე გარემოს დაცვას;
- რეგიონული ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას და საერთაშორისო და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის განვითარებას;
- სამეცნიერო და განათლების სფეროებში ურთიერთობების წახალისებას, განსაკუთრებით საქართველოს განათლების სისტემის ბოლონიის პროცესის მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანას.

აღმოსავლეთთან პარტნიორობის პროგრამა

2009 წლის 7 მაისს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ევროკავშირის აღმოსავლეთთან პარტნიორობის პროცესს ჩაეყარა საფუძველი, რომელშიც ჩართულია საქართველოც. 2009 წლის 2 აპრილს ევროკომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის გაცემის გამარტივებასა და ახალი ხელშეკრულების მიღების თაობაზე. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა და 2012 წლიდან პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს,

ბიზნესმენებს, სპორტსმენებს, ხელოვნების მუშაკებს უკვე შეუძლიათ ევროკავშირში შესასვლელი ვიზის მარტივად მიღება.

2011 წლის ბოლოს დაიწყო საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების (DCFTA), როგორც ევროპასთან ასოციაციის შეთანხმების ნაწილის, თაობაზე. ევროკომისიის რეკომენდაციით უკვე შექმნილია სპეციალური ინტერმინისტერიალური ჯგუფი, რომელიც 2013 წლის ბოლომდე დაამთავრებს ამ პროცესს და შემდეგ ქართულ პროდუქციას მიეცემა უფლება გავიდეს ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე.

მობილობა

საქართველომ გამოხატა საკუთარი მზადყოფნა „წრიული მოგრაციის" კონცეპციასა და ხალხის მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ევროკავშირთან სათანამშრომლოდ. ერთობლივ დეკლარაციას „პარტნიორობა მობილობაზე" ხელი მოეწერა 2009 წლის 30 ნოემბერს ბრიუსელში. იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: მიგრაციის მენეჯმენტი, რეინტეგრაცია, დიასპორები, დოკუმენტაციის უსაფრთხოება, საერთო მონაცემთა ბაზა მიგრაციაზე და ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირთან, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება ევროპაში.

TEMPUS-ის პროგრამა მიმართულია ლისაბონის სტრატეგიისა და ბოლონიის პროცესის შესაბამისად საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციაზე – გამოიყო 11 მილიონი ევრო, შესრულდა 26 პროგრამა.

ერაზმუს მუნდუსის საგარეო თანამშრომლობის პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას საგანმანათლებლო სფეროში, რაც უმაღლეს გაცვლით პროგრამებს მოიცავს.

სამხრეთ კავკასიის ინტეგრირებულ პირთა მენეჯმენტის (SCIBM) პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიაში პირთა გადაადგილებისა და საქონლის გადაზიდვის ხელშეწყობას, ასევე საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, უწყებათშორისი, ორმხრივი და რეგიონალური საზღვრების მენეჯმენტის გაძლიერების მეშვეობით ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ისე ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საერთაშორისო მონაწილეებს შორის და გაგრძელდება 2013 წლამდე.

ევროკავშირი და საქართველოში არსებული კონფლიქტები

შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირმა ცენტრალური როლი ითამაშა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შეწყვეტისა და მისი ნეგატიური შედეგების ნაწილობრივ ლიკვიდაციის საქმეში. **საკროზი-მედვედევის** 6-პუნქტიანი შეთანხმება ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას და მხარეების დაბრუნებას საწყის პოზიციებზე. ცეცხლი კი შეწყდა, მაგრამ ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, განათავსა იქ თავისი სამხედრო ბაზები და ტექნიკა, სამხედრო ნაწილები, მოახდინა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია.

რუსეთი უარს აცხადებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაზე და ბლოკავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლას.

ევროკავშირმა არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და დამოუკიდებლობას. ევროკავშირმა და ევროსაბჭომ მიიიღეს რეზოლუციები, რომლითაც მხარს უჭერენ ზემოთქმულს და მოუწოდებენ რუსეთს ამ რეგიონების დეოკუპაციას. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაბლოკა ევროკავშირისა და გაეროს მისიები საქართველოში, ერთადერთი საერთაშორისო წარმომადგენლობა ქვეყანაში რჩება ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM). ქართული მხარის მონდომების მიუხედავად, მას რუსები არ აძლევენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მონოტორინგის უფლებას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ 2009 წლიდან ევროკავშირმა ერთი მილიარდი ევროს ოდენობის დახმარება აღმოუჩინა 2008 წლის რუსეთთან ომით დაზარალებულ საქართველოს და ლტოლვილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს.

საქართველო – აშშ – ნატო-ს ურთიერთობები

ევროკავშირთან ერთად საქართველო აქტიურ ურთიერთობებს აგრძელებს ჯერჯერობით ისევ მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოსთან – აშშ-სთან.

2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში აშშ-მა და საქართველომ ხელი მოაწერეს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას, რაც ეკონომიკის, ენერგეტიკის, დიპლომატიის,

სამეცნიერო, კულტურის და სამხედრო-უშიშროების სფეროებში თანამშრომლობას გულისხმობს. აშშ აგრძელებს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას სხვადასხვა სფეროებში, თუმცა მან ვერ შეძლო საქართველოსთვის ქმედითი დახმარების აღმოჩენა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის დროს.

რაც შეეხება საქართველო-ნატოს პარტნიორობას, იგი იწყება 1992 წლიდან, როდესაც სსრ კავშირის დაშლის შედეგად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (1997 წლიდან ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო).

შემდეგ თანამშრომლობა ნელ-ნელა გაღლმავდა – საქართველო ჯერ შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის" (1994), მერე კი „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის დაგეგმვისა და გადახედვის პროცესს (1999). 2004 წელს საქართველომ მიიღო ნატოსთან პირველი ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP), 2006 წლის სექტემბერში კი ნატოში გაწევრიანებაზე ინტენსიური დიალოგის წარმოებაზე თანხმობაც. 2008 წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტზე ნატოს ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო მომავალში გაწევრიანდება ნატოს ალიანსში, თუმცა არ მოგვცეს მაპ-ი, რაც რუსეთისათვის აღმოჩნდა მინიშნება, რომ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია მოეხდინა.

საქართველო ჩართული იყო ჯერ ერაყის, ამჟამად კი ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების (ISAF) მისიაში (სადაც რამდენიმე

ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა უკვე). ეს არის გარკვეული კონტრიბუცია, რომელსაც იძულებით იხდის საქართველო ნატოში გასაწევრიანებლად და რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთი.

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა ისტორიული პრეცენდენტი დააფიქსირა – მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა არჩევნების გზით. გამარჯვებული კოალიციის „ქართული ოცნების" ლიდერმა **ბიძინა ივანიშვილმა** მთავარ ღირებულებებად და ორიენტირად ევროპული ფასეულობანი და ევროპა დაასახელა.

აქვე ისმება დილემაც: **გაწევრიანდება თუ არა როდესმე საქართველო ნატოში და იქნება თუ არა ეს ტერიტორიული გამთლიანების გარანტია,** თუ რუსეთის ისევ თავისას გაიტანს და დაბლოკავს საქართველოს შესვლას ნატოში? რის ხარჯზე შეიძლება გაწევრიანდეს საქართველო ნატოში?

ამ კითხვებს პასუხი უახლოეს წლებში გაეცემა.

კითხვები:

1. როდის დაიწყო და რა მიმართულებით ვითარდება საქართველოს ურთიერთობა ევროკავშირთან?
2. რა პრიორიტეტები გამოიყოფა აშშ-საქართველოს ურთიერთობებში?
3. რამდენად რეალურია საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირსა და ნატოში?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, გამომცემლობა „აღმაშენებელი“, თბ., 1995.
2. ბადრიძე შ., საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984.
3. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989
4. მეტრეველი რ. დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.
5. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVIII სს.), ტ. I, II, III.
6. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.
7. ტუსაშვილი ლ. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1994.
8. ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1993.
9. ელბერტ ბატიაშვილი, ილია და საქართველო, თბ., 1998.
10. შუბითიძე ვ. პოლიტოლოგია (სახელმძღვანელო), თბ., 2006.
11. ჯიჯეიშვილი ქ. ქართული დემოკრატიის სათავეებთნ (ნ. ნიკოლაძე, ა. ჯორჯაძე), თბ., 2002.

12. შუბითიძე ვ. ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 2003.
13. ხუნდაძე ს. მასალები ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ., 1949.
14. ფერაძე ი. რეკლამის ისტორია, წიგნი I, თბ., 2010.
15. ჟორდანია ნ. რჩეული ნაწერები, თბ., 1990.
16. საქართველო ევროპულ სივრცეში – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია. შრომები, თბ., 2010.
17. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი I-II-III, თბ., 1991-1993.
18. ჟურნალი „ბედი ქართლისა", პარიზი, 1951-1952.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (კოდი 085)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი აკრედიტებული უნივერსიტეტია, მკვეთრად განსაზღვრული პრიორიტეტებითა და დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაღალი მაჩვენებლით.

უნივერსიტეტის სკოლები

- ბიზნესის სკოლა
- სამართლის სკოლა
- ინჟინერიის სკოლა
- ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
- ქუთაისის ჟურნალისტიკისა და ფილოლოგიის სკოლა

საბაკალავრო პროგრამები

ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
ფინანსები და საბანკო საქმე	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში
საგადასახადო-საბაჟოსაქმე	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
მარკეტინგი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
საერთაშორისო ურთიერთობები	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში
ჟურნალისტიკა	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში
ინგლისური ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში
ქართული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში
ფრანგული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგიაში
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ეკონომიკაში
საერთაშორისო ბიზნესი და მდგრადი განვითარება (ინგლისურენოვანი)	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი

სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
სამართალმცოდნეობა	სამართლის ბაკალავრი

ინჟინერიის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა (სატრანსპორტო ლოჯისტიკა)	ინჟინერიის ბაკალავრი ტრანსპორტში
კომპიუტინგი/ინფორმატიკა	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში
ტელეკომუნიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში
ელექტროენერგეტიკა	ინჟინერიის ბაკალავრი ენერგეტიკა და ელექტროინჟინერიაში

ქუთაისის ჟურნალისტიკისა და ფილოლოგიის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა (სატრანსპორტო ლოჯისტიკა)	ინჟინერიის ბაკალავრი ტრანსპორტში
კომპიუტინგი/ინფორმატიკა	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში
ტელეკომუნიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში

სამაგისტრო პროგრამები

ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ბიზნესის ადმინისტრირება
ბიზნეს ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
საერთაშორისო ურთიერთობები
საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)
საერთაშორისო ეკონომიკური ურთერთობები
ქართველური ენათმეცნიერება
სამართლის სკოლა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
სისხლის სამართალი
ბიზნეს სამართალი
ინჟინერიის სკოლა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
კომპიუტერული მეცნიერება
სატრანსპორტო ლოჯისტიკა
ტელეკომუნიკაცია

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, 0114
რუსთავისგზატკეცილი N20
+ 995 32 2 402 946/47/48
info@openuniedu.ge
www.openuni.edu.ge

ქ. ქუთაისი
ტიციან ტაბიძის ქ. N29
+ 995 5 99 544 051
+ 995 5 99 412 417
info@openuniedu.ge
www.openuni.edu.ge

WWW.OPENUNI.EDU.GE | www.facebook.com/
Tbilisis Ria universiteti-TbilisiOpenUniversity

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

F 104.243
3

ISBN 978-9941-9323-4-2
9 789941 932342